



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-9/2  
1982

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

4.1982

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,  
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1982, № 4





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

СЕРИЯ  
ФИЛОСОФИИ И  
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს  
Журнал основан в 1980 году  
გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца



4.1982

გამომცემლობა „მეცნიერება“  
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

● თბილისი  
ТБИЛИСИ

**ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა :**

თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლაკა (რედაქტორის მოადგილე), ვ. თევზაძე, ვ. კეშელავა,  
ზ. მიქელაძე, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე  
(რედაქტორი), ო. ჯიოგვი (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джгоев О. И. (зам. редактора),  
Кешелав В. В., Микеладзе З. Н., Натадзе Р. Г., Надирашвили Ш. А.,  
Прангишвили А. С., Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор).

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

Ⓒ „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1982.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46

---

გადაეცა წარმოებას 22.9.82; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.12.82; შუკვ. № 3243;  
ანაწყოების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>; ქაღალდის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი  
თაბახი 10,9; საალრიტეზო-საგამომცემლო თაბახი 9,4; უე 17253; ტირაჟი 700;  
ფანი 85 კაბ.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან	5
სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს	5
საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ	7
ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა	8
ამხანაგ ბ. შ. ჩირენძაძის სიტყვა	9
იური ვლადიმერის კი ანდროპოვი	11
სამგლოვიარო მიტინგი წითელი მოედანზე	
ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა	12
დ. თ. უსტინოვის სიტყვა	13
ა. პ. ალექსანდროვის სიტყვა	14
გ. ვ. პუშკაროვის სიტყვა	15
ბ. თ. გორდინძაძის სიტყვა	16

სსრ კავშირის შუამდგომლობა 60 წლისთავი

ქართულ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების 60 წელი	17
--	----

ფილოსოფია

ლ. მღვივანი, მოთხოვნების კატეგორიის კვლევის ზოგიერთი ასპექტისათვის	31
ვ. მისხნი, სოციალური აქტიურობა როგორც ისტორიული მატერიალიზმის კატეგორია	36
ო. დამენია (სოხუმი), მოქმედების დიალექტიკა და აზროვნების აღზრდა	52
რ. ტაბისკვი (ცხინვალი), გ. ვ. პლენანოვი პირველი რუსული რევოლუციის არსისა და მამოძრავებელი ძალების შესახებ	64
ვ. კობახიძე, ადამიანის გონითი ქმნალობის საკითხისათვის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში	76

ფსიქოლოგია

ნ. ზინაიდავილი, პრესტიჟის მოთხოვნის და მისი ფსიქოლოგიური ბუნების ზოგიერთი საკითხი	86
ა. დობროვნიკი (მოსკოვი), არაცნობიერი და განწყობა ფსიქოთერაპიის პრობლემათა შუქზე	97

ახალი თარგმანები

რ. დეპარტი, მსჯელობა მეთოდის შესახებ (ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაზარევიძემ)	111
ურნალი „მაცნეს“ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერიის 1982 წლის შინაარსი, № 1—4	122

## СОДЕРЖАНИЕ

От Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР . . . . .	5
Обращение Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР к Коммунистической партии, к советскому народу . . . . .	5
Информационное сообщение о Пленуме Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза . . . . .	7
Речь товарища Ю. В. АНДРОПОВА . . . . .	8
Речь товарища К. У. ЧЕРНЕНКО . . . . .	9
ЮРИЙ ВЛАДИМИРОВИЧ АНДРОПОВ . . . . .	11
Траурный митинг на Красной площади	
Речь Ю. В. АНДРОПОВА . . . . .	12
Речь Д. Ф. УСТИНОВА . . . . .	13
Речь А. П. АЛЕКСАНДРОВА . . . . .	14
Речь В. В. ПУШКАРЕВА . . . . .	15
Речь А. Ф. ГОРДИЕНКО . . . . .	16

### 60-ЛЕТНИЕ ОБРАЗОВАНИЯ СССР

60 лет развития грузинской философской и психологической наук . . . . .	17
---	----

### ФИЛОСОФИЯ

Л. В. МДИВАНИ, О некоторых аспектах исследования категории потребности . . . . .	31
В. А. МЕСХИ, Социальная активность как категория исторического материализма . . . . .	36
О. Н. ДАМЕНИЯ (Сухуми), Диалектика деятельности и воспитание мышления . . . . .	52
Р. В. КАБИСОВ (Цхинвали), Г. В. Плеханов о сущности и движущих силах первой русской революции . . . . .	64
В. В. КОРТАВА, К вопросу о духовном становлении человека в эпоху научно-технической революции . . . . .	76

### ПСИХОЛОГИЯ

Н. Г. ЗЕНАИШВИЛИ, Потребность в престиже и некоторые вопросы ее психологической природы . . . . .	95
А. Б. ДОБРОВИЧ (Москва), Установка и бессознательное в свете проблем психотерапии . . . . .	97

### НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

Р. ДЕКАРТ, Рассуждение о методе (перевод с французского Д. Лабучидзе) . . . . .	111
Содержание журнала «Мацне» серии философии и психологии за 1982 год № 1—4 . . . . .	122





17.342

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან,  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან,  
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს, რომ 1982 წლის 10 ნოემბერს დილის 8 საათსა და 30 წუთზე უეტრად გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის — დიდი ლენინური საქმის ერთგული განმგებლის, მშვიდობისა და კომუნისტური მშენებარე მებრძოლის სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ადამიანებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,  
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

**მ ი მ ბ რ თ ე ბ ა**

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძმირვასო აშხანაგეო!  
საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინის დიდი საქმის ერთგული განმგებლობი, მგზნებარე პატრიოტი, გამოჩენილი რევოლუციონერი და მშვიდობისათვის, კომუნისტური მებრძოლი, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი მოღვაწეობა, პირადი ბედი განუყოფელია საბჭოეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან. კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომის შემდგომი აღორძინება, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევის ორგანიზაცია — ყოველივე ეს მუშათა კლასის სახელგანთქანი შეიძინა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებიცაა. ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, ლეონიდ ილიას ძე თავდადებით, მისთვის ჩვეული ენერჯითა და სიმტკიცით, გაბედულებითა და პრინციპულობით იბრძოდა მისი დიდი იდეალებისათვის.

აშხანაგ ბრეჟნევის სახელს, მის დაუცვრობელ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის

გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მეგობრები მთელ მსოფლიოში სამართლიანად უკავშირებენ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების თანამიმდევრულ დამკვიდრებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას. იგი ბრძნულად წარმართავდა პარტიის ლენინური შტაბის — მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობას, გვიჩვენებდა ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობის უნარიანი ორგანიზაციის მაგალითს. მას ეკუთვნის უთვისაჩინოესი როლი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პარტიის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსის განსაზღვრასა და რეალიზაციაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

წარუვალია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დამსახურება საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის პოლიტიკის — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის, დამაბუღლობის შენელებისა და განიარაღების, იმპერიალიზ-

ს. შარვაშია სსრ კავშირის  
საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს



მის აგრესიული ხრიკების მტკიცედ უყოვედების, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. დიღია მისი წვლილი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებაში, საერთაშორისო კომუნისტური მძრაობის განვითარებაში.

სანამ ლენინდ ილიას ძის გული ძგერდა, მისი ფიქრები და საქმეები მთლიანად ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესებს. მშრომელთა მასებთან იგი მუდამ იყო განუყოფლად დაკავშირებული. კომუნისტთა, უკვე კონტინენტის ასობით მილიონი ადამიანის შეგნებაში იგი იყო და დარჩება ლენინური იდეურობის, თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური ოპტიმიზმისა და ჰუმანიზმის განსახიერებლად.

მძიმე ჩვენი დანაკლისი, დიღია ჩვენი მწუხარება. ამ გლოვის უამს საბჭოთა კავშირის კომუნისტები, უკველა მშრომელი სულ უფრო მჭიდროდ ირანზმებთან სკკ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, რომელიც ჩამოყალიბდა ლენინდ ილიას ძე ბრენენევის კეთილნაყოფიერი გავლენით. ხალხს სჭერა პარტიის, მისი მძღვარი კოლექტიური გონებისა და ნების, მთელი გული უჭერს მხარს მის საშინო და საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან: ლენინის დროსა, ოქტომბრის დროსა, რომლითაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოვიპოვეთ, საიმედო ხელშია.

პარტია და ხალხი შეიარაღებული არიან სკკ XXIII—XXVI ყრილობების მიერ შემუშავებული კომუნისტური აღმშენებლობის დიდებული პროგრამით. ეს პროგრამა განუხრებლად სორციელდება. პარტია კვლავაც უყოველ ღონეს იხმარს წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პარტია კვლავაც უყოველნაირად იზრუნებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებისათვის, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, სსრ კავშირის ზალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეოლოგიური წრთობისათვის.

უცვლელია საბჭოთა ხალხის ნება მშვიდობისადმი. არა ომისათვის მზადება, რომელიც ზალხებს თავის მატერიალურ და სულიერ სიმ-

დიდრეთა უმიზნო ხარჯვას უქადის, არამედ მშვიდობის განმტკიცება — ამ ზვალნიდელი დღის შუქურვარსკვლავი. ამ კეთილშინდელი იდეით არის გამსჭვალული ოთხმოციანი წლების სამშვიდობო პროგრამა, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანება.

ჩვენ ვხედვთ საერთაშორისო ვითარების მთელ სირთულეს, იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ცდებს ძირი გამოუთხარონ მშვიდობიან თანარსებობას, უბიძგონ ხალხებს მტრობისა და სამხედრო კონფრონტაციის გზისკენ. მაგრამ ეს ვერ შეარყევს ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას დაიცვათ მშვიდობა. უყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სამხედრო ავანტიურების მოყვარულებმა საბჭოთა ქვეყანას მოუშაადებულს არ მოუსწრონ, რომ პოტენციურმა აგრესორმა იცოდეს: მას გარდაუვალად ელის გამანადგურებელი საპასუსო დარტყმა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ეყრდნობა თავის ძლიერებას, იჩენს უდიდეს სიფიზილესა და თავდაპირილობას, უცვლელ ერთგულებას თავისი საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული პრინციპებისა და მიზნებისადმი, შეუპოვრად იბრძოდებს იმისათვის, რომ კაცობრიობას თავიდან ააცილოს ბირთვული ომის საფრთხე, იბრძოდებს ადამაღვლობის შენელებისა და განიარაღებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მოძვე სოციალისტური ქვეყნები, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლები, უკველა კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, მსოფლიოს უკველა პატოსანი ადამიანი. მშვიდობის პოლიტიკა გამოხატავს კაცობრიობის ძირეულ საარსებო ინტერესებს, და ამიტომაც მომავალი ასეთ პოლიტიკას ეყუთვის.

საბჭოთა ხალხს პარტია მიანიჩა თავის ნაცად კოლექტიურ ბელადად, ბრქენ ხელმძღვანელად და ორგანიზატორად. მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის სამსახური პარტიის მთელი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრია. პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა იყო და არის საბჭოთა საზოგადოების უდრეკი ძალის წყარო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თვალისჩინივით უფრო თბილდება მშრომელთა ნდობას, დღენიდავ განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან. ხალხი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ ჩვენი პარტია მოვლენების უყოველი შემობრუნების დროს, უყოველი განსაცდელის დროს თავისი ისტორიული მისიის სიმაღლეზე რჩება. ლეო-





ნიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა კვლავაც თანამიმდევრულად და მიზანდასახულად განხორციელდება.

ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იქნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისათვის ერთგული სამსახურის შთაბაგონებელი მაგალითი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოიჩინენ მაღალ შეგნებასა და ორგანიზებულობას, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შემოქმედებითი შრომით უზრუნველყოფენ კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

### საინფორმაციო ცნობა

#### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1982 წლის 12 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრებმა ღეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას პატივი სცეს წუთიერი მწუხარე ღუმლით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშვნა, რომ კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ მძინე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლი.

ღეონიდ ილიას ძე ბრეჟნევა, რომელიც ლენინური კომუნისტური პარტიის წევრი იყო ნი წელზე მეტ ხანს, აქედან 18 წელს — მისი ხელმძღვანელის პოსტზე, უდიდესი წვლილი შეიტანა პარტიის რიგების მონაღლითობის, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. უაღრესად დიდია მისი როლი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში. ღეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელი, რომელთანაც უშუალოდ არის და-

კავშირებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დიდი მოღწევები, — ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენა, კოსმოსის კვლევა, ყველა წარმატება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, სამუდამოდ შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი დიდი სამშობლოს ისტორიაში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა თანაგრძობა გამოუცხადეს განსვენებულის ნათესაებებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. უ. ჩერნომეომ. მან წამოაყენა წინადადება, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი. მან გულითადი მადლობა მოახსენა ცენტრალური კომიტეტის პლენუმს დიდი ნდობისათვის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე არჩევისათვის.





ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, კომუნისტურ პარტიას, რომ მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოახმაროს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებას, მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფას სსრ კავშირის ეკონომი-

კური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, მთელი ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებაში, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევის დროს ხორციელდებოდა.  
ამით პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა

ამხანაგებო!

ჩვენმა პარტიამ და ქვეყანამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. შეწყდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამორჩენილი კოლაწის, მგზნებარე კომუნისტის, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულის ძგერა.

გარდაიკვალა თანამედროვეობის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე. ჩვენს რიგებს გამოაყლდა ამხანაგი და მეგობარი, დიდსულოვანი და დიდბუნებოვანი, გაგები და კეთილმოსურნე, გულისხმიერი და ღრმად ჰუმანური ადამიანი. საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება, უკომპრომისო მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ბრძნული წინდახედულება პასუხსაგებ გადაწყვეტილებათა მიღებაში, პრინციპულობა და გამბედაობა ისტორიის მკვეთრ ცვლილებათა ყაზის, ადამიანებისადმი უცვლელი პატივისცემა, გულისხმიერება და ყურადღება — აი ის შესანიშნავი თვისებები, რომლებისთვისაც აფასებდნენ და უყვარდათ ლეონიდ ილიას ძე პარტიასა და ხალხს.

გთხოვთ წუთიერი დუმილით პატივი სცეთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნათელ სსოვანს.

ლეონიდ ილიას ძე ამბობდა, რომ მისი ცხოვრების თითოეული დღე განუყოფელია იმ საქმეებისაგან, რომლებითაც ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ქვეყანა. და ეს მართლაც ასე იყო.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, დიდი სამამულე ომი და ომისშემდგომი აღდგენა, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევა — ყველა ეს დიდი ნიშანსვეტი საბჭოთა ხალხის შრომისა და ბრძოლის გზაზე, ამავე დროს

კომუნისტ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებია.

ლეონიდ ილიას ძის სახელთან და საქმეებთან განუხრელად არის დაკავშირებული დიდი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძლიერების ზრდა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტიური მონაწილეობა. ჩვენს ეპოქაში კაცობრიობის წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში, მსოფლიოში ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესის მთელი ძალების სოლიდარობის განმტკიცება. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მარად ემახსოვრება მადლიერ კაცობრიობას როგორც თანამიმდევრული მგზნებარე და დაუცხრომელი მეზობლი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იმ მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, რომელიც კაცობრიობას შეექმნა.

კარგად ვიცით, რომ მშვიდობას იმპერიალისტებს ვერ გამოსთხოვ. იგი უნდა დავიცვათ მხოლოდ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ურყევ ძლიერებაზე დაყრდნობით. როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი, როგორც სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ნიჟადაც უთმობდა ყურადღებას იმას, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ყოფილიყო.

აქ, ამ დარბაზში, შეიკრიბნენ ისინი, ვინც შედის ჩვენი პარტიის შტაბში, რომელსაც თვრამეტ წელს უცვლელად ედგა სათავეში ლეონიდ ილიას ძე. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რამდენი ძალ-ღონე შეაღია და სულის მგზნებარება ჩააქსოვა მან ერთსულოვანი, კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციას, იმას, რომ ეს შტაბი კვალივცს უტყუარ ლენინურ კურსს. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ლეონიდ ილიას ძემ იმ ჭანსადო მორალურ-პოლიტიკუ-

რი ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც დღეს ახასიათებს ჩვენი პარტიის ცხოვრებასა და საქმიანობას.

ლეონიდ ილიას ძის სახელთან დაკავშირებული მარქსიზმ-ლენინიზმის დასაცავად ჩვენი პარტიის პრინციპული ბრძოლა, განვითარებული სოციალიზმის თეორიის შემუშავება, კომუნისტური მშენებლობის ყველაზე აქტუალური ამოცანების გადაწყვეტის გზების განსაზღვრა. მის მოღვაწეობას მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში სამართლიანად მისცეს უმაღლესი შეფასება მომე პარტიებმა, ჩვენმა საზღვარგარეთელმა კლასობრივმა ძმებმა, სოციალიზმისათვის, კავიტალის უღლის წინააღმდეგ, დიდი კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის ჩვენმა თანამებრძოლმა ამხანაგებმა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიცოცხლე შეწყდა მაშინ, როცა მისი აზრები, მეცადინეობა მიმართული იყო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების იმ უდიდესი ამოცანების გადაწყვეტისადმი, რომლებიც განსაზღვრეს სკვპ XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა. ამ ამოცანების შესრულება, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსის თანამიმდევრული განხორციელება, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. და ეს იქნება ჩვენს რიგებს გამოკლებული ხელმძღვანელის ნათელი ხსოვნის საუკეთესო პატივისცემა.

დიდა ჩვენი მწუხრება. მიიმა ჩვენი დანაკლისი.

ამ ვითარებაში თითოეული ჩვენგანის, თი-

თოეული კომუნისტის ვალია კიდევ უფრო მკიდროდ შეაკავშიროს ჩვენი რიგები, კიდევ უფრო მტკიცედ დაიარაზოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავის პოსტზე, თავის ცხოვრებაში რაც შეიძლება მტკიცაკეთოს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, კომუნისმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ენდობა თავის კომუნისტურ პარტიას. ენდობა იმიტომ, რომ მისთვის არ ყოფილა და არც არის სხვა ინტერესები, გარდა საბჭოთა ადამიანების სასარგებო ინტერესებისა. გაამართლო ეს ნდობა— ნიშნავს იარო წინ კომუნისტური მშენებლობის გზით, იღვწოდეს ჩვენი სოციალისტური საშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

ჩვენ, ამხანაგებო, გვაქვს ისეთი ძალა, რომელიც გვეხმარებოდა და გვეხმარება უმძიმეს მომენტებში, რომელიც საშუალებას ვაძლევს გადაეწყვიტოთ ურთულესი ამოცანები. ეს ძალაა ჩვენი პარტიული რიგების ერთიანობა, ეს ძალაა პარტიის კოლექტიური სიბრძნე, მისი კოლექტიური ხელმძღვანელობა, ეს ძალაა პარტიისა და ხალხის ერთიანობა.

ჩვენი პლენუმი დღეს იმისთვის შეიკრება, რომ პატივი სცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას და უზრუნველყოს იმ საქმის განგრძობა, რომელსაც მან თავისი სიცოცხლე შეაღია.

პლენუმმა უნდა გადაწყვიტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ვთხოვ ამხანაგებს, გამოთქვან აზრი ამ საკითხზე.

### ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

ძმირფსსკო ამხანაგებო!  
პოლიტიკურად დამავალა გამოკესულიყავი ცენტრალური კომიტეტის ამ რიგგარეშე პლენუმის მონაწილეთა წინაშე.

ჩვენს ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმს ნამდვილად საგანგებო ხასიათი აქვს. ქვეყანა და პარტია დიდად დამწუხრებული არიან. გარდაიცვალა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

საბჭოთა ხალხმა დაკარგა გამოჩენილი ხელმძღვანელი, რომელიც თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე მეთაურობდა პარტიასა და

სახელმწიფოს, მთელ ძალ-ღონესა და უდიდეს ნიჭს ახმარდა საბჭოთა ადამიანების ბედნიერებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმეს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაცობრიობამ დაკარგა მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის იდეალისათვის დიდი, კემმარტად დაუცხრომელი მებრძოლი. ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებმა, ჩვენმა ძმებმა სოციალისტურ ქვეყნებში, ჩვენმა თანამებრძოლებმა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში დაკარგეს ლენინის საქმის ნიჭიერი განმგრძობი, ადამიანი, რომლისაგანაც

ესწავლობდით მშრომელთა ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულებას.

ენით უთქმელია ჩვენი მწუხარება ამ დანაკლისის გამო, მაგრამ ამ გლოვის ეპოს დიდ ნუგუმს გვეცემს ყველასათვის ძვირფასი ლეონი ილიას ძის ცხოვრების გაკვივლებით.

ლეონიდ ილიას ძეს სრულად ჰქონდა მომადლებული ნიჭი მთლიანად ეცხოვრა საზოგადოების ინტერესებით, ხალხის ინტერესებით. ასე იყო ყოველთვის, ჭაბუკობის წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ლეონიდ ილიას ძემ კარგად იცოდა, რომ პარტო კეთილი სურვილები ლიტონი სიტყვებია. არ ეპარა გამოთქვა სწორი აზრები, საჭიროა განამტკიცო ისინი ზუსტი ორგანიზატორული მუშაობით, ვასაგები და მისაწვდომი გახადო მშრომელთა ფართო მასებისათვის. მას უყვარდა ადამიანები. იგი ენდობოდა ადამიანებს.

ლეონიდ ილიას ძე ვაქაციური სულის ადამიანი იყო. მან დაამტკიცა ეს არა პარტოდ და სამამულო ომში, რომელიც ვანლო პირველიდან უკანასკნელ დღემდე. ვაქაციობას ერთხელაც არ უღალატა მისთვის მთელი ცხოვრების გზაზე. იგი დიდად, მეტად დიდად აფასებდა თითოეულ ამხანაგში გამბედიობას, პრინციპულობას, სიმტკიცეს ყოველგვარი განსაცდელის ეპოს.

ლეონიდ ილიას ძის გვერდით ყოფნა, მისი მოსმენა, მისი მახვილი გონების, გამჭრიახობის, სიცოცხლის ტრფილის თვალნათლივ შეგრძნება იყო სკოლა ყველა ჩვენგანისათვის, ვისაც წილად ზედა ბედნიერება მის მხარდამხარ ემუშავა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ფასდაუდებელ მემკვიდრეობას გვიტოვებს. ჩვენი 18-მილიონიანი პარტია ერთიანი და შეკავშირებულია. საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ სწამს პარტიის სობრძნისა. ჩვენი ცხოვრების ნორმები გახდა მომთხოვნელია და პატივისცემა კადრებისადმი, ურდოვეი დისციპლინა და გაბეჯული სასარგებლო ინიციატივების მხარდაჭერა, შეურთიებლობა ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი და მუდმივი ზრუნვა მასებთან კავშირის განვითარებისათვის, საბჭოთა საზოგადოების ნამდვილი დემოკრატიზმისათვის.

ვეფრობოდებოდეთ და ვავითარებდეთ ხელმძღვანელობის ამ სტილს, თვალისჩინივით ვიცავდეთ ყველაფერს, რაც თავისი სიტყვითა და საქმით ლეონიდ ილიას ძემ გვიანდერძა, — ჩვენი ვალა მისი ხსოვნის წინაშე, ჩვენი ვალაა. პარტიისა და ქვეყნის წინაშე. მტკიცე საწინდარი იმისა, რომ ასე იქნება,

არის პარტიის ხელმძღვანელი ბირთვი, მისი ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, რომელიც ჩამოყალიბდა ლეონიდ ილიას ძის გადაწყვეტი მოწაწილობით.

პოლიტბიუროს სახელით მიწა გამოვთქვა უღრმესი რწმენა, რომ ჩვენი პლენუმი მთელი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს, რომ პარტია კვლავაც მტკიცედ ივლის ლენინური კურსით, რომელიც თანამედროვე ეტაპზე მყავიოდ და სრულად არის გამოხატული სკკპ XXIII—XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებით. ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომლის შემუშავებასა და შესრულებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ლეონიდ ილიას ძე. ბრეჟნევემ, განხორციელდება მტკიცედ, თანამიმდევრულად და მიზანდასახულად.

ჩვენი ორიენტირები იყო, არის და იქნება ხალხის კეთილდღეობა და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება.

ჩვენ გვაქვს ვრცელი, კარგად აწონილ-დაწონილი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა. ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს, ასეთია პარტიის მიზითება. ეს ყი ნიწნაღს ინდუსტრიული და აგარული სექტორების ტექნიკურ განახლებას, მართვის სრულყოფის და, რა თქმა უნდა, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მისი ნაყოფიერების ზრდას. ამ გზაზე განუხრელად განვითარდება ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკა, გაუმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ამავე გზაზე განმტკიცდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

ჩვენ გვაქვს თობმოციანი წლების ვრცელი კონკრეტული სამშვიდობო პროგრამა. იგი შესაბამეა ხალხის მისწრაფებებს. დაძაბულობის შეწელება, განიარაღება, კონფლიქტური სიტუაციების დაქლვეა, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთა — აი ამოცანები, რომლებსაც ვისახავთ. ჩვენ გვიწდა საიმედო უშიშროება ჩვენთვის და ჩვენი მეგობრებისათვის, მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო!

ყველა ჩვენგანს, ალბათ, შეგნებული აქვს, რომ მეტად ჭირს იმ დანაკლისის შეწეება, რომელსაც ლეონიდ ილიას ძის გარდაცვალების გამო განვიციდით. ახლა ორციად, სამკეცად უფრო საჭიროა კოლექტიურად გაუძღვდეთ პარტიის საქმეს. ყველა პარტიულ ორგანოში ერთსულდოვანი, ერთობლივი მუშაობა უზრუნველყოფს შემდგომ წარმატებებს როგორც კომუნისტურ მშენებლობაში, ისე სავრთაშორისო ასპარეზზე ჩვენს საქმიანობაშიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა შექმნილი ვითარება და დამა-







ვალა პლენუმს შეეთავაზო სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიოს ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი. საჭიროდ არ მიმაჩნია ვიამბოთ მისი ბიოგრაფია. იური ვლადიმერის ძეს კარგად იცნობენ პარტიასა და ქვეყანაში როგორც ლენინური პარტიის საქმისათვის თავდადებულ, ერთგულ კომუნისტს, როგორც ლეონიდ ილიას ძის უახლოეს თანამებრძოლს.

იური ვლადიმერის ძეს აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, იდეოლოგიის დარგში მრავალმხრივი საქმიანობის გამოცდილება. იგი იყო კომკავშირული ზეღმძღვანელიც და დიდი პარტიული მუშაკიც, დიპლომატიც. იგი საკმაოდ გაისარჯა სოციალისტური თანამებრძობის განმტკიცებისათვის, ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

ლეონიდ ილიას ძე დიდად აფასებდა მის მარქსისტულ-ლენინურ მრწამსს, პარტიულობას, ფართო გონებრივ ჰორიზონტს, მის შესანიშნავ საქმიან და ადამიანურ თვისებებს. პოლიტიბიუროს ყველა წევრს მიაჩნია, რომ იური

ვლადიმერის ძემ კარგად შეითვისა ხელმძღვანელობის ბრვენევისეული სტილი, ხალხის ინტერესებისათვის ბრვენევისეული ზრუნვა, კადრებისადმი ბრვენევისეული დამოკიდებულება, მტკიცე გადაწყვეტილება მთელი ძალეებით წინააღმდეგ აგრესორთა ზრიკებს, დიცივას და განამტკიცოს მშვიდობა.

იური ვლადიმერის ძისათვის დამახასიათებელია პარტიული თავმდაბლობა, სხვა ამხანაგების აზრის პატივისცემა და კოლექტიური მუშაობისადმი მისწრაფება. პოლიტიბიუროს ერთსულოვანი აზრით, ამხანაგი ანდროპოვი ღირსია ცენტრალური კომიტეტის წევრობის, პარტიის წევრობის.

ძვირფასო ამხანაგებო! თავს ვხრით რა ლეონიდ ილიას ძის ნათელი ხსოვნის წინაშე, ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ დაუცხრომლად განვაგრძობთ ჩვენი აღმშენებლობით მუშაობას. ყველაფერი, რის დამთავრებაც ვერ მოასწრო ლეონიდ ილიას ძემ, ყველაფერი, რაც მისი ზეღმძღვანელობით დასახა პარტიამ აღსრულდება.

**იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი**

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი დაიბადა 1914 წლის 15 ივნისს რკინიგზელის ოჯახში სტავროპოლის მხარის საღებურ ნავუტსკაიში. აქვს უმაღლესი განათლება. სკკ წევრია 1939 წლიდან.

თექვსმეტი წლის კომკავშირელი იყო, როცა ი. ვ. ანდროპოვმა მუშად დაიწყო მუშაობა ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის ქალაქ მონღოვში. შემდეგ მისი შრომითი ბიოგრაფია გაგრძელდა ვოლგის სანაოსნოს გემებზე, სადაც მესწავურად მუშაობდა.

1936 წლიდან ი. ვ. ანდროპოვი კომკავშირულ სამუშაოზეა.

იგი არჩეული იყო იაროსლავლის ოლქის ქალაქრიბინისკის სანაოსნო ტრანსპორტის ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის განთავისუფლებულ მდივნად. მალე დააწინაურეს სრულიად საქავშირო ალკც ცენტრალური კომიტეტის კომორგის თანამდებობაზე ქალაქ რიბინსკის ეოლოდარსკის ქახელობის გემსასუენში. 1938 წელს იაროსლავლის ოლქის კომკავშირელებმა ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სრულიად საქავშირო ალკც იაროსლავლის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1940 წელს ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ კარელიის ალკც ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეები-

დანვე ი. ვ. ანდროპოვი კარელიაში პარტიზანული მოძრაობის აქტიური მონაწილეა. 1944 წელს, ფაშისტ დამპყრობთაგან პეტროზავოდსკის განთავისუფლების შემდეგ, ი. ვ. ანდროპოვი პარტიულ სამუშაოზეა. მის ირჩევენ პარტიის პეტროზავოდსკის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად, 1947 წელს კი კარელიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

1951 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გადაწყაივთ სკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატში და ნიშნავენ სკკ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორად, შემდეგ კი ქვეგანყოფილების გამგედ.

1953 წელს პარტიამ ი. ვ. ანდროპოვი დიპლომატიურ სამუშაოზე გაგზავნა. რამდენიმე წელს იყო იგი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1957 წელს ი. ვ. ანდროპოვი დააწინაურეს სკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ.

პარტიის XXII და მომდევნო ყრილობებზე ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად.



1962 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკვპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

1967 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი ინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ. იმავე წლის ივნისში იგი არჩეულ იქნა სკვპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბუროს წევრობის კანდიდატად.

1982 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სკვპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1973 წლის აპრილიდან ი. ვ. ანდროპოვი სკვპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბუროს წევრია.

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სსრ კავშირის მთელი რიგი მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ყველა პოსტზე, სადაც კი პარტიის ნებით იღვწოდა ი. ვ. ანდროპოვი, გლინდებოდა მისი ერთგულება ლენინის, პარტიის დიდი საქმისადმი. იგი მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ი. ვ. ანდროპოვს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს — 1974 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებულია ოთხი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და წითელი დროშის ორდენებით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

## საგებლოვნიარო მიტიმნი ვითელ მოვანსა

### ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა

ამხანაგბო!

მძიმე დანაკლისი განიცადეს ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ. დღეს ვეთხოვებით ჩვენი სამშობლოს სახელგანთ შვილს, მგზნებარე მარქსისტ-ლენინელს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უთვალსაჩინოეს მოღვაწეს, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევის. ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადო ლეონიდ ილიას ძის ოჯახსა და ახლობლებს.

ლეონიდ ილიას ძე ეყუთვნოდა იმ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა პლეადას, რომლებიც აღიზარდნენ და გამოიწვრთნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დამკვიდრებისათვის, ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის წლებში.

მუშა და მეომარი, გამოჩენილი ორგანიზატორი და ბრძენი პოლიტიკური მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევი ხალხთან სისხლხორცეულად, განუყრელად იყო დაკავშირებული. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ემკვდმდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესების სასახსრის. მთელი თავისი ხალხის ნიჭი, მთელი თავისი უღიდესი ენერგია მან მოახზარა სოციალიზმის — თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის,

მშრომელი ადამიანების ძმობის საზოგადოების საქმეს.

პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის უმაღლეს პოსტებზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი. მისი ხელმძღვანელობით მუშავდებოდა და თანამიმდევრულად ხორციელდებოდა პარტიის პოლიტიკა, რომელიც გამსუვალულია მუდმივი ზრუნვით მშრომელი ადამიანისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მტკიცედ დამკვიდრდა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმები, ერთსულოვანი, ერთობლივი მუშაობის სასიკეთო ატმოსფერო.

ხალხის მესხიერებაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევი სამუდამოდ დარჩება როგორც მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის გამოჩენილი მებრძოლი. იგი თანამიმდევრულად, სულის მთელი მგზნებარებით იბრძოდა საერთაშორისო ადამბულობის შენელებისათვის, იმისათვის, რომ კაცობრიობა ესნა ბირთვული ომის საფრთხისაგან, განემტკიცებინა სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირება და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა.

ამხანაგბო! ამ მწუხარების ეას, როცა ვეთხოვებით ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევის, მთელი ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი აცხადებენ, რომ ურყევად აქვთ გადაწყვეტილი მტკიცედ და თანამიმდევრულად განახორციელონ ის სტრატეგიული გეზი სა-



შინაო და საგარეო პოლიტიკაში, რომელიც შეშეშავდა ლენინი ილიას ძე ბრეჟნევის კეთილსაყფიერი გავლენით.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც კიდევ უფრო მჭიდროდ ირახმებიან პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი კოლექტიური ხელმძღვანელობის გარშემო, აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ პარტიის პოლიტიკას, უსაზღვროდ ენდობიან მას. პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იმხარს იმისათვის, რომ კიდევ უფრო აამაღლოს ხალხის ცხოვრების ღონე, განავითაროს საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლები, განამტკიცოს ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, დაამკვიდროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოძმე ხალხთა მეგობრობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტი განუხრელად განახორციელებს პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხის ნებას.

ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ სოციალისტური სახელმწიფოების დიდი თანამეგობრობის შეკავშირება, მთელი მსოფლიოს კომუნისტთა რიგების ერთიანობა საერთო მიზნებისა და იდეალებისათვის ბრძოლაში. ჩვენ შევინარჩუნებთ და განვავითარებთ სოლიდარობასა და თანამშრომლობას კოლონიური ჩაგვრისაგან განთავსდულ ქვეყნებთან, ეროვნულ დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლასთან. ყოველთვის ვიქნებით მშვიდობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის საქმის ერთგული.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში, როცა იმპერიალიზმის ძალები ცდილობენ ხალხებს

უბიძგონ მტრობისა და სამხედრო კონფრონტაციის გზისაკენ, პარტია და სახელმწიფო უწყევად დაიცვენ ჩვენი საშობლოს საარსებო ინტერესებს, უზრუნველყოფენ დიდ სიფხიზლეს, მზადყოფნას გამანადგურებელი ლახვარი ჩასკენ აგრესიის ყოველგვარ ცდას. ისინი არაველებენ თავიანთ მეცადინეობას ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში, განამტკიცებენ თანამშრომლობას პლანეტის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან. ყოველთვის მზად ვართ ყველა სახელმწიფოსთან, ვინც ამას მოისურვებს, პატიოსანი, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის.

ამ მწუხარების დღეებში განსაკუთრებული ძალით ვგრძნობთ ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხისადმი სოციალიზმის ქვეყნების უშიშროებების, მოძმე პარტიების, სოციალური პროგრესისათვის ყველა მებრძოლის მხარდაჭერასა და სოლიდარობას. მაღლობელი ვართ მათი ამისათვის. ვემაღლიერებით აგრეთვე ყველა კონტინენტის ბევრი ქვეყნის მთავრობებსა და ხალხებს, რომლებმაც ამ დღეებში პარტიე სცეს ლენინი ილიას ძე ბრეჟნევის სსოვნას.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ აცხადებს, რომ მუშათა კლასის, უშიშროელი ხალხის საქმისადმი, კომუნისტისა და მშვიდობის საქმისადმი სამსახური, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შეაღლია ლენინი ილიას ძე ბრეჟნევისა, არის და კვლავაც იქნება მთელი მისი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრი.

მშვიდობით, ძვირფასო ლენინი ილიას ძე! შენი სსოვნა არასდროს არ ჩაქრება ჩვენს გულში, შენი საქმე გავრძელდება ჩვენი პარტიისა და ხალხის მიღწევებში!

**დ. თ. უსტინოვის სიტყვა**

ძმირშასტო! ამხანაგებო!  
ამ ძნელ ეამს ჩვენ ყველანი დიდ მწუხარებას განვიცდით. ჩვენგან წავიდა ჩვენი ამხანაგი და თანამებრძოლი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ლენინი ილიას ძე ბრეჟნევი.

ლენინი ილიას ძე ბრეჟნევის მთელი დიდი და ნათელი ცხოვრება უკლებლივ მოხმარდა ხალხს, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს. იგი სამარადჟამოდ დარჩება ყვე-

ლა საბჭოთა ადამიანისათვის იმის მავალითად, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იმუშაოს ერთგულმა ლენინელმა, ნამდვილმა კომუნისტმა, ქეშმარიტმა პარტიოტმა და ინტერნაციონალისტმა.

კაცობრიობის მაღლიერ სსოვნაში ლენინი ილიას ძე ბრეჟნევი დარჩება როგორც დაძაბულობის შენელების გამოჩენილი ხუროთმოძღვარი, როგორც მშვიდობის დაუცხრომელი და უღრეკი მებრძოლი.

დიდი სამაშალო ომის პირველიდან ბოლო დღეებამდე ლენინი ილიას ძე ბრეჟნევი ფრონტზე იყო. საბრძოლო ვითარების ყვე-

ლაზე ძნელ პირობებში პირადი მაგალითითა და მგზნებარე პარტიული სიტყვით მიუძღვოდა მეომრებს გამარჯვებისაკენ. ლეონიდ ილიას ძე უშუალოდ მონაწილეობდა ბევრი ოპერაციის გეგმების შედგენასა და განხორციელებაში, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა ჯარებში.

მან უდიდესი წვლილი შეიტანა სახალხო მეურნეობის ომის შემდგომ აღდგენაში. ლეონიდ ილიას ძის სახელთან დაკავშირებულია სსრკაშირში განვითარებული სოციალიზმის აშენება, ჩვენი სამშობლოს უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები. დიდ ძალ-ღონესა და ენერჯიას ახმარდა ლეონიდ ილიას ძე რაკეტულ-კოსმოსური ტექნიკის შექმნის სამუშაოებს.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი შეუნებელ ყურადღებას უთმობდა ჩვენი ქვეყნის საიმედო თავდაცვისუნარიანობის, მთელი სოციალისტური თანამებრძობის უშიშროების უზრუნველყოფას! იგი ყოველდღიურად ზრუნავდა საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის. უაღრესად ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავდა თანამედროვე სამხედრო ტექნიკით არმიისა და ფლოტის აღჭურვას, უმაღლეს დონეზე მათი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას.

საბჭოთა ხალხის დიდი შვილი — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მასთან მთელი თავისი ცხოვრებით, მთელი თავისი მუშაობით, კარგად იცნობდა და ღრმად ესმოდა მშრომელი კაცის საზრუნავი

და საჭიროებანი. იგი იცნობდა ჯარისკაცის ცხოვრებასაც დღენიდაც, მამობრივად ზრუნავდა არმიისა და ფლოტის მეომრებისათვის. მეომრებიც ამ ზრუნვას დიდი სიყვარულით უპასუხებდნენ.

ამხანაგებო!  
ამ დღეებში შეიარაღებული ძალების მეომრები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო მჭიდროდ ირახმებიან კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მუდამ მტკიცედ ვერათავლებთ ოქტომბრის იდეებს, მუდამ ერთად ვიღვანებთ კომუნისტური მშენებლობის დიდი მიზნების მისაღწევად.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები იყო და კვლავ იქნება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ფაქტორი. ისინი მუდამ მზად არიან დაიცვან ჩვენი საზღვრების ხელშეუვალობა და საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა, პირნათლად მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი.

ამ მწუხარების ქაშის საბჭოთა კავშირის მარშლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კუბოსთან საბჭოთა შეიარაღებული ძალები ძირს ზრიან საბრძოლო დროშებს.

მშვიდობით, ჩვენი ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო!

შენი ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულში, კომუნისტური პარტიის საქმეებსა და საბჭოთა ხალხის მიღწევებში!

### ბ. პ. ალექსანდროვის სიტყვა

**პატივცემილო ამხანაგებო!**  
მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა მეცნიერები ღრმად დაამწუხრა თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალებამ. ისევე, როგორც თავის დროზე დიდ ლენინს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიაჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოების, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ორგანიზაცია შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ფართოდ გამოვიყენებთ თანამედროვე მეცნიერებას წარმოების ფექტიანობის ამაღლებისა და ინტენსიური განვითარების გზაზე ეკონომიკის გადაყვანისათვის.

იგი ღრმად და სწორად აფასებდა ფუნდა-

მენტური და გამოყენებითი გამოკვლევების საჭირო თანაფარდობას, დიდ დახმარებას უწყევდა მეცნიერების ახალ მიმართულებათა შექმნა-განვითარებას.

ლეონიდ ილიას ძემ უდიდესი შრომა მოახმარა საბჭოთა კავშირის ენერგეტიკული ბაზის განვითარებასა და შექმნას, სასურსათო პრობლემისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პრობლემების გადაჭრას ჩვენი სამშობლოს განვითარების ხანგრძლივი პერიოდისათვის. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისი ხელმძღვანელობით მიაღწია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების მრავალჯობის გადიდებას და ეს უდიდესი ძლიერება მოახმარა მთელი კაცობრიობის მთავარი ამოცანის — საერთაშორისო



დაძაბულობის შენელების, მშვიდობის შენარჩუნების ამოცანის გადაწყვეტას.

ლეონიდ ილიას ძეს, როგორც მშვიდობისა და განიარაღებისათვის მებრძოლს, ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანი იცნობს. დიდი სამამულო ომის დაწყებიდან გამარჯვების დღემდე ლეონიდ ილიას ძე ფრონტზე იყო. იგი ხელაუდა, თუ რა უბედურება მოაქვს ომს ხალხებისათვის, და საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ყველა ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაიცვან ქვეყნად მშვიდობა. თავისი უდიდესი ენერჯია, თავისი კომუნისტური პრინციპულობა ლეონიდ ილიას ძემ მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას მოახმარა.

დაუცბრომლად ზრუნავდა ლეონიდ ილიას ძე ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემუშავებისას მისმა პრინციპულმა მითითებებმა უდიდესი პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაზე.

როგორც ლენინის დიდი საქმის ერთგულმა განმგრძობმა, მან დიდი შემოქმედებითი წვლილი შეიტანა მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში. ამ დამსახურებისათვის სსრ

კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ ლეონიდ ილიას ძეს მიანიჭა თავისი უმაღლესი ჯილდო — კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედალი.

ლეონიდ ილიას ძის მთელმა შეგნებულმა ცხოვრებამ ოქტომბრის შემდეგ ჩაიარა. მისი ცხოვრების სკოლა ძნელი იყო, და მხოლოდ მისმა არჩვეულებრივმა ნიჭმა და ხალხზე დაყრდნობამ დააყენა იგი ასეთ გამორჩეულ ცხოვრების გზაზე, რომელიც ხალხის კეთილდღეობას მიეძღვნა.

ამხანაგებო!

საბჭოთა მეცნიერებს, რომლებიც გულსიტკივლით ეთხოვებოან ლეონიდ ილიას ძეს, თავიანთ მოვალეობად მიანიათ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. უფრო აქტიურად და ორგანიზებულად იმოქმედონ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა ფრონტზე, რათა უზრუნველყონ ჩვენი სამშობლოს ისეთი პროგრესი, რომლისთვისაც მოგვიწოდებდა ლეონიდ ილიას ძე!

### 3. 3. კუშპარიძის სიტყვა

ამხანაგებო!

ღრმა მწუხარებით არის აღესილი ჩვენი გული. მოსკოვის შრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ეთხოვებოან ლენინის დიდი საქმის განმგრძობს, მშვიდობისა და კომუნისტებისათვის მგზნებარე მებრძოლს ლეონიდ ილიას ძე ბრევენეს.

მწარეა იმის შეგნება, რომ გარდაიცვალა კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე და ქემ-მარტიად ტიტანური შრომა მთლიანად მოახმარა პარტიის დიდ საქმეს, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

ლეონიდ ილიას ძე, რომელმაც თავისი შრომით ბიოგრაფია მუშად, ქარხნის საყვირით დაიწყო, ყოველთვის და ყველაფერში ახლობელი იყო მუშათა კლასისათვის, ყველა მშრომელისათვის; განუყრელად იყო დაკავშირებული მათთან.

საბჭოთა ადამიანები ლეონიდ ილიას ძეს უპასუხებდნენ წრფელი, გულითადი სიყვარულით, უდიდეს პატივს სცემდნენ მას და უსახლვროდ ენდობოდნენ. ყველა თავიანთ წარმეტყველებას კომუნისტურ მშენებლობაში, სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში ისინი სამართლიანად უკავშირებდნენ ლეონიდ ილიას ძე ბრევენეის სახელს, მის პარტიულ და სა-

ხელმწიფო მოღვაწეობას, მის პირად წარმართულ მონაწილეობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში.

პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებზე ყოფნისას ლეონიდ ილიას ძე ოცდახუთ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა და მუშაობდა ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქში. იგი ნიდავგ დიდ ყურადღებას უთმობდა მოსკოვს, სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად მის გადაქცევას, მიღობდა შრომის კოლექტივებში, გულითადდ ესაუბრებოდა მოსკოველებს, მამობრივად ზრუნავდა მათი შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ლეონიდ ილიას ძე არაერთხელ აუჩრევით სკკპ ყრილობების დღეგაგადად დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისაგან, ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო მოსკოველთა დეპუტატი სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოებში.

მე წილად მხედა პატივი ვყოფილიყავი ნღობით აღჭურვილი პირი, როცა ლეონიდ ილიას ძე ბრევენეი კენჭს იყრიდა რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ზაემანის საარჩევნო ოლქში. და მე კარგად ვიცი,



თუ რა ახლოს მიჰქონდა გულთან მას ადამიანთა საჭიროებანი, ამომჩვეულთა განაწესები, თუ რა დიდი გულთბილობით ეციდებოდა თითოეულ ადამიანს, რომელთანაც უხდებოდა შეხვედრა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიკვდილი განუზომლად მძიმე დანაკლისია პარტიისათვის, საბჭოთა სახელმწიფოსათვის, მაგრამ მწუხარება დაბნეულობას ვერ შეიტანს ჩვენს რიგებში. მოსკოვის მუშათა კლასი, მშრომელები, ისევე როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან

მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს გარშემო. ჩვენ ვამარაგებთ შრომითს მეცადინეობას, რათა მარად ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს ლენინის საქმე, ოქტომბრის საქმე, რათა ზორცის ისხამდეს ქვეყნად კომუნნიზმისა და მშვიდობის იდეალები, რომლებსაც მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შეაღია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე!

### ა. თ. გორდინენკოს სიტყვა

ძმირწასმ ამხანაგებო!

ყოველმა დნებროძერეინსკელმა, დნებროპეტროვსკელმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი გულსიტყვილით შეიტყუა საბჭოთა ხალხის ერთგული შეიღის, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლის, ჩვენი ძვირფასი, დაუვიწყარი თანამემამულის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალების ამბავი.

უდიდესი ნიჭის, იშვიათი მოზიზილაობის ადამიანის ლეონიდ ილიას ძის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქალაქის ბედები. აქ დაიბადა და გაიზარდა იგი. აქ შევიდა კომკავშირში. აქ 1931 წლის ოქტომბერში გახდა ლენინური პარტიის წევრი. ძერეინსკის სახელობის ქარხანაში გაიარა პირველი მუშური უნივერსიტეტები, შეითვისა მუშათა კლასის საუკეთესო თვისებები.

მას შემდეგ ლეონიდ ილიას ძე ყველგან და ყოველთვის კომუნნიზმისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე იყო. იგი შთააგონებდა ადამიანებს, მიუძღოდა მათ ახალი მიღწევებისაკენ დიდი ლენინური იდეალების გამარჯვებისათვის.

ლეონიდ ილიას ძე მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშობლიურ ქალაქთან, ჩვენს საქალაქო პარტიულ ორგანიზაციასთან. მთელი თავისი მოუცლელი მთხედრად იგი პოულობდა დროსა და შესაძლებლობას ჩასწვდომოდა ჩვენს საქმეებს, გვაზნებებდა გულთბილი სიტყვითა და მამობრივი რჩევა-დარიგებით. დნებროძერეინსკის, მთელი დნებროპეტროვსკის ოლქის კომუნისტები, მშრომელები ნიადაგ გრძობდნენ ყველა ჩვენგანისათვის საყვარელი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ყურადღებასა და ზრუნვას. ჩვენს ხსოვნაში წა-

რუშლელი კვალი დატოვა მისმა შეხვედრებმა, გულთბილმა, გულითადმა საუბრებმა თანამემამულეებთან, დიდმა ინტერესმა მათი ცხოვრებისა და მუშაობისადმი.

ლეონიდ ილიას ძის უდიდესი საბრძოლო და შრომითი დამსახურების აღსანიშნავად მის სამშობლოში — ქალაქ დნებროძერეინსკში ბრინჯაოს ბიუსტი დაიდგა. იგი მუდამ მოგვაგონებს, თუ რა დიდი პატივი და რა დიდი პასუხისმგებლობა გვაქისრია, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თანამემამულეებს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ლეონიდ ილიას ძე აღარ შეგვხვდებოდა, აღარ ჩამოვა ჩვენთან, აღარ გამოიკითხავს, როგორ მუშაობენ ქარხნები, როგორ მიმდინარეობს მშენებლობა, აღარ მოიკითხავს ადამიანებს, აღარ დაინტერესდებოდა პარტიის საქალაქო კომიტეტის საქმეებით. გვიმძიმს ამაზე ფიქრი. დანაღლისი აუნაზღურებელია.

მედგარმა მარქსისტ-ლენინელმა, გამოცდილმა პარტიულმა ხელმძღვანელმა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა დიდი და სახელოვანი ცხოვრება განვლო. მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენი მრავალრიოვანი საბჭოთა სამშობლოსათვის. მისი ნათელი სახე მარად იცოცხლებს დნებროძერეინსკის მშრომელების, ყველა საბჭოთა ადამიანის გულში, როგორც კომუნისტური პარტიის საქმისადმი, საბჭოთა ხალხის საქმისადმი ერთგულების შთამაგონებელი მთავალითი.

განშორების ამ მძიმე ეპოს კარგად გვესმის, რომ მისთვის საუკეთესო ძეგლი იქნება ჩვენი თავდადებული შრომა სკკპ XXVI ყრილობის წინასწარდასახულობათა მსვრულებისათვის ჩვენი საყვარელი სამშობლოს მშვიდობისა და კომუნნიზმის საკეთილდღეოდ.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე!



# სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი

ქართულ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა  
ბანვითარების 60 წელი

17.342

ყოველი მეცნიერების განვითარებას განსაზღვრავს როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნები, ისე მეცნიერული აზრის შინაგანი ლოგიკა. სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით, ფილოსოფია უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესთან და მის განვითარებაზეც სულ უფრო ძლიერ გავლენას ახდენს ეს უკანასკნელი.

ქართული ფილოსოფიური აზრი 20-იანი წლების დასაწყისისათვის, როცა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ჩამოყალიბდა, რომლის 60 წლისთავსაც ახლა ვზეიმობთ, მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე იდგა. ამ პერიოდის წინ, ერთი მხრივ, წარმოებდა მარქსისტული ფილოსოფიის პროპაგანდა და ცდილობდნენ მის გამოყენებას საზოგადოებრივი ცხოვრების ამოცანების გადასაწყვეტად, ხოლო მეორე მხრივ, საფუძველი ეყრებოდა ორიგინალურ პროფესიულ ფილოსოფიურ კვლევებს, რომლებიც კლასიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის ათვისებასა და დასავლეთ ევროპის უახლესი ფილოსოფიური მიმდინარეობების კრიტიკული გააზრებისა და დაძლევის ცდას ემყარებოდნენ. 20-იანი წლების დასაწყისიდან კი მარქსისტული ფილოსოფიის დამკვიდრებასთან ერთად ხდებდა ამ ორი ნაკადის—მარქსისტული ფილოსოფიის პროპაგანდისა და ცხოვრებისადმი მისი მიყენების ცდებისა და ორიგინალური პროფესიული ფილოსოფიური კვლევების — შეერთება. ამ ვითარებამ თავისი დადებითი როლი შესასრულა: მან განაპირობა ის, რომ ქართულმა ფილოსოფიურმა მეცნიერებამ იმთავითვე აქტუალური პრობლემების გადაწყვეტას მოჰკიდა ხელი და ფუნდამენტურად და პროფესიულად იკვლევდა მათ.

20-იან და 30-იან წლებში ყალიბდება ახალი, სოციალისტური კულტურა და, ამასთან დაკავშირებით, აქტუალობას იძენს წარსულის მემკვიდრეობასთან ახალი, სოციალისტური კულტურის დამოკიდებულების პრობლემა. ფილოსოფიური მეცნიერებისათვის, კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი პრობლემის გარდა, მეტად მნიშვნელოვანი იყო წარსულ ფილოსოფიასთან, კერძოდ, კლასიკურ გერმანულ ფილოსოფიასთან დამოკიდებულების საკითხი. გერმანულ იდეალისტურ დიალექტიკასთან დაპირისპირებაში განხილვა საშუალებაა იძლეოდა მარქსისტული დიალექტიკის და, საერთოდ, მარქსისტული ფილოსოფიის თავისებურების დახასიათებისათვის, ამიტომ იყო, რომ ამ პერიოდში, ერთი მხრივ, გრძელდებოდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში შ. ნუტუბიძის, დ. უზნაძისა და ს. დანელიას მიერ დაწყებული კრიტიკული ათვისება წარსულისა და უახლესი დასავლეთის ფილოსოფიისა, ხოლო მეორე მხრივ, დაიწყო მარქსისტული ფილოსოფიის პოზიციებიდან გერმანულ იდეალისტური დიალექტიკის შესწავლა და დაძლევა. ამ პერიოდის დასაწყისში გამოქვეყნდა<sup>1</sup>

<sup>1</sup> უფრო დაწვრილებით ამ პერიოდის შესახებ იხ. Т. А. Буачидзе, О. И. Джиев. Философская мысль в Грузии за годы Советской власти. „Вопросы философии“, 1967, № 9; Н. З. Чавчаваძე. 50 лет философской науки в Грузии. Там же, 1971, № 5.

2. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1982, № 4

პ. მარქსის ნახ. ს.პ. სსრ  
სახელმწიფო რეპერტორი



წ. ნუცუბიძის „აღთოლოგიის საფუძვლები“, „ლოგია“ და „ქეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“, რომელიც გერმანიაში გამოვიდა. 20-იან წლებში დაიბეჭდა დ. უზნაძის მონოგრაფია ბერგსონის ფილოსოფიის შესახებ და შეიქმნა ს. დანელიას მნიშვნელოვანი გამოკვლევები ანტიკური ფილოსოფიის დარგში. 20-იან და 30-იან წლებში შეიქმნა, აგრეთვე, მ. გოგობერიძის ისტორიულ-ფილოსოფიური გამოკვლევები „მატერიალიზმისა და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე“ და „ფილოსოფიის ისტორია“, რომელიც 1941 წ. გამოქვეყნდა.

ორიგინალური თვალსაზრისი განავითარა გერმანული იდეალიზმის შესახებ კ. ბაქრაძემ თავის ნაშრომებში „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“ და „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“. ამ ნაშრომებში ახლებურად იქნა გააზრებული კლასიკური გერმანული იდეალიზმის ისტორია, გამოვლენილ იქნა ჰეგელის დიალექტიკის პრინციპული ნაკლოვანებანი და, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფილოსოფიური პრობლემების პოზიტივური დამუშავების თვალსაზრისით, დასახულ იქნა მარქსისტული ფილოსოფიის პოზიციებიდან დიალექტიკისა და ლოგიკის პრინციპული საკითხების გადაწყვეტის გზებზე.

30-იან წლებშივე შეიქმნა და გამოქვეყნდა ს. წერეთლის პირველი ნაშრომები, რომლებშიც ანტიკური და კლასიკური გერმანული ფილოსოფიური მემკვიდრეობა გაანალიზებულ იქნა იმ თვალსაზრისით, რომ დასახული ყოფილიყო გზები აზროვნების შესახებ მარქსისტული მოძღვრების, დიალექტიკური ლოგიკის ძირითადი პრობლემების გადასაწყვეტად. შემდგომ, 50-იან და 60-იან წლებში ს. წერეთლის დიდი მუშაობის შედეგები შეკამბულ იქნა რიც მონოგრაფიულ გამოკვლევებში „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“, „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნება“, „დასაბუთების საწყისი“, „დიალექტიკური ლოგია“ და სხვ. ამავე მიმართულებით იქნა გამოკვლეული აზროვნება ლ. გოკიელის ორიგინალურ გამოკვლევებში „ლოგიკურის ბუნების შესახებ“ და „ლოგია“.

ქართველი ფილოსოფოსების ამ ფუნდამენტურ გამოკვლევებს, იმ დისკუსიებს. რომლებიც დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის ურთიერთობის შესახებ იმართებოდა იმ პერიოდში როგორც საჯარო პაექრობების სახით, ისე მეცნიერულ გამოცემებში, მხოლოდ ცალკეული პრობლემების გადასაწყვეტად კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ ისინი წარმოადგენდნენ საკითხების ღრმა და ორიგინალური დამუშავების ნიმუშს, აყალიბებდნენ მაღალპროფესიული ფილოსოფიური კვლევის კულტურას და მათი კეთილმოყოფელი გავლენა იგრძნობოდა შემდგომ ფილოსოფიის სრულიად სხვადასხვა დარგების განვითარებაში.

ფილოსოფიური აზრის განვითარებამ დაადასტურა მეტაფიზიკური სისტემების შექმნის, სამყაროზე აპრიორული თვალსაზრისის პოსტულირების გზის უნაყოფობა. ფილოსოფიის ცდამ დამდგარიყო მეცნიერებაზე მაღლა და მისთვის ეკარნახა ის, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო მეცნიერული საკითხები, მარცხი განიცადა. მარქსისტულმა ფილოსოფიამ შეგნებულად უარყო ძველი ფილოსოფიის პრეტენზია ყოფილიყო მეცნიერებათა მეცნიერება. მეორე მხრივ, დასავლეთის ფილოსოფიაშიც მეტაფიზიკის მარცხმა საერთოდ ფილოსოფიის უარყოფის ტენდენციას მისცა დასაბამი. პოზიტივისტური თვალსაზრისის მომხრეებმა ფილოსოფიას მხოლოდ მეცნიერების მონაცემების ენობრივი

ანალიზის ამოცანა დააკისრეს, მარქსისტული თვალსაზრისისათვის ფილოსოფიის ამგვარი გაგებაც მიუღებელია. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, ჯერ-ერთი, აზროვნების დიალექტიკური ბუნების დახასიათება ფილოსოფიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნიეს. მეორეც, მათ ფილოსოფიის ამოცანა დააკისრეს, რომ ყოფილიყო სამყაროს გარდაქმნის იარაღი, რაც არსებობდა ნიშნავდა ადამიანის ცხოვრების ორიენტირის გარკვევის ამოცანას. რაც შეეხება მეცნიერებას, ფილოსოფიას მის მიმართ ის ამოცანა დაეკისრა, რომ მას გამოეველინა მეცნიერების, მეცნიერული აზროვნების განვითარების კანონზომიერება და მეცნიერების მონაცემებზე დაყრდნობით გაერკვია ადამიანის ცხოვრებისეული ორიენტირები და ადამიანის იდეალების განხორციელების გზები.

ქართულმა საბჭოთა ფილოსოფიამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ადამიანს, მისი ცნობიერების შემსწავლელ მეცნიერებებს და ჩვენი საუკუნის მეცნიერული აზროვნების ფილოსოფიური განზოგადება დაისახა მიზნად. ადამიანის ცნობიერების შესწავლას დ. უზნაძის მიერ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფილოსოფიისათვისაც. XX საუკუნის ფიზიკის მიღწევების ფილოსოფიურ განზოგადებას ისახავდა მიზნად მ. გოგიბერიძე თავის გამოკვლევაში „ინშტაინის რელატივიზმის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“. მეცნიერების ახალი მეთოდოლოგიური ტენდენციებისა და ადამიანის ცნობიერების მეცნიერული შესწავლის მნიშვნელოვან ფილოსოფიურ განზოგადებას წარმოადგენს კ. მეგრელიძის მონოგრაფია „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“, რომელიც 30-იან წლებში შეიქმნა, მაგრამ მხოლოდ 1965 წ. იხილა პირველად დღის სინათლე. ამ წიგნმა გამოსვლისთანავე მიიპყრო ფილოსოფიური საზოგადოებრიობის ყურადღება და იგი საბჭოთა ფილოსოფიური ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად იქნა აღიარებული. ამგვარი შეფასება მან იმითაც დაიმსახურა, რომ წიგნში გამოთქმული და დაფუძნებული იდეები საოცარ შესაბამისობაში აღმოჩნდა მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან.

ცნობიერების კანონზომიერების კვლევას მიეძღვნა მნიშვნელოვანწილად აკად. ა. ბოჭორიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა, მის მიერ შექმნილი ფუნდამენტური მონოგრაფია „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები“ (სამ ტომად) და ორიგინალური ნაშრომები „არაცნობიერის პრობლემა ფსიქოლოგიაში“, „ფსიქოლოგიაში და ანტიფსიქოლოგიაში ფსიქოლოგიაში“, „ფსიქოლოგიის მეთოდოლოგია“ და სხვ.

ეროვნული კულტურისადმი დიდმა ყურადღებამ ჩვენს ქვეყანაში სტიმული მისცა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ინტენსიურ კვლევას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო შ. რუსთაველის „გეგზისტყაოსანის“ იუბილის აღნიშვნა 1937 წ. ამ საიუბილეო თარიღის მომზადებასთან დაკავშირებით ჩვენი საზოგადოებათმცოდნეები იკვლევდნენ რუსთაველისა და მისი ეპოქის მოაზროვნების ფილოსოფიურ მემკვიდრეობას. ამ პერიოდში გამოქვეყნდა ი. ფანცხავას ნაშრომი „დიალექტიკის ელემენტები XI—XII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიაში“. ამავე წლებში დაიწერა მ. გოგიბერიძის გამოკვლევები რუსთაველისა და პეტრიწის შესახებ, რომლებიც წიგნად უფრო გვიან გამოქვეყნდა. მაგრამ ქართული ფილოსოფიის ისტორიას როგორც მეცნიერებას არსებითად საფუძველი ჩაუყარეს შ. ნუცუბიძის ორიგინალურმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა. მეცნიერული საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია და ცხოველ დისკუსიას მისცა დასაბამი შ. ნუცუბიძის მიერ

შუა საუკუნეების აზროვნებაში ფსევდოდოქსისე არეობაგელის ნაწარმოებების როლის გამოკვლევამ და მათი ავტორის გაიგივებამ პეტრე იბერთან (1942 წ. გამოქვეყნებულ წიგნში „ფსევდოდოქსისე არეობაგელის საიდუმლოება“), ხოლო შემდეგ აღმოსავლური რენესანსის იდეის წამოყენებამ წიგნში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“. ქართული ფილოსოფიის ისტორიაში შ. ხუცუბიძის გამოკვლევები შეჯამდა მის ორტომეულში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (1956—1958).

ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის კვლევა შემდგომშიც ინტენსიურად მიმდინარეობს. კვლავ დიდი ყურადღება ექცევა ფეოდალური ხანის ფილოსოფიური აზროვნების კვლევას, ქართული ფილოსოფიისა და ძველ ბერძნულ და ნეოპლატონურ ფილოსოფიასთან მისი დამოკიდებულების ახალიცა. ქართული ფილოსოფიური აზრის კვლევის არეალიც გაფართოვდა და მოიცავს როგორც მე-19 საუკუნის ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზრი, ისე XX საუკუნის საქართველოში ფილოსოფიური აზრის ისტორიაც, აგრეთვე ქართული ფილოსოფიური აზროვნების კავშირები როგორც რუსულ და დასავლურ ფილოსოფიასთან, ისე მოამე სომხეთის ფილოსოფიურ აზროვნებასთან. ქართული ფილოსოფიის ისტორიაში ჩვენი გამოკვლევების დიდი ღირსებაა ის, რომ მათში, როგორც წესი, დაძლეულია ის ცალმხრიობა, რაც ხშირად ახასიათებს ანალოგიურ გამოკვლევებს: ისინი ან შემოისაზღვრებიან წმინდა ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური გამოკვლევების განხილვით ან, პირიქით, სრულიად კარგავენ საზღვრებს ფილოსოფიურ აზროვნებასა და ლიტერატურის ისტორიას შორის. ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის დარგში მუშაობა ჩვენში ემყარება მეცნიერულად ჩამოყალიბებულ სწორ მეთოდოლოგიურ წანამდგერებს.

40—60-იან წლებში გრძელდებოდა კვლევა, რომელსაც ქართული საბჭოთა ფილოსოფიის ჩამოყალიბების დროს მიეცა დასაბამი. იქმნებოდა ნაშრომები მარქსისტული ფილოსოფიის თავისებურების შესახებ, მარქსისტული დიალექტიკის, შემეცნების თეორიისა და ლოგიკის კარდინალურ პრობლემებზე. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის დაგვირგვინება იყო ს. წერეთლის „დიალექტიკური ლოგიკა“, რომელიც არა მარტო დიალექტიკური ლოგიკის სისტემატური გადმოცემის ცდას წარმოადგენს, არამედ აგრეთვე მარქსისტული ფილოსოფიის თავისებურების დახასიათებასაც: ეს წიგნი, ისევე როგორც ხ. წერეთლის სხვა გამოკვლევები, ემყარება და ამავე დროს აფუძნებს დიალექტიკის, შემეცნების თეორიისა და ლოგიკის იგივეობის იდეას, რომელიც არსებითად მარქსისტული ფილოსოფიის თავისებურებას, მასში ონტოლოგიისა და გნოსეოლოგიის გათიშვის დაძლევის, გამოხატავს. ამ მიმართულებით მუშაობა შემდეგშიც გრძელდება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო ამ მხრივ გ. ბაჩულაშვილის მონოგრაფია „კატეგორიების დიალექტიკა როგორც გნოსეოლოგიური ლოგიკა“. ამ პერიოდში მუშაობა გრძელდება 20-იან წლებში დაწყებული სხვა მიმართულებებითაც — მეცნიერული აზროვნების ფილოსოფიური განზოგადების, კლასიკური და თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიის კრიტიკული ათვისებისა და დაძლევის მიმართულებით და სხვ.

60—70-იან წლებში, ტრადიციული მიმართულებებით მუშაობის გაგრძელებასთან ერთად, მნიშვნელოვნად ფართოვდება ფილოსოფიური კვლევის არე, რაც თვით ცხოვრების მოთხოვნილებებმა განსაზღვრა: საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და



მისმა ზემოქმედებამ სულიერ კულტურაზე, სულ უფრო მეტად მოითხოვა ფილოსოფიის დაახლოება ცხოვრებასთან, ადამიანის ყოფიერებასთან მისი დაკავშირება. ეს მოთხოვნა გაცნობიერებულ იქნა ქართულ ფილოსოფიაშიც და ამან განაპირობა ფილოსოფიური კვლევის არეალის გაფართოება. ჰერ კიდევ 50-იან წლებში ამავე ტენდენციით იყო განპირობებული ინტერესის ზრდა და კვლევის გაფართოება სოციალური ფილოსოფიის, ეთიკისა და ესთეტიკის პრობლემებისადმი, ხოლო ფილოსოფიის ისტორიაში მეტი ყურადღება მიექცა იმ მიმართულებებს, რომლებსთვისაც ამოსავალი ადამიანის ყოფიერება იყო. ფილოსოფიის ახალი ორიენტაციის აუცილებლობა განსაკუთრებით მკვეთრად გამოთქვა ზ. კაკაბაძემ თავის ცნობილ მონოგრაფიაში „ეგზისტენციალური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია“ (1966) და მის შემდგომ ნაშრომებში. ცხოვრებისა და ცხოვრებისეული პრობლემებისადმი ფილოსოფიის ამ შემობრუნების მაჩვენებელი იყო აგრეთვე საკავშირო სიმპოზიუმის გამართვა ღირებულების პრობლემაზე თბილისში (1965), სადაც ქართველი ფილოსოფოსები განსაკუთრებით აქტიურად იცადნენ აქსიოლოგიური პრობლემატიკის აუცილებლობას მარქსისტული ფილოსოფიისათვის. ფილოსოფიის ამ ახალი ორიენტაციის მაჩვენებელი იყო შემდგომი მუშაობის გაშლა ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში, რაზეც მეტყველებდა ზ. კაკაბაძისავე წიგნი „ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა“ (1970) და, განსაკუთრებით, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების დაარსება ფილოსოფიის ინსტიტუტში აკად. ა. ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით. და ბოლოს, ამავე ტენდენციას გამოხატავდა მუშაობის გაშლა კულტურის ფილოსოფიურ პრობლემებზე. ამ პრობლემებმა — ღირებულების, ადამიანის და კულტურის პრობლემა — შეადგინეს სწორედ ფილოსოფიის ინსტიტუტის სტრატეგიული ხაზი, რომელიც შემუშავდა საბოლოოდ ფილოსოფიის ინსტიტუტის შესახებ საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის 1973 წ. ოქტომბრის დადგენილების შემდეგ<sup>2</sup>. ეს სტრატეგიული ხაზი საშუალებას იძლევა არა მარტო იმისათვის, რომ მოხდეს ინსტიტუტის ძალების კონცენტრაცია გარკვეულ პრობლემებზე, არამედ ამ ძალების წარსამართავად ყველაზე აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად. ფილოსოფიური კვლევის ამგვარი ორიენტაცია სულ უფრო მეტად შეიმჩნევა ჩვენი ქვეყნის სხვა ფილოსოფიური ცენტრების (მოსკოვი, კიევი, ლენინგრადი, როსტოვი და სხვ.) მოღვაწეობაშიც. ქართველი ფილოსოფოსების გამოკვლევებმა ადამიანის, ღირებულებისა და კულტურის პრობლემებზე ფილოსოფიური საზოგადოებრიობის მხარდაჭერა მოიპოვა.

ადამიანის, ღირებულებისა და კულტურის პრობლემებზე მუშაობა ნაყოფიერი აღმოჩნდა ისეთი ტრადიციული მიმართულებებისათვისაც ფილოსოფიაში, როგორიცაა ეთიკა და ესთეტიკა, ფილოსოფიის ისტორია და ისტორიის ფილოსოფია, რომელთა განვითარებამ, თავის მხრივ, აგრეთვე, მოამზადა ფილოსოფიის ახალი ორიენტაცია. ეთიკაში წინ წაიპოვია ადამიანის ცხოვრების საზრისისა და ღირსების პრობლემებმა, ესთეტიკაში — ესთეტიკური ღირებულებისა და მხატვრული კულტურის თავისებურების კვლევამ, ფილოსოფიის ისტორიაში — ისტორიული კვლევის დაკავშირებამ კულტურის ისტო-

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. Н. З. Чавчавадзе. Человек—культура—ценности. Журн. „Вопросы философии“, 1981, № 6, აგრეთვე ჩვენი ჟურნალის ა. წ. № 1-ის მოწინავე.

რიასთან, თანამედროვე ფილოსოფიის იმ მიმართულებებზე ყურადღების გადატანამ, რომლებიც ადამიანის ცხოვრების საზრისსა და მის ყოფიერებაზე ახდენდნენ რეფლექსირებას. ათეიზმისა და რელიგიის ფილოსოფიის სფეროშიც წინ წამოიწია მორალისა და ცხოვრების საზრისის პრობლემებმა და სხვ.

ადამიანის, ღირებულებისა და კულტურის პრობლემების კვლევამ სტიმული მისცა აგრეთვე პიროვნების, ერისა და ერის კულტურის ურთიერთობის, ერებისა და ეროვნული კულტურების ურთიერთობის ფილოსოფიურ გააზრებას, რაც, თავის მხრივ, ჩვენს ქვეყანაში ეროვნული კულტურის განვითარებისადმი საზოგადოების ყურადღებით არის გამოწვეული. ადამიანისა და კულტურის პრობლემებს დაუკავშირდა უკანასკნელ დროს აგრეთვე კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევები და მეცნიერული კომუნიზმის პრობლემების დამუშავებაც, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ახალი ადამიანის აღზრდის აქტუალური პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტისათვის.

ფილოსოფიის კავშირი ცხოვრებასთან მართა ცხოვრებისეულ ტენდენციებზე რეფლექსიის გზით კი არ ხორციელდება, არამედ მეცნიერული აზროვნებისა და მეცნიერების ტენდენციების გააზრების გზითაც. ფილოსოფიის კავშირი მეცნიერებასთან დასაწყისში ემპირიულ დონეზე ხორციელდება ხოლმე და არსებითად ბუნებისმეტყველების მონაცემების უბრალო შეჯამებას ისახავს მიზნად. ფილოსოფიის ამოცანების ამგვარი შემოსაზღვრა არ უწყობს ხელს მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის დამყარებას. ეს თანამშრომლობა რომ ნაყოფიერი იყოს, ფილოსოფია არ უნდა კმაყოფილდებოდეს კერძო მეცნიერების მონაცემების უბრალო თავმოყრით, რასაც ზოგჯერ მეცნიერების ფილოსოფიური განზოგადების პრეტენზია აქვს ხოლმე, არამედ თვით მეცნიერების, მეცნიერული აზროვნების კანონზომიერებას უნდა ავლენდეს და მასზე დამყარებით წყვეტდეს საკუთრივ ფილოსოფიურ პრობლემებს. უკანასკნელ დროს სწორედ ასეთი მიმართულება დამკვიდრდა მეცნიერების ფილოსოფიური კვლევის სფეროში, რაც უეჭველად სასიკეთო იქნება როგორც ფილოსოფიის, ისე მეცნიერებისათვის. ფილოსოფიისა და მეცნიერების ურთიერთსასარგებლო კავშირს ხელს უწყობს აგრეთვე ის ნაყოფიერი კვლევა, რაც ჩვენში წარმოებს და რაც დაკავშირებულია ლოგიკისა და მეცნიერების ფილოსოფიური საკითხების გამიჯვნასთან საკუთრივ ლოგიკური და მეცნიერებათმცოდნეობის პრობლემებისაგან.

ფილოსოფიის განვითარებისათვის საქართველოში დიდ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენენ კონტაქტები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ფილოსოფიურ ცენტრებთან. მთელი რიგი პრობლემების კვლევაში ჩვენი ფილოსოფოსები თანამშრომლობენ ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების, უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ფილოსოფიური ცენტრების მეცნიერებთან. ამიერკავკასიის რესპუბლიკების თანამშრომლობას განსაკუთრებით სისტემატური ხასიათი მიეცა უკანასკნელ ათეულ წელში: ყოველწლიურად იმართება ამიერკავკასიის ფილოსოფიის ინსტიტუტების ერთობლივი კონფერენციები, რომელთა მასალების საფუძველზე შემდეგ იქმნება კოლექტიური ნაშრომები. უკანასკნელ წლებში გამოვიდა ამგვარი წესით „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კანონზომიერებანი“, „კულტურის ფილოსოფიური პრობლემები“ (ორივე თბილისში), „ფილოსოფია და მეცნიერების მეთოდოლოგიური საკითხები“ (ერევანი). ჩვენი რეს-



პუბლიკის ფილოსოფოსები მონაწილეობას იღებენ მოსკოვში, კიევისა და სხვა ქალაქებში გამოცემულ რიგ ფილოსოფიურ ნაშრომებში. ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომების საგრძნობი ნაწილი გამოდის რუსულ ენაზე, რაც საშუალებას იძლევა მკითხველთა უფრო ფართო წარმადობას გაიცნოს ის, ადვილეს მათ თარგმნას სხვა ენებზეც. ასევე საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე ქართველ ფილოსოფოსთა მიღწეული შედეგების გატანის კარგი საშუალებაა საკავშირო ფილოსოფიურ ჟურნალებში გამოქვეყნებული პერიოდული წერილები ქართული ფილოსოფიის შესახებ, აგრეთვე სპეციალური ნორმები, რომლებიც ჟურნალმა „Вопросы философии“-მ დაუთმო ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომების გამოქვეყნებას (1971 წ. № 5 და 1981 № 6).

ნიშანდობლივია ქართული ფილოსოფიის გეოგრაფიული არეალის გაფართოებაც. მართლაც, უკანასკნელ წლებში საინტერესო ნაშრომები გამოქვეყნდა ფილოსოფიის სხვადასხვა დარგში ქ. სოხუმში, ქუთაისში, ბათუმში, ცხინვალში. საქართველოს სხვადასხვა კულტურულ ცენტრებში ფილოსოფიური კვლევის წარმატებულობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ჩვენი ჟურნალის ამ ნომრის მიხედვითაც. ეს ამავე დროს, წარმოაჩენს იმ ამოცანებსაც, რომლებიც ისახება ფილოსოფიური დაწესებულებებისა და ფილოსოფიური საზოგადოების წინაშე რესპუბლიკის სხვადასხვა ცენტრებში ფილოსოფიური კვლევის შემდგომი სტიმულირებისთვის.

ქართული ფილოსოფიური მეცნიერება გარკვეული წარმატებებით ხვდება საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავს, მაგრამ ამავე დროს დიდია ის ამოცანები, რომლებიც მის წინაშეა დასახული ფილოსოფიური კულტურის ამაღლების, ცხოვრებასთან ფილოსოფიის დაახლოების მიმართულებით.

\* \* \*

საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების ისტორიულად მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსება (1918 წ.), რომელშიც იმთავითვე იქნა ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიის განყოფილება. ამ განყოფილებამ არა ერთი კვალიფიციური ფსიქოლოგი მისცა რესპუბლიკას. ამ დროსვე შეიქმნა უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის კათედრა და პირველი ექსპერიმენტული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. როგორც კათედრის, ისე ლაბორატორიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძე (1918—1950), რომელმაც უმაღლესი ფსიქოლოგიური განათლება ქ. ლაიფციგში მიიღო პირველი ექსპერიმენტატორ-ფსიქოლოგის ვ. ვუნდტის ხელმძღვანელობით.

ფსიქოლოგიური მეცნიერება იმდენად მძლავრად იყო განვითარებულ საქართველოში, რომ როდესაც 1941 წელს დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მის სისტემაში შეიქმნა ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც ერთადერთი იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 1951 წლამდე.

დ. უზნაძის პირველი გამოკვლევები, რომელიც მან უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში შეასრულა, გამოქვეყნდა 1922—1924 წლებში საქართველოსა და გერმანიაში.

დ. უზნაძე ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ფსიქოლოგია, რომელმაც იმთავითვე მატერიალისტური ფსიქოლოგიის შექმნას მოჰკიდა ხელი.

„В первых же работах Д. Н. Узнадзе касающихся принципиальных

вопросов психологии „Impersonalia“ (1923), „Сновы экспериментальной психологии“ (1925) в самых общих чертах были намечены пути разработки ключевых положений конкретной психологии на кафедре психологии и в лаборатории экспериментальной психологии Тбилисского университета“ (А. С. Прангишвили, 30 лет Института психологии им. Д. Н. Узнадзе Академии Наук Грузинской ССР. 1972 ).

დ. უზნაძე ავტორია პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა ქართულ ენაზე ფსიქოლოგიაში („ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ 1925 წ., „ზოგადი ფსიქოლოგია“ 1949 წ., „ბავშვის ფსიქოლოგია“ 1946 წ. და სხვა).

დ. უზნაძის უშუალო ხელმძღვანელობით სწარმოებდა ამ დროს ფართო ექსპერიმენტული ფსიქოლოგიური მუშაობა აგრეთვე პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ფსიქონერვულ დაწესებულებებსა, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში.

ძირითად პრობლემას, რომელსაც უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ლაბორატორია ამუშავებდა დღიდან მისი დაარსებისა, წარმოადგენდა განწყობის თეორიული და ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, რომელმაც განვითარების დიდი გზა განვლო დაწყებული დ. უზნაძისა და მისი თანამშრომლების გამოკვლევებით და დამთავრებული დ. უზნაძის მონოგრაფიით „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“. ეს მონოგრაფია, რომელმაც საერთაშორისო აღიარება პპოვა ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში, ქართულ ენაზე გამოვიდა 1949 წელს, 1964 წელს რუსულ ენაზე ითარგმნა (მოსკოვი), ხოლო 1966 წელს ინგლისურ ენაზე გამოვიდა (ნიუ-იორკი).

ფენომენი, რომელიც დ. უზნაძემ აღმოაჩინა განწყობის კვლევის სფეროში, თავის დროზე აღიარებულ იქნა, როგორც „უზნაძის ეფექტი“, რასაც უ. პიაჟემ სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა (1944წ.).

1940 წელს უზნაძემ გამოაქვეყნა შემაჯამებელი სტატია „განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები“ (უნივერსიტეტის შრომები, ტ. XIX), სადაც იგი ასახელებს 54 გამოკვლევას ამ სფეროში. ეს შრომები შესრულებულია მისი მოწაფეების: ნ. ადამაშვილის, ა. ავალიშვილის, ა. ბოჭორიშვილის, ი. ბუაღვას, ქ. გაფუას, ე. კეყერაძის, ქ. მდივნის, რ. ნათაძის, ვ. ნორაკიძის, ფ. ხაჭაპურიძის, გ. ხმალიძის, ზ. ხოჯავას და შ. ჩხარტიშვილის მიერ.

ამვე გამოკვლევების შედეგები დ. უზნაძემ განაზოგადა ლაბორატორიაში გამოქვეყნებულ შრომაში „გამოკვლევები განწყობის ფსიქოლოგიაში“ (1939), რომელსაც ფართო გამომხატურება ჰქონდა საერთაშორისო მეცნიერულ წრეებში.

ასევე საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა დ. უზნაძის შრომებს „იმპერსონალია“, „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები“, „დაჯგუფების ცდები სკოლის წინარე ასაკის ბავშვებთან“, „ცნების ჩამოყალიბება სკოლისწინარე ასაკში“, „განწყობის შეცვლა, როგორც კონტრასტული ილუზიის საფუძველი“, „სიმძიმის ილუზია და მისი ანალოგები“ და სხვა, რომლებიც 1924—1935 წლებში გამოქვეყნდა გერმანულ ჟურნალებში.

დ. უზნაძის ყველა დასახელებული შრომის ძირითადი დებულებები ასახულია ფსიქოლოგიურ ენციკლოპედიაში, რომელიც ქ. გეტიგენში გამოიცა 1959—1970 წლებში (12 ტომად).

დ. უზნაძის ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა მუშაობა ფსიქოლოგიის ისეთ დარგებში, როგორცაა ზოგადი ფსიქოლოგია, სამედიცინო ფსი-

ქოლოგია, გენეტიკური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, პედაგოგიუ-  
 ოი ფსიქოლოგია და სხვა.

დაარსებულ იქნა ინსტიტუტის პერიოდული ჟურნალი „ფსიქოლოგია“, რომლის რედაქტორი დ. უზნაძე იყო (მისი გარდაცვალების შემდეგ ა. ფრანგიშვილი).

დ. უზნაძის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი მიეკუთვნა მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს და სწორედ „უზნაძის ინსტიტუტის“ სახელწოდებით არის იგი ცნობილი საბჭოთა და საერთაშორისო ფსიქოლოგიურ წრეებში.

განსაკუთრებით ფართო აღიარება ჰპოვა განწყობის ფსიქოლოგიამ, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ, დ. უზნაძის გარდაცვალების შემდეგ, როცა ფართო დისკუსია გაიშალა ფსიქოლოგიის ფილოსოფიურ საკითხებსა და ფსიქიკის ფიზიოლოგიური საფუძვლების შესახებ (1950—53 წწ.).

მრავალმხრივ დისკუსიებში დ. უზნაძის მოწაფეებმა შესძლეს დაესაბუთებინათ განწყობის, როგორც პიროვნების ქცევის მარეგულირებელი ფაქტორის, კანონიერება საბჭოთა ფსიქოლოგიაში.

ამჟამად დ. უზნაძის განწყობის თეორია აღიარებულია საბჭოთა ფსიქოლოგიაში, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობა, ხოლო ინსტიტუტის მეცნიერული ერთდრეკილი ფართო გავრცელებას პოულობს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

დ. უზნაძის სკოლის წარმომადგენელთა მონოგრაფიები თუ ცალკეული სტატიები სისტემატურად ქვეყნდება აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, პოლონეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, კანადაში, იტალიაში, ბულგარეთში, რუმინეთსა და სხვა ქვეყნებში.

1976 წელს გამოქვეყნდა ბერლინში კრებული „განწყობის ფსიქოლოგია“, რომელშიც დ. უზნაძის შრომებთან ერთად მოთავსებულია ა. ფრანგიშვილის, ვ. გრიგოლავას, ზ. ხოჯავას, ნ. ელიავას, რ. ნათაძის, შ. ჩხარტიშვილისა და ე. გერსამიას გამოკვლევები.

კრებულის რედაქტორია ბერლინის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი მ. ფორვერგი. კანადელი ფსიქოლოგები: ჯ. პრიცუკი, დ. ბერლანი, რ. ჰერცოგი, ვ. ანრუ, პ. ჯანზენი და სხვ. ინტენსიურ ექსპერიმენტულ მუშაობას აწარმოებენ განწყობის ფსიქოლოგიაში და მრავალი საყურადღებო შედეგი აქვთ მიღებული. უზნაძის სკოლის გამოკვლევებს იმდენად დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა, რომ XVIII საერთაშორისო კონგრესზე (მოსკოვი, 1966 წ.) სპეციალური სიმპოზიუმი მიეძღვნა დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის პრობლემების განხილვას (სიმპოზიუმის ხელმძღვანელი პროფ. ა. ფრანგიშვილი).

დ. უზნაძის დაბადების 85-ე წლისთავთან დაკავშირებით ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა კრებული „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“ (რედ. ა. ფრანგიშვილი). კრებულში გარდა ქართველი ავტორებისა, შევიდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოჩენილი ფსიქოლოგის მიერ სპეციალურად ამ კრებულისათვის დაწერილი გამოკვლევა (ყ. პაყე — შევიცარია, ჯ. ბრუნერი — აშშ, ი. ლინგარტი — ჩეხოსლოვაკია, ნ. ოკონორი — ინგლისი, შ. შატო — საფრანგეთი, ჯ. პრიცუკი — კანადა, დ. შეკოუ — აშშ, კ. სატო — იაპონია, ვ. ნებელიცინი, პ. ვალპერინი, ფ. ბასინი — სსრკ და სხვ.). კრებულში

ორმოცზე მეტი სტატია არის წარმოდგენილი, რომლებიც კარგად ასახევენ ფსიქოლოგიური მეცნიერების აქტუალურ პრობლემატიკას ყველა მოწინავე ქვეყანაში და იმ ფართო რეზონანსს, რომელიც დ. უზნაძის განწყობის თეორიას აქვს საერთაშორისო ფსიქოლოგიურ აზროვნებაში.

ქართული საბჭოთა ფსიქოლოგიური სკოლის დიდ აღიარებას წარმოადგენდა 1971 წელს სსრკ ფსიქოლოგთა საზოგადოების IV ყრილობის მოწვევა თბილისში (პრეზიდენტი ა. ფრანგიშვილი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. გრიგოლავა, საპროგრამო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ნადირაშვილი), რომლის მუშაობაში მონაწილეობას ლეზულობდნენ აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 1200-ზე მეტმა ფსიქოლოგმა და მოსაზღვრე მეცნიერების წარმომადგენელმა.

ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონგრესების (ბონი — 1960 წ., ლიუბლიანა — 1963 წ., მოსკოვი — 1966 წ., ლონდონი — 1969 წ., ტოკიო — 1972 წ., პარიზი — 1976 წ., ლაიპციგი — 1980 წ.), კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში (ბერლინი, პრაღა, ვარშავა და სხვ.).

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინსტიტუტში განწყობის ფსიქოლოგიის თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლას, რომელიც არა მარტო ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილებაში (ხელმძღვანელ პროფ. ზ. ხოჯავა) სწარმოებს, არამედ ინსტიტუტის თითქმის ყველა განყოფილებასა და ლაბორატორიაში.

ფიქსირებული განწყობის მეთოდით ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევების მონაცემების თანახმად, განწყობა შეიძლება განვმარტოთ, როგორც მთლიანი სუბიექტის (პიროვნების) მოქმედების მოდუსი, ყოველ დისკრეტულ მომენტში (დ. უზნაძე) — მოდუსი, რომელიც წარმოადგენს „ადამიანური ძალების“ ორგანიზაციის უმაღლეს დონეს (კ. მარქსი), რომელიც თითქოსდა აფოკუსირებს ყველა შინაგან დინამიკურ დამოკიდებულებას, აშუალებს ინდივიდში მასზე სტიმულური ზემოქმედების ფსიქოლოგიურ ეფექტს და რომლის ბაზაზეც აღმოცენდება განსაზღვრული მიმართულების მოქმედება, როგორც ინდივიდისა და გარემოს შორის დამოკიდებულებათა ვაჟინასწორება.

განწყობის ცნების საფუძველზე ნათელი ხდება ადამიანური ქმედების, თვით პიროვნების, როგორც მთელის, გამოვლინების ბუნება, უფრო ზუსტად, ადამიანისა და ქმედების ერთიანობის ბუნება.

განწყობა, როგორც განზოგადებული მდგომარეობა, როგორც მთლიანი სუბიექტის მოდუსი მისი მოქმედების ყოველ დისკრეტულ მომენტში, განსაზღვრავს იმ წანამძღვრებს, რომლებიც საფუძველად უდევს ფსიქიკური აქტივობის კონკრეტულობის გამოვლინებას.

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში თუ მისი გახსნის მომენტში სულ 3 განყოფილება იყო (ზოგადი, გენეტიკური, პათოფსიქოლოგია), ამჟამად აქ 4 განყოფილება და 8 ლაბორატორია მუშაობს: ზოგადი ფსიქოლოგიის, პიროვნების კვლევის ფსიქოლოგიის, შრომის და სოციალური ფსიქოლოგიის, სამედიცინო ფსიქოლოგიის განყოფილებები. ინსტიტუტში არსებობს პროფესიული მიდრეკილებების კვლევის, არასრულწლოვან დამნაშავეთა ქცევის, მეტყველების, უმცროსკლასელოთა სწავლების, მეორე ენის სწავლების, მოტივისა და მოთხოვნილების, შრომითი კოლექტივების,



მასწავლებლის პიროვნების შემსწავლელი ფსიქოლოგიური ლაბორატორიები. გარდა ამისა, საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ორი სამუშაო ჯგუფი, რომელთაგან ერთი მუშაობს ოჯახის სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებზე, ხოლო მეორე პროპაგანდის ფსიქოლოგიის საკითხებზე.

სამედიცინო ფსიქოლოგიის განყოფილებაში დაწყებულია მუშაობა ნარკომანიის ფსიქოლოგიის საკითხების კვლევის მიმართულებით, რაც უაღრესად აქტუალურია ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ ფსიქოლოგიური სამსახურის გაძლიერების თვალსაზრისით.

ფსიქოლოგიის ინსტიტუტი ერთადერთი ფსიქოლოგიური დაწესებულებაა საბჭოთა კავშირში, რომელიც წარმატებით მუშაობს სოციალურ მოთხოვნილებათა ბუნების შესწავლის მიმართულებით. ეს მუშაობა იმდენად ნაყოფიერი და პერსპექტიული აღმოჩნდა, რომ ამ საკითხის შესწავლაში ჩაება როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე სოციალისტური ქვეყნების (პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი) მრავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. ამჟამად გამოქვეყნებულია ამ დარგში შესრულებული ნაშრომების ორი კრებული. სოციალურ მოთხოვნილებათა კვლევას საფუძველი ჩაუყარა შ. ჩხარტიშვილმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არაცნობიერი ფსიქიკურის კვლევის საერთაშორისო ცენტრი გახდა დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომელმაც 1979 წელს დიდი საერთაშორისო სიმპოზიუმი მოაწყო და გამოსცა ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მასალების 3 ტომი (რედაქტორები ა. ფრანგოვილი, ფ. ბასინი და ა. შეროზია). გარდა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებისა სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, აშშ-ის, ავსტრიის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების (სულ 16 ქვეყანა) წარმომადგენლებმა.

ინსტიტუტი სერიოზულ მუშაობას აწარმოებს ე. წ. გამოყენებითი დარგების განვითარების მიმართულებით. ამ მხრეს პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სამედიცინო ფსიქოლოგიის განყოფილებისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის რამდენიმე ლაბორატორიის მუშაობა.

სამედიცინო (აღრე ფსიქოპათოლოგიის) ფსიქოლოგიის განყოფილებას, რომელსაც იმთავითვე პროფ. ს. ბჟალავა ხელმძღვანელობდა, ინსტიტუტის დაარსებისთანავე ჩაეყარა საფუძველი და დიდი მეცნიერული მუშაობა ჩატარა მთელ რიგ დავადებათა (მიზოფრენია, ეპილეფსია, ნევროზები და სხვ.) დიაგნოსტიკური მეთოდების შემუშავების მიმართულებით.

ამჟამად ეს განყოფილება (ხელმძღვანელი ფსიქ. მეც. დოქტ. მ. საყვარელიძე) განაგრძობს მუშაობას შიზოფრენიის მეგეკიდრეობითი ფაქტორების შესწავლის მიმართულებით და თვალსაჩინო შედეგებზე აქვს მოპოვებული.

შედარებით მოგვიანებით, 1957 წ., დაარსდა პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილება, რომელსაც პროფ. შ. ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობდა. ვინაიდან განყოფილებამ იმთავითვე ნაყოფიერი მუშაობა ჩატარა სწავლა-აღზრდის აქტუალურ პრობლემებზე და შესამჩნევი შეიქმნა მისი როლი სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა საკითხთა გადაწყვეტაში, რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ მას გამოუყო თბილისის ორი საბაზო სკოლა ექსპერიმენტული მუშაობის საწარმოებლად.

ამჟამად პედაგოგიური ფსიქოლოგიის სხვადასხვა ლაბორატორიაში მუშავდება: მეორე ენის დაუფლების ფსიქოლოგიური საკითხები (ხელმძღვანელი ფსიქოლოგიის მეც. დოქ. ა. ალხაზიშვილი), დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების (ხელმძღვანელი ი. კოტეტიშვილი), მცირეწლოვან დამნაშავეთა პროფილაქტიკის (ხელმძღვანელი ფსიქ. მეც. კანდიდატი ნ. როჯავა), პროფესიული ორიენტაციის, პროფესიული კონსულტაციის და პროფესიული შერჩევის ფსიქოლოგიური საკითხები (ხელმძღვანელი ფსიქ. მეც. კანდიდატი მ. ზარანდია), მასწავლებლის პიროვნების შემსწავლელი ლაბორატორია (ხელმძღვანელი პედ. მეცნ. კანდ. ზ. გაბაშვილი) და შრომითი კოლექტივების შემსწავლელი ლაბორატორია (ხელმძღვანელი ფსიქ. მეცნ. კანდ. ჩარკვიანი).

ფართო მუშაობა წარმოებს შრომისა და სოციალურ ფსიქოლოგიაში (ხელმძღვანელი პროფ. შ. ნადირაშვილი), სადაც რამდენიმე უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა დაიცვა ხარისხი სოციალურ ფსიქოლოგიაში. ამ განყოფილებაში ძირითადად ორი პრობლემა მუშავდება: 1. ჭგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შეცვლისა და ფორმირების კანონზომიერებანი; 2. განწყობის ძირითადი კანონზომიერებანი მართვის სისტემაში მომუშავე ოპერატორის მოქმედებაში.

დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პიროვნების ფსიქოლოგიის განყოფილება (ხელმძღვანელი პროფ. ვ. ნორაკიძე). აქ მუშავდება პიროვნების კვლევის ძირითადი ფსიქოლოგიური თეორიები, პიროვნების შესწავლის მეთოდები და სხვ.

დიდი საერთაშორისო გამოხმაურება ჰქონდა ამ განყოფილებაში შესრულებულ ვ. ნორაკიძის ნაშრომს: „Методы исследования характера личности“, რომელზედაც ისეთი დიდი მოთხოვნილება იყო, რომ მეორეჯერ გამოცემა გახდა საჭირო.

მეტყველებისა და ცნობიერების ურთიერთობის საკითხებს სწავლობს შედარებით მოგვინებით დაარსებული პრობლემური ლაბორატორია (ხელმძღვანელი ფსიქ. მეც. დოქ. დ. რამიშვილი). ამ ლაბორატორიაში დამუშავებულ პრობლემებს ფართო რეზონანსი აქვს არა მარტო ფსიქოლოგიაში, არამედ ენათმეცნიერების მთელ რიგ დარგებში.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინსტიტუტში განწყობის ფსიქოლოგიის საკითხების შესწავლას (ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი პროფ. ზ. ხოჯავა).

პერსპექტიული გეგმით ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილება შემდეგ ძირითად პრობლემებს შეისწავლის: განწყობა, როგორც პიროვნების, ანალიზის ფსიქოლოგიური ერთეული, განწყობის შესწავლის ექსპერიმენტული მეთოდები, არაციონიერი ფსიქიკური პრობლემა განწყობის ცნების უქუჩე, განწყობის ფორმირებისა და შეცვლის კანონზომიერებანი და სხვ.

საქართველოს კომუნისტური პარტია და მთავრობა მუდმივ მზრუნველობას იჩენს ქართული საბჭოთა ფსიქოლოგიის მიმართ, რისი დადასტურებაც იყო სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 13 იანვრის № 14 დადგენილება „ფსიქოლოგიური მეცნიერების მდგომარეობის, მისი შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის ბიუროს დადგენილება „ფსიქოლოგიის სპეციალისტების გამოყენების შესახებ რესპუბლიკაში“. ამ

დადგენილებებმა საშუალება მისცა ინსტიტუტს ფართო მუშაობა გაეშალა, პირველ რიგში, პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს დადგენილებები ცუდად ხორციელდება სამინისტროებისა და უწყებების მიერ, რის გამო ბევრი კურსდამთავრებული ფსიქოლოგი სამუშაოზე ვერ ეწყობა. დადგენილებები ითვალისწინებს სამინისტროებისა და უწყებების მიერ ფსიქოლოგიური სამსახურის შემოღებას მსხვილ საწარმოებში, მაგრამ მხოლოდ ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ აიყვანა ერთი ფსიქოლოგი და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანამ—2 ფსიქოლოგი. რა თქმა უნდა, ერთი და ორი ფსიქოლოგი წარმოების საქმიანობაზე შესამჩნევ გავლენას ვერ მოახდენს, მაგრამ თუ იგი გარდაიქმნება მნიშვნელოვან ერთეულად, მას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს წარმოებას და ეკონომიკურ ეფექტზეც მოახდინოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩადგენენ სამშობლოს დაცვის სამსახურში ქართველი ფსიქოლოგებიც.

სამამულო ომის აქტუალურ თემებზე გამოაქვეყნეს შრომები ა. ფრანგიშვილმა („პანიკის ფსიქოლოგიისათვის“), ი. ბეალავამ („პრემორბიდეული პიროვნება ომის ფსიქონერვოზებში“), დ. რამიშვილმა („გმირობის ფსიქოლოგიური არსი და გმირობის სხვადასხვა ტიპი“), ა. მოსიაევამ („მებრძოლის სიმტკიცე და აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები“), ზ. ხოჯავამ („საბრძოლო მოქმედების ფსიქოლოგიური საფუძვლები“), რ. ნათაქემ („ნებისყოფა, როგორც საბრძოლო მოქმედების ფაქტორი“), ა. მოსიაევამ („მებრძოლის დისციპლინის ფსიქოლოგია“), ნ. ელიავამ („მეხსიერების პოსტკომაციური დაავადება“) და სხვა.

1942 წელს ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური სესია, რომელიც ომის ფსიქოლოგიის საკითხებს მიეძღვნა.

ფსიქოლოგთა ერთი ჯგუფი ცნობილი ექიმ-ფსიქოლოგის ი. ბეალავას ხელმძღვანელობით დიდ მუშაობას აწარმოებდა თბილისის ერთ-ერთ ევაკოპოსპიტალში.

ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივით 1959 წლიდან რეგულარულად ტარდება ამიერკავკასიის ფსიქოლოგთა თათბირები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოძმე რესპუბლიკათა სამეცნიერო წრეების აზრთა ურთიერთგაზიარებისა და შემოქმედებითი კონტაქტების თვალსაზრისით.

ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერულ ზედრით წონაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სადოქტორო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭო მხოლოდ მოსკოვსა (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში) და თბილისში (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი) არსებობს.

ინსტიტუტში მუშაობს 59 მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის ერთი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 7 მეცნიერების დოქტორი, 17 კანდიდატი.

ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული შრომებიდან უპირველესად უნდა აღინიშნოს დ. უზნაძის მონოგრაფია „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, რომელიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე, და აგრეთვე კრებულები: „ფსიქოლოგიური გამოკ-

ვლევები“, მიძღვნილი დ. უზნაძის დაბადების 85 წლისთავისადმი (თბილისი, 1973 წ.) და „არაცნობიერი — ბუნება, ფუნქცია, კვლევის მეთოდები“, რომელიც შეიცავს სტატიებს 4 ენაზე — რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენაზე (თბილისი, 1978 წ.).

სერიოზული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ დამხმარე სახელმძღვანელოებს „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ (2 ტ.) და „ბავშვის ფსიქოლოგია“ (2 ტ.). აღსანიშნავია, რომ ორივე ამ სახელმძღვანელოს განმეორებით გამოცემა გახდა საჭირო.

ქართული საბჭოთა ფსიქოლოგია სსრკ-ს შექმნის 60 წლის მანძილზე ახორციელებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ფსიქოლოგიის თითქმის ყველა აქტუალურ საკითხზე და ყოველთვის ერთ-ერთი მოწინავე იყო საბჭოთა ფსიქოლოგიაში.

სსრკ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის (მოსკოვი) გამოცემაში: „ფსიქოლოგიური მეცნიერება სსრკ-ში“ (ორი ტომი, 1961 წ.) ფართოდ არის წარმოდგენილი დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ქართველი ფსიქოლოგების წვლილი საბჭოთა ფსიქოლოგიის განვითარებაში.

ქართველ ფსიქოლოგთა გამოკვლევები განუყოფლად არის დაკავშირებული საბჭოთა ფსიქოლოგების შემოქმედებით მუშაობასთან მარქსისტული ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარების მიმართულებით.





## ფილოსოფია

ლ. ვ. მდივანი

### О НЕКОТОРЫХ АСПЕКТАХ ИССЛЕДОВАНИЯ КАТЕГОРИИ ПОТРЕБНОСТИ

На современном этапе общественного развития растет роль субъективного фактора во всех сферах жизни, растет активность субъекта, обогащаются и все более разносторонними становятся человеческие потребности, которые являются исходными и, в известном смысле, определяющими человеческую деятельность.

Л. И. Брежнев в отчетном докладе ЦК КПСС на XXVI съезде нашей партии отмечал: «Мы располагаем большими материальными и духовными возможностями для все более полного развития личности и будем наращивать их впредь. Но важно вместе с тем, чтобы каждый человек умел ими разумно пользоваться. А это, в конечном счете, зависит от того, каковы интересы, потребности личности. Вот почему в их активном, целенаправленном формировании наша партия видит одну из важных задач социальной политики» [4, с. 86].

Проблема потребности достаточно сложна и в основном определяется тем, что потребности имеют многоплановые аспекты и уровни, изучаемые различными научными дисциплинами, между которыми не существует такой связи, которая обеспечила бы всестороннее понимание проблемы.

Подход исторического материализма к проблеме потребности, с нашей точки зрения, требует разъяснения таких вопросов, как: закономерности возникновения, формирования и совершенствования потребностей, взаимосвязь между потребностями и социальной средой и производством, функционирование потребностей в развитии общества в целом, их роль в возникновении и развитии форм общественного сознания, взаимозависимость между личными и общественными потребностями, воспитание высоких моральных, эстетических потребностей и решающее значение этих последних в формировании нового человека.

Нельзя не отметить, что современная марксистская философская литература не так богата исследованиями проблемы потребности. Только несколькими авторами ограничивается чисто философское исследование данной проблемы (А. В. Маргулис, Т. П. Шляхтенко, Г. Г. Дилигенский, Д. А. Кикнадзе), в то время как психологическая литература в этом плане достаточно богата. Необходимо отметить труды Д. Н. Узнадзе, С. Л. Рубинштейна, А. Н. Леонтьева, И. А. Джидарьяна, Л. С. Выготского, Ш. Чхартишвили, Ш. А. Надирашвили, А. С. Прангишвили, О. И. Табидзе, В. Л. Какабадзе и целого ряда других психологов.

В последние годы проблема потребности становится предметом изучения эстетиков и этиков. Отметим вышедшую в свет монографию под редакцией и в соавторстве ленинградских авторов М. С. Кагана и В. Т. Иванова «Проблема потребностей в этике и эстетике», а также работы А. Ф. Еремеева, Л. А. Смержа, Е. С. Акопджаняна об эстетических потребностях. В этике — труды Л. М. Архангельского, О. Дробницкого и др. Следует отметить, что является явным упущением тот

факт, что ни в одном учебнике по марксистско-ленинской философии вообще не рассматривается роль потребности в развитии общества, не рассмотрена она и в связи с вопросом производства, личности, возникновением форм общественного сознания. Это создает определенные трудности как в исследовании самой проблемы, так и в процессе преподавания.

Исходным в исследовании вопроса является тезис К. Маркса о том, что общественная жизнь в своей сути является практической и что сам человек — действующее, практическое существо. Познание субъектом закономерности развития мира возможно только на основе активного действия субъекта; субъект, по историческому материализму, является единым субъектом, который, познавая действительность, преобразует ее.

Марксистская теория рассматривает потребность как первопричину и основу человеческой деятельности, как определенную взаимосвязь между человеком и средой, как своеобразное проявление этой связи. Но какова эта связь? Связь, которая устанавливается между человеком и средой обусловлена, с одной стороны, своеобразием среды (понятие среды понимается в широком смысле, можно под этим подразумевать природу, общество и самих людей), ее значимостью для человека и, с другой стороны, своеобразием самого субъекта — в противном случае не было бы смысла говорить о возникновении потребностей.

С точки зрения М. С. Кагана, А. В. Маргулиса и М. М. Хмелова «потребность возникает из соотношения объективных свойств среды, в которой сформировался и функционирует данный субъект, и объективных свойств самого функционирующего субъекта» [8, с. 10].

В. И. Мясищев, рассматривая возникновение потребности, отмечает, что «потребность существует, как объективная и субъективная связь..., которая определяет всю систему поведения человека, вызванного предметом или отношением к нему» [7, с. 4].

Мы в основном согласны с мыслью В. И. Мясищева, но не считаем целиком правильным его заявление о том, что потребность вызывается «предметом или отношением к нему». Думаем, что предмет (среда) и определенное отношение самого субъекта к предмету, вместе взятые, являются необходимыми, но взятые в отдельности — недостаточными для объяснения факта потребности.

Если среда не имеет для субъекта определенную значимость, то между субъектом и средой существует индифферентное отношение. Отношения, которые создаются своеобразием субъекта и объектом определенного для субъекта значения, являются определяющими для возникновения и существования тех или иных потребностей; потребности представляют собой оценочное отношение субъекта, одновременно детерминированное уже оцененным им объектом. Здесь мы имеем дело с довольно сложной системой взаимосвязи, каждый элемент которой существует в определенном диалектическом взаимоотношении и представляет собой равноценный член этих взаимоотношений.

Классики марксизма ясно указывали на тот факт, что содержание человеческой деятельности глубоко и непосредственно связано с человеческими потребностями. «Никто не может сделать что-нибудь — не деля этого, вместе с тем, ради какой-либо из своих потребностей» [1. т. 3, с. 245].

«Там, где индивиды имеют потребности, они уже в силу этого име-

ют некоторое призвание и некоторую задачу...» [1, т. 3, с. 279]. «Люди привыкли объяснять свои действия из своего мышления, вместо того, чтобы объяснять их из своих потребностей» [1, т. 20, с. 493]. Изучая закономерности, в частности, психологический механизм действия, поведения человека, обосновывая теорию установки, Д. Н. Узнадзе решающее значение придавал потребностям и среде. Д. Н. Узнадзе считал, что установка, как специфическое состояние субъекта, возникает в нем как результат влияния объективной ситуации удовлетворения потребностей. По мнению Д. Н. Узнадзе, «при изучении поведения на всех уровнях его развития наиболее фундаментальную роль играет понятие потребности, без которой жизнь вообще немислима» [9].

Что касается мотива, то его основой является как раз определенная потребность. По мнению А. Н. Леонтьева, путем мотива происходит конкретизация потребности. Мотив — форма проявления потребности и всегда связан с удовлетворением определенной потребности. Потребности людей составляют основу их интересов. Не существует интереса вне потребности, именно определенная потребность обуславливает определенный интерес. Связь между ними очень сложна и противоречива. Часто они настолько переплетены, что очень трудно отделить их друг от друга.

Интересную мысль в связи с этим вопросом развивает М. В. Демин: «Интерес есть потребность в овладении объектом потребности, осуществляемая через деятельность, следовательно, это есть потребность в деятельности» [5, с. 3].

Важное место в толковании понятий потребности как категорий исторического материализма обусловлено тем, что в соответствии с материалистическим объяснением истории основу существования общества и его развития составляет производство материальных благ; именно в производстве происходит осуществление потребностей, их определенная реализация; потребности определяют необходимость производства. По К. Марксу, потребность с самого начала подразумевается как необходимый внутренний момент производственной деятельности, будет это материальное или духовное производство. Потребность должна быть потребностью создания ценности, создания нового. Этот ценностный характер потребности, ценностная ориентация должны быть исходными, и это дает «право» рассматривать потребность как категорию исторического материализма.

Между людьми существуют достаточно большие различия в зависимости от того, какие потребности характерны для их «я». Характером потребностей оценивается человек, его деятельность. И предмет оценивается в зависимости от того, какие потребности он может удовлетворить.

К. Маркс, рассматривая значение способа производства в существовании и развитии общества, отмечал: «Какова жизнедеятельность индивидов, таковы и они сами. То, что они собой представляют, совпадает, следовательно, с их производством — совпадает как с тем, что они производят, так и с тем, как они производят» [1, т. 3, с. 19].

Как возникновение потребностей, так и их реализация зависят от характера способа производства, от конкретных условий. Возникновение новых потребностей, их изменение, направление их развития определяются общественной жизнью со всем ее сложным механизмом. Социальная обусловленность потребностей подразумевает существование конкретных социальных факторов.

К.Маркс отмечал: «Человечество ставит себе всегда только такие задачи, которые оно может разрешить... сама задача возникает лишь тогда, когда материальные условия ее решения уже имеются налицо, или, по крайней мере, находятся в процессе становления» [2, т. 1, с. 536].

Люди с их потребностями и деятельностью тесно связаны с конкретным историческим обществом. К. П. Мегрелидзе правильно отмечал, что «когда говорят о потребностях человека, о человеческих интересах... нужно всегда помнить, что не существует «человек вообще», а всегда только человек определенного времени и общества, равно как и общество не есть «общество вообще», но определенное общество, находящееся на известной исторической ступени развития» [6, с. 397—398].

Таким образом, потребности должны быть рассмотрены в конкретной социальной системе. С развитием общества меняется характер, функционирование потребностей; они определяются самой жизнью, конкретным обществом, существующими в этом обществе возможностями удовлетворения потребностей. С развитием общества меняется не только конкретно-историческое содержание и характер потребностей, но и способы, форма деятельности; новые потребности требуют соответствующих форм деятельности. А все это определяет в известном смысле роль людей в развитии общества.

Активная деятельность людей в первую очередь означает и подразумевает постоянную активизацию потребностей, их полноту, глубину, полное выявление жизнеспособности людей. К. Маркс отмечал, что человек в своем существовании отличается «безграничностью своих потребностей и их способностью к расширению» [3, т. 2, с. 235], или еще: «с развитием человека расширяются и производительные силы, которые служат для их удовлетворения» [1, т. 25, с. 387].

Удовлетворение потребностей возможно только в определенной социальной среде, но вместе с целым рядом факторов необходимо учесть потребности социальных групп, коллективов, классов. Деятельность людей требует контактов с другими людьми, характер этих взаимоотношений создает в конечном счете смысл жизни.

Рассматривая данный вопрос, К. Маркс и Ф. Энгельс писали: «Каждое деятельное проявление его существа..., каждое его жизненное стремление становится потребностью, нуждой, которая делает его себялюбие любовью к другим вещам и другим людям. Каждый индивидуум должен создать эту связь, становясь в свою очередь связником между чужой потребностью и предметом этой потребности... естественная необходимость, свойства человеческого существа..., интерес — вот что сцепляет друг с другом членов гражданского общества» [1, т. 2, с. 134].

В процессе удовлетворения своих потребностей люди создают связи и отношения, будь это экономические, политические, идеологические или моральные. Все это есть результат и цель многосторонней творческой активности человека и сущность его надо искать в проявлении его творческих сил. Человек всеми своими возможностями, богатством своих потребностей должен утвердить, оправдать свое существование, производить свое бытие. Это есть процесс самоутверждения, процесс создания истории со всем ее многообразием, целым рядом аспектов и уровней.

Необходимо отметить, что производство вещей и производство жизни не являются тождественными; производство вещей является только возможностью для того, чтобы люди осуществляли свое бытие, произво-



дили бы способ своей жизни. Необходимость производства самой жизни обуславливает производство вещей, производство политических, моральных, эстетических и других сфер, удовлетворяющих потребности людей.

Возникновение потребностей, их существование, развитие и функционирование представляют собой сложный социальный механизм, развитую систему, каждый элемент которой не имеет самостоятельного значения. Смысл и значение их существуют только по отношению друг к другу, во взаимном определении, единстве и своеобразном противоречии. Противоречие на самом деле существует в процессе осуществления потребностей и между потребностями самих людей и социальных групп, классов и целого общества. Это противоречие определяется целым рядом объективных и субъективных факторов, вне действия которых было бы невозможным возникновение, существование и развитие потребностей и жизни самого общества в целом.

Современная эпоха характеризуется значительной динамичностью и, вместе с тем, сложностью осуществления потребностей. Это, в первую очередь, связано с научно-техническим прогрессом, который представляет собой определенную основу изменения общественных и личных потребностей, изменения способа жизни людей.

Советское общество, как это отмечал Л. И. Брежнев на XXVI съезде нашей партии, является обществом людей труда. А это означает, что потребностью всех советских граждан должен быть труд, но труд, свободный от тяжелой физической нагрузки, труд прогрессивный, выявляющий способности человека, труд как средство осуществления высоких моральных и эстетических потребностей.

Главная идея и основное направление политики нашей партии, неизменное программное требование — все для человека, все для блага человека, забота о его потребностях, интересах. А это требует и ставит перед учеными вопрос о более углубленном изучении и объяснении определенных факторов возникновения, совершенствования, воспитания человеческих потребностей.

#### ЛИТЕРАТУРА

1. Маркс К., Энгельс Ф. Сочинения, изд. 2-е.
2. Маркс К., Энгельс Ф. Избр. произвед., М., 1979.
3. Архив К. Маркса и Ф. Энгельса. М., 1930.
4. Брежнев Л. И. Отчетный доклад Центрального Комитета КПСС XXVI съезду Коммунистической партии Советского Союза и очередные задачи в области внутренней и внешней политики, 1981.
5. Демин М. В. К вопросу о природе интереса. «Философские науки», 1972, № 3.
6. Мегрелидзе К. Р. Основные проблемы социологии мышления, 1965.
7. Мясищев В. И. Проблема потребности в системе исторического материализма. Учен. зап. ЛГУ, 1957.
8. Проблема потребностей в этике и эстетике. 1976.
9. Узнадзе Д. Н. Основные положения теории установки. Экспериментальные основы теории установки. Тб., 1961.

Представлена Институтом философии АН Грузинской ССР

### მენარა მახვი

## სოციალური აპტიურობა როგორც ისტორიული მატერიალიზმის კატეგორია

1. **ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიათა სისტემა.** ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები, კატეგორიათა სისტემის სტრუქტურა, მისი აგების პრინციპების პრობლემა, თანამედროვე საზოგადოებათმცოდნეობის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, რომლის განხილვაც უადრესად ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ ფაქტის დამადასტურებელია საკავშირო და რეგიონალური კონფერენციები, დისპუტები, რომლებიც უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ეწეობა ჩვენს ქვეყანაში<sup>1</sup>, ნაშრომები, სადაც დასმულია და განხილულია აღნიშნული საკითხები. ძნელია დავასახელოთ ისტორიულ მატერიალიზმის დარგში მომუშავე სერიოზული მკვლევარი, რომელიც სპეციალურად ან გაკვრით მაინც არ ეხებოდეს კატეგორიებისა და მათი სისტემის აგების პრობლემებს.

აღნიშნული ვარემოება სრულიად გასაგებია, რადგან ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიათა სისტემის პრობლემა ეს ისტორიული მატერიალიზმის საგნის, მისი დედაზარის, მისი სტრუქტურის პრობლემაცაა.

მარქსიზმის კლასიკოსებმა შექმნეს და განავითარეს ისტორიული მატერიალიზმი, როგორც მეცნიერება, განსაზღვრეს ლითუმის ყველა ძირითადი კატეგორია და ჩამოაყალიბეს ამ კატეგორიათა სისტემის აგების ფუნქციონალური იდეები. კ. მარქსის „კაპიტალი“ გვევლინება იმ ძირითად სოციოლოგიურ ნაშრომად, სადაც ჩამოყალიბებულია და რეალურ სოციალურ პროცესში ნაჩვენებია ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები. მიუხედავად აღნიშნულისა, ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები, მათი ურთიერთკავშირისა და სისტემის აგების პრობლემა არ ყოფილა მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომების სპეციალური კვლევის საგანი. კ. მარქსი და ფ. ენგელსი თანდათან ავითარებდნენ მოძღვრებას ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიათა შესახებ იმისდა მიხედვით, თუ რა კონკრეტულ-ისტორიული ამოცანების გადაწყვეტას ისახავდნენ მიზნად.

კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპები და თვით კატეგორიათა სისტემის განვითარება არც ვ. ი. ლენინის ნაშრომების სპეციალური მსჯელობის საგანი გამხდარა.

ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიათა ურთიერთკავშირისა და სისტემის აგების პრობლემატიკის სპეციალური დამუშავების ცდა საბჭოთა ფილოსოფოსებს ეკუთვნით<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხილეთ საკავშირო თაობიერების, სხდომების, მრგვალი მაგიდის და სხვა მასალები: Актуальные проблемы теории общественно-экономических формаций, «Философские науки», 1979, №6, с. 153—158; Обсуждение проблем общественных отношений, «Вопросы философии», 1978, № 10, с. 159—163; Проблема общей логики и структуры курса исторического материализма, «Философские науки», 1980, № 3, с. 168—176; Рекомендации всесоюзного совещания заведующих кафедр общественных наук, М., 1981.

<sup>2</sup> იხილეთ ვ. ტუვარინოვის, ლ. ჩენსოკოვის, ე. კელეს, მ. კოვალზონის, ა. სპირკინის, ვ. ბარლ-

ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიათა შესახებ მსჯელობას იწყებს ცნობილი ფილოსოფოსი ვ. ტუგარინოვი. 1958 წელს გამოდის მისი ნაშრომი [17], სადაც ავტორი, პირველად საბჭოთა ფილოსოფოსებს შორის, აყენებს იდეას ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიათა განსხვავებული რიგების შესახებ.

ვ. ტუგარინოვის აზრით, ისტორიულ მატერიალიზმში არის ორი სახის კატეგორიები: ფილოსოფიური და სოციოლოგიური. მისი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა გამოთქვა აზრი ისტორიული მატერიალიზმის, როგორც მრავალგანზომილებიანი მეცნიერების შესახებ. ის იყო პირველი, რომელმაც ახლებურად შეხედა საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ცნებებს.

შემდგომ პერიოდში საბჭოთა ავტორები ავლენენ ტუგარინოვის კონცეფციის ნაკლოვანებებს, მაგრამ იშვიათია ავტორი, რომელიც მას გულგრილად უვლის გვერდს.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, კატეგორიათა სისტემის პრობლემა ისტორიული მატერიალიზმის საგნის, მისი შინაგანი ლოგიკის და მთელი მეცნიერების სტრუქტურის პრობლემაა. ამიტომ არის, რომ სისტემური იდეები უშუალოდ საგნის ვაგებიდან გამომდინარეობს. ავტორები, რომლებიც ისტორიული მატერიალიზმის საგნის უკიდურეს გნოსეოლოგიზაციას ახდენენ მომხრენი არიან მხოლოდ ერთი რიგის კატეგორიებისა — საზოგადოებრივი ყოფიერების და საზოგადოებრივი ცნობიერებისა.

მეორე ტენდენცია საგნის ვაგებაში ეყრდნობა იმ კანონთა დეტალურ ასახვას, რომელსაც ისტორიული მატერიალიზმი შეისწავლის. ეს იდეა დ. ჩესნოკოვმა [18] წარმოაჩინა, შემდგომ განავითარეს ი. ულედოვმა. ს. გონჩარუკმა [11] და ვ. ვინოგრადოვმა. ამჟამად მოქმედ სახელმძღვანელოებში ისტორიული მატერიალიზმი განსაზღვრულია, როგორც მეცნიერება საზოგადოების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ. მაგრამ ამ განსაზღვრებაში, ჩესნოკოვის აზრით, არ ჩანს მთავარი, ის, რომ საზოგადოება განიხილება, როგორც მთლიანი სისტემა. ს. გონჩარუკის აზრით, აუცილებელია განვასხვაოთ საზოგადოების, როგორც მთლიანი, თვითმორგანიზებული სისტემის სტრუქტურის კანონები მისი განვითარებისა და ფუნქციონირების კანონებისაგან. თავის მხრივ, გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება ფუნქციონირების კანონები განვითარების კანონებთან შედარებით. როგორც ვხედავთ, წარმოდგენილია მოქმედ კანონთა რთული სისტემა, რომელნიც ურთიერთშორის საკმაოდ რთული სუბორდინაციით არიან დაკავშირებულნი.

საგნის ასეთი ვაგება აუცილებლობით მიუთითებს საზოგადოების სტრუქტურის, მისი განვითარებისა და ფუნქციონირების ამსახველ კატეგორიათა არსებობაზე.

საინტერესოა სისტემური იდეა ჩამოაყალიბა ლენინგრადელმა პროფესორმა კარავაევმა. [12]. მისი აზრით, პირველი რიგის კატეგორიები ასახავენ საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებას, მეორე ჯგუფი კატეგორიებისა სულიერი ცხოვრების ასახვისათვის არის განკუთვნილი, მესამე ჯგუფის კატეგორიები კი

აერთიანებს პირველი და მეორე ჯგუფის კატეგორიებს და ატარებს სინთეტურ ხასიათს.

როგორც ვხედავთ, ღრმავდება აზრი ისტორიული მატერიალიზმის, როგორც მრავალგანზომილებიანი მეცნიერების შესახებ.

ისტორიული მატერიალიზმის პრობლემის ცნობილ მკვლევარებს, ვ. კელეს და მ. კოვალზონს მიაჩნიათ, რომ ისტორიული მატერიალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა სოციალური სინამდვილის შემეცნების თეორია და მეთოდი. ამიტომ ძირითადი ამოცანა მდგომარეობს მისი კატეგორიული აპარატის სისტემის შექმნაში. მათ მიერ ერთობლივად გამოცემულ სახელმძღვანელოში [13] და შემდგომ ნაშრომებში [14] გატარებული აზრის თანახმად, ისტორიული მატერიალიზმი არის მეცნიერება, რომელიც ასახავს ისტორიას, როგორც ობიექტურ პროცესს, გადმოსცემს მის იმანენტურ რეინის ლოგიკას, რომელიც აუცილებლობით გაპირობებულია მატერიალური დეტერმინანტებით და დამოუკიდებელია ადამიანების ცნობიერებისა და ნებისყოფისაგან. მეორეს მხრივ, ეს არის ადამიანთა მოღვაწეობის რეალური პროცესი. მათი აზრით, ნაკლი რაც დღემდე ახსიათებდა ისტორიული მატერიალიზმის გაგებას, ეს არის ის, რომ ისტორიულ მატერიალიზმს წარმოადგენდნენ მეცნიერებად, რომელიც იძლევა კონკრეტულ ცოდნას საზოგადოებრივ მოვლენებზე და ისტორიაზე. სინამდვილეში მის წინაშე სრულიად განსხვავებული ამოცანაა. საჭიროა ასახოს კატეგორიების შინაარსი და აჩვენოს მათი მეთოდოლოგიური როლი, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსი და მეთოდოლოგიური ფუნქცია უაღრესად მჭიდრო კავშირში არიან და ერთი მეორეს განაპირობებენ, მათი გაიგივება არ შეიძლება.

საბოლოოდ ვ. კელეს და მ. კოვალზონის შეხედულება ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიათა სისტემაზე შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ვინაიდან ისტორიული მატერიალიზმი მრავალგანზომილებიანი მეცნიერებაა, ამიტომ სამი სახის კატეგორიები მაინც უნდა დამუშავდეს; ერთი რიგი იქნება ისტორიის, როგორც ობიექტური პროცესის ამსახველი კატეგორიები, მეორე რიგი კატეგორიებისა წარმოადგენს ისტორიას როგორც ადამიანთა მოღვაწეობის შედეგს, ხოლო მესამე რიგი ასახავს ადამიანის ჩამოყალიბების, მისი განვითარების ზვას და მის შესაბამის პრობლემატიკას.

სოციალური აქტიურობის კატეგორიას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა საბჭოთა ფილოსოფოსმა გ. არეფიევამ [6]. მას მეტად ნაყოფიერად მიაჩნია იდეა კატეგორიალურ რიგთა შესახებ, მაგრამ თითქმის არც ერთ ავტორს არ ეთანხმება ამ რიგების გამოყოფის პრინციპების საკითხში. მისი აზრით, ისტორიულ მატერიალიზმში სამი რიგის კატეგორიებია: ფილოსოფიური, სოციოლოგიური და სინთეტური. ეს რიგები განსხვავდებიან სინამდვილის შესწავლის დონეებით. ფილოსოფიური კატეგორიები გნოსეოლოგიურ ასპექტში იხილავს სოციალურ სინამდვილეს, მათ რიცხვს მიეკუთვნება „საზოგადოებრივი ყოფიერება“ და „საზოგადოებრივი ცნობიერება“, „მატერიალური და იდეოლოგიური საზოგადოებრივი ურთიერთობები“, „სუბიექტური“ და „ობიექტური“; სოციოლოგიური რიგის კატეგორიებია: „საზოგადოება“, „საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაცია“, „წარმოების წესი“, „ბაზისი და ზედნაშენი“ და სხვა. მესამე რიგის კატეგორიები არის ისეთი სახის სინთეტური ცნებები, რომლებიც აერთიანებენ ამ ორი რიგის კატეგორიებს, ესენია: „საზოგადოებრივ-ის-



ტორიული პრაქტიკა“, „სუბიექტი და ობიექტი“, „მოთხოვნილება“, „ინტერესი“, „მიზანი“ და სხვა. [6, გვ. 124—125].

როგორც აღნიშნული თვალსაზრისებიდან ჩანს, ყველა ავტორს საკმაო მეცნიერული „საბუთი“ გააჩნია მის მიერ წამოყენებული სისტემური იდეის დასაბუთებლად. აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ყველა ეს სისტემური იდეა მეტ-ნაკლები პოპულარობით სარგებლობს და ყოველი მათგანის წარმოჩენით თავის დროზე, შესაძლებელი გახდა ისტორიული მატერიალიზმის ცალკეული პრობლემატიკის ან ასპექტის უკეთესად დამუშავება. აღნიშნული საკითხებისადმი უაღრესად საინტერესო მიდგომით გამოირჩევა ვ. ბარულინი [8].

ვ. ბარულინის აზრით, ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიათა დიფერენცირება უნდა მოხდეს: 1) სინამდვილის ასახვის სიღრმის ხარისხით, 2) სოციალური სინამდვილის შემეცნების დონით; 3) ლოგიკურ-გნოსეოლოგიური ბუნებით. ისინი მხოლოდ სინამდვილის შესწავლის ასპექტებით კი არ განსხვავდებიან, არამედ საზოგადოებრივი რეალობის განზოგადოების ხარისხით.

ვინაიდან სოციალურ სინამდვილეს თავისი არსი და გამოვლენის ფორმები აქვს, მოვლენის შესწავლით მივდივართ პირველი რიგის არსისაკენ, შემდეგ მეორე, უფრო ღრმა არსს ვწვდებით და ა. შ. ამიტომ კატეგორიები გვევლინებიან სხვადასხვა რანგის აბსტრაქციებად.

ვ. ბარულინის აზრით, ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიათა სისტემა არის იერარქიული სტრუქტურის, ის შეიცავს ქვესისტემებს და არ შეიძლება ყველა ერთნაირი ზოგადობით ხასიათდებოდეს, ყველა მათგანს თავისი მოქმედების სფერო, ინტენსივობა და საზღვრები აქვს. მინც რა კატეგორიალურ რიგებს გამოყოფს აღნიშნული ავტორი?

პირველი, ეს არის მატერიალური დოვლათის წარმოების წესის კატეგორიათა რიგი, რომელიც მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: „მატერიალური დოვლათის წარმოების წესი“, საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური სფერო, არენა, სადაც ხორციელდება ადამიანთა ერთობის ისტორიული კანონები, „პოლიტიკური ცხოვრება“ ანუ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და ურთიერთობათა კანონზომიერი არსებობის და განვითარების სფერო, „სულიერი ცხოვრება“ ანუ საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნქციონირების კანონები განხილული მისი განვითარებისათვის აუცილებელ სოციალურ ინსტიტუტებთან ერთად. როგორც დავინახეთ, პირველი რიგის კატეგორიათა სისტემამ მოიცვა თითქმის მთელი ისტორიული მატერიალიზმის პრობლემატიკა. რა გამოდის ამ რიგის კატეგორიათა კომპლექციის გარეთ? ურთიერთობა საზოგადოებრივ ობიექტურ რეალობასა და ცნობიერებას შორის.

მეორე რიგის კატეგორიებია საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ყოფიერების კატეგორიალური რიგი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საზოგადოების შესწავლა გნოსეოლოგიურ ასპექტში. მხოლოდ ამ ასპექტშია შესაძლებელი პრინციპული დაპირისპირება მატერიალურისა და იდეალურის, პირველადობისა და მეორადობის თვალსაზრისით. ბარულინი ეყრდნობა ვ. ი. ლენინის ცნობილ სახელმძღვანელო დებულებას მისი შრომიდან „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ იმის თაობაზე, რომ მატერიისა და ცნობიერების როგორც დაპირისპირებულთა განხილვა შეიძლება როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი გაგებით და რომ მათ დაპირისპირებას აქვს აბსოლუტური ხასიათი მხოლოდ გნოსეოლოგიურ ასპექტში.

რა დასკვნების გაკეთება შეიძლება იმ თვალსაზრისთა მიმოხილვის

საფუძველზე, რომელსაც დღეს მოქალაქეობრივი უფლება აქვს მოპოვებული საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში? ერთ და იმავე დროს მოქმედებს ფუნქციონირების რამდენიმე სისტემური იდეა ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიათა შესახებ. ყველა ავტორი ცდილობს მეცნიერულად დაასაბუთოს მის მიერ წამოყენებული თვალსაზრისი. ალბათ მთლად სამართლიანი არ იქნება მათი კატეგორიული უარყოფა, რადგან გარკვეულ ფარგლებში და კვლევის გარკვეულ ასპექტში ყოველი მათგანი გარკვეულ შედეგებს აღწევს. თუ დავუკვირდებით ისტორიული მატერიალიზმის კურსის პრობლემატიკას იმ სახით, როგორც ის არსებობს თანამედროვე ეტაპზე, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, დავინახავთ, რომ ნაწილობრივ რეალიზებულია თითქმის ყველა სისტემური იდეა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ბოლომდე მოყვანილი. არც ერთი მათგანის საფუძველზე არ არის გააზრებული ისტორიული მატერიალიზმის მთელი კურსი. ასე მაგალითად, იგრძნობა საზოგადოების ორი მიმართულებით განხილვა: საზოგადოება როგორც მთლიანი სისტემა (თემა — საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია) და საზოგადოების ცალკეული ნაწილები (თემა — საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია და სხვა). გადმოცემულია ეგრეთწოდებული „ობიექტური“ თემები, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების ისტორიას, როგორც ბუნებრივ ისტორიულ პროცესს და არის თემებიც, რომლებიც ასახავენ ადამიანთა მოღვაწეობას (კლასები და კლასთა ბრძოლა). არც სტრუქტურული თემებია დავიწყებული (ბაზისი და ზედაშენი) და არც ადამიანის პრობლემატიკა.

მიუხედავად აზრთა ასეთი სხვადასხვაობისა, ძირითადი, ფუძემდებლური იდეები უკვე დავას აღარ იწვევს. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი: ისტორიული მატერიალიზმი არ არის ერთგანზომილებიანი მეცნიერება, ის საზოგადოებას იხილავს როგორც მთელს, მის სტრუქტურას, მის შემადგენელ ელემენტთა კავშირის წესისა და სუბორდინაციის თვალსაზრისით. ისტორიული მატერიალიზმის საგნის განსაზღვრებიდან, და ისტორიის მატერიალისტური გაგებიდან უშუალოდ გამომდინარეობს ისტორიული მატერიალიზმის, როგორც ფილოსოფიურ-სოციოლოგიური დისციპლინის გაგება<sup>3</sup>. ამიტომ იდეა კატეგორიულ რიგთა შესახებ უაღრესად ნაყოფიერი და სწორედ ამ გარემოებით არის გამოწვეული, რომ არც ერთი ავტორი ამ იდეას გვერდს არ უვლის. ყველა მათგანი სხვადასხვა რიგს და თანმიმდევრობას გვთავაზობს, მაგრამ აზრს, რომ არსებობს განსხვავებული რიგის კატეგორიები, იზიარებს უკლებლივ ყველა.

დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს ის აზრი, რომ ისტორიული მატერიალიზმი გარკვეული „ბლოკების“ სახით, კატეგორიათა გარკვეული ჯგუფების სახით უნდა წარმოვიდგინოთ, რომელიც მთლიანად სისტემაშია გაერთიანებული. მათი საშუალებით არის განხორციელებული საზოგადოების სხვადასხვა დონეზე შემეცნება. უდავოა ზოგადფილოსოფიურ და ზოგადსოციოლოგიურ კატეგორიათა რიგების არსებობა (იხილეთ დასახელებული სარედაქციო სტატია). ისიც უდავოა, რომ ფილოსოფიურ კატეგორიათა რიგი, საზოგადოების გნოსეოლოგიური ასპექტით შემეცნების რეალზაციას წარმოადგენს, ხოლო სოციოლოგიურ კატეგორიათა რიგი გვაძლევს ცოდნას ისევ საზოგადოებაზე როგორც მთელზე, მაგრამ მისი ცალკეული სფეროების ურთიერთკავში-

<sup>3</sup> ეს აზრი ნათლად არის ჩამოყალიბებული სარედაქციო სტატიაში: О состоянии и направлениях философских исследований, «Вспросы философии», 1979, № 12, с. 7.

რისა და მატერიალურის იდეალურში და პირუტყუ გადასვლის მექანიზმის ახსნას ემსახურება.

უაღრესად ნაყოფიერი ჩანს მოძღვრება საზოგადოების სფეროების შესახებ, რომლის თაობაზეც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რამდენიმე სერიოზული ნაშრომი გამოქვეყნდა [8, გვ. 14].

ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიათა რიგების, ქვესისტემებისა და ბლოკების სისტემატიზაციის პრინციპი უნდა იყოს იდეალურის მატერიალურით განპირობებულობის, განსაზღვრულობის პრინციპი, ანუ ფილოსოფიის ძირითადი საკითხის არსი. სწორედ ეს მიდგომა აქციეს სოციალური სინამდვილის შემეცნების ძირითად მეთოდად მარქსმა და ენგელსმა.

ქ. მარქსმა პირველად „კაპიტალში“ გაატარა ძირითადი იდეა საგნების საზოგადოებრივი ყოფიერების გამოცალკეეების შესახებ მათი სხეულებრივი სუბსტრატისაგან. ამ მიდგომით ვახდა შესაძლებელი საგნის სახმარი ღირებულების და ღირებულების კატეგორიების გაგება. ღირებულება საწინააღმდეგოა მატერიალურის, სხეულებრივის, საგნობრივის. ის არ არის საგნის არც ერთი კონკრეტული თვისება, მაგრამ სრულიად ობიექტურად არსებული რეალობაა. სწორედ ეს არის საგნის სოციალური არსებობის წესი, მისი საზოგადოებრივი ყოფიერება. მარქსმა აჩვენა, რომ ისე როგორც ეს ორი სახის ობიექტური რეალობა ცალკე არ არსებობს, ასევე მჭიდრო კავშირშია მათი ამსახველი კატეგორიალური რიგები. ერთი მეორის არსია და მხოლოდ მისი საშუალებით არსებობს [1, ტ. 23, გვ. 56, 93, 213; ტ. 25, გვ. 11, 121].

ცალკეული ფილოსოფიური კატეგორიის გააზრება უნდა მოხდეს როგორც სოციოლოგიურ ისე ფილოსოფიურ-გნოსეოლოგიურ დონეზე. სწორედ ამ წესით უნდა ვაიაზროთ სოციალური აქტიურობის კატეგორიაც.

**2. სოციალური აქტიურობის ცნება.** სოციალური აქტიურობის კატეგორია დიდ ყურადღებას იმსახურებს როგორც ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა, ისე მონათესავე დისციპლინების წარმომადგენელთა მხრივ. გაზრდილი ინტერესი ცნების განსაზღვრისადმი გამოწვეულია როგორც თეორიული ისე პრაქტიკული მოსაზრებებით. განსაკუთრებული ადგილი ამ საკითხის აქტუალობის გამოიწვევს მიზეზთა შორის მაინც განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აღმშენებლობითი ფუნქციების განხორციელებასთან არის დაკავშირებული.

სოციალისტური საზოგადოება საერთოდ და განვითარებული სოციალიზმი, განსაკუთრებით, არის ისეთი სოციალურ-ეკონომიკური წყობა, რომელშიც საზოგადოების განვითარების, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სულიერი ცხოვრების სფეროთა ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ზალხის უფართოესი მასების, მთელი საზოგადოების, შეგნებული, შემოქმედებითი, აქტიური მონაწილეობა. მარქსიზმის კლასიკოსებმა დაასაბუთეს აზრი იმის თაობაზე, რომ სოციალიზმის დამყარებით მთავრდება ადამიანთა საზოგადოების პრესტორია და იწყება ნამდვილი ისტორია, სადაც მასა არის ისტორიის ჭეშმარიტი შემოქმედი.

ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ XXVI ყრილობაზე მიუთითებდა „საერთო საქმით, წარმოების განვითარებით დაინტერესება, აზრთა შეპირისპირება, გულახდილი და პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, თითოეული მოქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერება, ეს არის საბჭოთა დემოკრატიის, მომუშავე, მოქმედი დემოკრატიის არსი“ [3, გვ. 100].

საზოგადოებათმცოდნეები ინტენსიურად იკვლევენ მასების, კლასების, სოციალური ჯგუფების, პიროვნების აქტიურობის ზრდის კანონზომიერებებს. ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა მიერ სოციალური აქტიურობის შესწავლის მრავალი ასპექტია დამუშავებული, დაწყებული ზოგადფილოსოფიური პრობლემატიკით და დამთავრებული კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევებით.

სოციალური აქტიურობის ფილოსოფიურ-გნოსეოლოგიურ საკითხებს ამუშავებს საბჭოთა ფილოსოფოსთა დიდი ჯგუფი, რომელთა აზრითაც, პრობლემის არსის გასაგებად მთავარია ობიექტურისა და სუბიექტურის, საზოგადოებრივი ცნობიერების აქტიურობის და ისტორიის სუბიექტისა და ობიექტის დიალექტიკა<sup>4</sup>.

სოციალური აქტიურობის კონკრეტულ სახეებს და გამოვლენის ფორმებს ამუშავებენ ავტორები<sup>5</sup>, რომელთა აზრითაც აუცილებელია აქტიურობის კატეგორიის შინაარსის გახსნა საქმიანობის, სოციალური მოღვაწეობის კატეგორიებთან უშუალო კავშირში.

ე. ანუფრიევი, სოხანი, ლ. დმიტრუკი, რ. იანოვსკი, ს. ლუჩინოვა, ნ. დორონინა, იუ. სალმანოვი, ვ. კუზნეცოვა, ვ. ეფრემოვი და მრ. სხვა, იკვლევენ სხვადასხვა სოციალური სუბიექტის აქტიურობას. მათი ინტერესის საგანს შეადგენს პიროვნების, კოლექტივის სოციალური აქტიურობა.

დიდი როლდენობით მიეძღვნა გამოკვლევები მასების, კლასების, სოციალური ჯგუფების, სოციალური აქტიურობის პრობლემებს<sup>6</sup>. ამ სახის უკანასკნელი პერიოდის შრომები ხასიათდება კომპლექსური მიდგომით. აღნიშნული ავტორები ცდილობენ განსაზღვრონ სოციალური აქტიურობის ცნების არსიც, მისი გამოვლენის ფორმებიც და სახეებიც. ისინი კონკრეტულ-სოციოლოგიურ გამოკვლევებზე დაყრდნობით ცდილობენ დაახლოებით მაინც ასახონ აღნიშნული სოციალური მოვლენების გავრცელების ფარგლები. საბოლოოდ ყველა ავტორის მიზანია შესწავლილი და დადგენილი იყოს ის ფაქტორები, ზემოქმედების ის ფორმები, რომელთა საშუალებლითაც შესაძლებელი იქნება მასების სოციალური აქტიურობის ზრდის უზრუნველყოფა და მისი მართვა სასურველი მიმართულებით.

როგორც აღინიშნა, საბჭოთა ფილოსოფოსები და სოციოლოგები იკვლევენ აღნიშნული პრობლემების თითქმის ყველა ასპექტს. დაახლოებით ყველა დონეზე, მაგრამ უმრავლესობა ძალზე შორს არის დასახული ამოცანების საბოლოო მეცნიერული გადაჭრისაგან. რადგან კონკრეტულ-სოციოლოგიური

<sup>4</sup> იხილეთ ი. ვორობოვის, ვ. არეფიევას, ვ. მორდკოვიჩის, ვ. ბატიშჩევის, ვ. ბელენკის, ი. ბოკანის, ა. კობილუცის, პ. დემიჯის, იაბოკოვის და სხვათა ნაშრომები.

<sup>5</sup> იხ. მ. ნუჟაევის, პ. ლობატის, ი. სტულის, ვ. მლოკოვის, ა. ჩიხაძის, ი. ჩანვლის და სხვათა ნაშრომები.

<sup>6</sup> იხ. Сб. Проблемы социальной активности, Челябинск, 1974, 1975, 1976; Тиво М. Д. Общественная активность трудящихся в условиях социализма, Минск, 1974; Кульков П. И. Творческая активность крестьянина-колхозника как личности, Л., 1974; Нугаев М. А. Трудовая активность рабочего класса развитого социалистического общества, Казань, 1975; Волков Ю. Е. Общественная активность трудящихся и некоторые вопросы ее развития в условиях зрелого социализма, „Проблемы научного коммунизма“, вып. 10, М., 1976; Гоюнов В. В. Возрастание социальной активности трудящихся в условиях социализма, М., 1976; Смирнов В. А. Социальная активность советских рабочих, М., 1979; Волков Ю. Е. Общественная активность масс, «Вопросы философии», 1981, № 4.



გამოკვლევების უმრავლესობა ატარებს ლოკალურ ხასიათს, ძნელია მათი შედეგების განზოგადება და სხვა რეგიონებზე ან სხვა სოციალურ ჯგუფებზე გავრცელება. იქნებ არც ევალემა კონკრეტულ გამოკვლევას ასეთი ზოგადი შედეგების მიღება, მაგრამ ერთ აუცილებელ მოთხოვნას ყოველგვარი კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა უნდა აკმაყოფილებდეს. ფაქტები და მოვლენები, კონკრეტულ-სოციოლოგიური მასალა, აღებული უნდა იყოს ისეთი წესით, მეთოდით და თანმიმდევრობით, რომ შესაძლებელი იყოს მისი მეცნიერული დამუშავება. ამ მოთხოვნის დაცვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია მოცემული სოციალური ფენომენის როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მახასიათებლები და ის მიღებულია თუ ყველა არა, მკვლევართა უმრავლესობის მიერ.

თეორიული ხასიათის შრომებიც არ არის დაზღვეული ანალოგიური ნაკლოვანებებისაგან, რაც გამოწვეულია იმით, რომ სოციალური აქტიურობის ძირითად მახასიათებელთა განსაზღვრის დროს, განსხვავებულ მიდგომას ავლენენ და ნიშან-თვისებათა შერჩევის განსხვავებული პრინციპებით ხელმძღვანელობენ.

ამ სიძნელეებზე მიუთითებს ვ. სმირნოვი თავის წიგნში „საბჭოთა მუშების სოციალური აქტიურობა“. მისი აზრით, ჯერ კიდევ არ არსებობს სოციალური აქტიურობის ისეთი კონცეფცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება დღეისათვის დაგროვილი ფაქტების ახსნა [2, გვ. 16].

აღნიშნული ნაკლოვანებანი, რომელიც აფერხებს მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას, გამოწვეულია სოციალური აქტიურობის ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების დაუშუქებლობით.

თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე გამოდის აღნიშნული საკითხების ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების გაღრმავებული დამუშავება. რა არის სოციალური აქტიურობა, როგორია ცნების შინაარსი და მისი მეთოდოლოგიური ფუნქცია. როგორია ამ სოციალური მოვლენის არსებობის ფორმები, მისი სტრუქტურა?

თითქოს ნათლად არის დასმული საკითხი, მაგრამ ისევ დასაზუსტებელია ცნების განსაზღვრების ასპექტი და დონე. სახელმძღვანელო პრინციპად უნდა მივიღოთ საკითხის დასმის ის მეთოდი, რომელსაც მარქსიზმის კლასიკოსები მიმართავენ.

ვ. ი. ლენინის შრომებში მრავალი ასპექტით არის წარმოდგენილი აქტიურობის პრობლემატიკა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხის დამუშავების დონე, მხარეები და ასპექტები განსაზღვრულია კონკრეტულ-ისტორიული ამოცანების მოთხოვნებით.

საზოგადოების გნოსეოლოგიურ ასპექტში განხილვისას, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა ცნობიერების აქტიურობას. „ფილოსოფიურ რვეულებში“ ამ საკითხზე ჩამოყალიბებულია სახელმძღვანელო დებულებები, რომელიც სოციალური აქტიურობის არსის, მისი განვითარების მექანიზმისა და სტრუქტურის გასაღებს წარმოადგენს. „ადამიანის ცნობიერება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდევაც ქმნის მას“ . . . . .

„სამყარო არ აკმაყოფილებს ადამიანს და ადამიანი თავისი ქმედებით გადაწყვეტს შეცვალოს იგი“ [1, ტ. 38, გვ. 10—212].

ვ. ი. ლენინი ავითარებს მარქსიზმის ძირითად იდეას აქტიურობის თაობა-

ზე. მას სრულიად ახლებურად ესმის ადამიანის პრობლემა, მისი პრაქტიკული მოღვაწეობა, როგორც რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობა.

შრომის როლის ახლებურმა გაგებამ მიიყვანა მარქსი ადამიანის აქტიურობის სპეციფიური თავისებურებების გაგებამდე. შრომის იარაღების შექმნა არის მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი აქტიურობის ფორმა, რომელშიაც ნივთდება და შემოინახება კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის ცოდნა.

მარქსმა შექმნა პრაქტიკის როლის სრულიად ახალი თეორია. პრაქტიკული საქმიანობის შედეგად ხდება ცნობიერების მატერიალიზება და მატერიალურ-საგნობრივი მოღვაწეობის, მოთხოვნილებებისა და ინტერესის ვაცნობიერება. ამ თეორიის თანახმად ახსნილია, რომ სწორედ პრაქტიკაა სუბიექტის აქტიურობის მთავარი სფერო და არა თეორიული მოღვაწეობა, როგორც ეს მთელ მარქსამდელ ფილოსოფიას ესმოდა.

როგორც უკვე აღინიშნა, ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები სხვადასხვა რანგის და დონის მეცნიერულ აბსტრაქციებს წარმოადგენენ, მაგრამ სოციალური აქტიურობა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური კატეგორიაა, რომლის მიზანია ობიექტურის სუბიექტურად და სუბიექტურის რეალურ საქმეებად გარდაქმნის პროცესის ასახვა.

ვ. ი. ლენინი, რომელიც პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა რევოლუციური მასების უდიდეს გარდამქმნელ მოძრაობას, ახალი სოციალურ-ეკონომიკური წყობის წარმოშობას და დამკვიდრებას, ამდიდრებდა, აზუსტებდა და ავითარებდა მარქსიზმის სოციალურ თეორიას. კერძოდ, სოციალური აქტიურობის მარქსისტული თეორია მან განავითარა შემდეგი მიმართულებით: დაამუშავა თეორიისა და პრაქტიკის მრავალი მხარე, ყოველმხრივ გამოიკვლია თეორიის როლის საკითხი საზოგადოების განვითარებაში. მისი დამსახურებაა იდეოლოგიის წარმოშობის, მისი ფორმირების კანონზომიერებათა აღმოჩენა და მისი როლის დადგენა. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მარქსისტული თეორიის კონკრეტიზაციის გზით დაამუშავა საკითხი მოცემული ფორმაციის, ეპოქის ძირითადი სუბიექტის (კლასის) და ამ სუბიექტის დამოკიდებულების შესახებ საზოგადოების სხვა კლასებთან, სოციალურ ჯგუფებთან, ადამიანთა ისტორიულ ერთობებთან, შექმნა მწყობრი თეორია სოციალური მოვლენების ობიექტური და სუბიექტური დეტერმინანტების შესახებ.

ზემოთქმულის საფუძველზე კითხვა, რა არის სოციალური აქტიურობა, შემდეგნაირად დაზუსტდება: 1) ვინ არის მოცემული ფორმაციის, ეპოქის სოციალური სუბიექტი; 2) როგორია ამ ეპოქის, ისტორიული განვითარების ობიექტური კანონების მოთხოვნა; 3) კლასის, სოციალური ჯგუფის, ისტორიის სუბიექტის ობიექტური ინტერესი, მიზანი და საქმიანობა შეესაბამება თუ ეწინააღმდეგება პროგრესული განვითარების პროცესს?

სოციალური აქტიურობის, როგორც სოციალური მოვლენის შესწავლამ პასუხი უნდა გასცეს ამ კითხვებს. კ. მარქსის აზრით, საზოგადოებრივი საქმიანობის, ადამიანთა მოღვაწეობის შედეგად სოციალური აქტიურობა იქნეს სოციალური მოვლენის სტატუსს [4, ტ. 3, გვ. 319]. სოციალური მოვლენის შესწავლა საჭიროა განხორციელდეს კონკრეტულ ისტორიულ ჩარჩოებში.

ავტორთა დიდი უმრავლესობა სოციალური აქტიურობის ცნებას<sup>7</sup>, საქმიან-

<sup>7</sup> ზოგიერთი ავტორი (ი. ვოლკოვი) მოითხოვს ცნებების დაზუსტებას, აუცილებლად მიიჩნია, ხმარებაში შემოღებულ იქნეს საზოგადოებრივი აქტიურობა, ნაცვლად სოციალური აქტიურობისა,

ნობის, მოღვაწეობის ცნებებს უკავშირებს. მათი აზრით, სოციალური აქტიურობა არის ყოველგვარი საქმიანობა.

მეორე ნაწილი ავტორებისა უარყოფს ამ აზრს, ამტკიცებს, რომ არ შეიძლება ყოველგვარი საქმიანობის გაიგივება აქტიურობასთან, მათი აზრით, სოციალური აქტიურობა არის განსაკუთრებული სახის საქმიანობა, რომელიც გარედან კი არ არის თავზე მოხვეული იძულებით, არამედ შინაგანი სწრაფვის შედეგია, თავისუფლებით ხასიათდება. ეს არის შემოქმედებითი საქმიანობა ანუ თვითშემოქმედება.

აქტიურობის, ანუ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, თვითმოძრაობის იდეა კაცობრიობის მთელი ფილოსოფიური აზროვნების მონაპოვარია. მატერიალისტური დიალექტიკის შექმნა სწორედ იმიტომაც იყო რევოლუცია აზროვნების ისტორიაში, რომ ის საგნების, მოვლენების, სამყაროს მოძრაობის მიზეზს თვით მის შიგნით ეძებდა. ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობა და ბრძოლა.

მატერიის არსებობის სოციალური წესი არის მატერიალურისა და იდეალურის განუყრელი დიალექტიკური ერთიანობა. სოციალური სინამდვილე ობიექტურის და სუბიექტურის ურთიერთობის შედეგად იქმნება. საზოგადოება ყოველთვის აქტიურია, ის თვითმოძრავე და თვითგანვითარებადი სისტემაა. სოციალური აქტიურობის კატეგორია ხსნის მატერიალურის იდეალურში და იდეალურის მატერიალურში გადასვლის მექანიზმს. ყოველგვარი საზოგადოება აწარმოებს მატერიალურ დოვლათს მის მიერვე შექმნილი იარაღებით, რომელშიც ეპოქის ცოდნა, ჩვევა და შემეცნების დონე განვითარებული. რა იძულებს ადამიანთა საზოგადოებას განუწყვეტლედ საქმიანობდეს? მისი მუდმივი სტიმელი მოთხოვნილებებია, დაწყებული ვიტალურით და დამთავრებული სულელი-ესთეტიკური ღირებულებებით. მოთხოვნილებები და ინტერესი არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყოფიერების ინდივიდუალური ფორმა.

ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ ადამიანები მიეჩვივნენ თავისი მოქმედება ცნობიერებით, აზროვნებით ახსნან, იმის ნაცვლად, რომ მოთხოვნილებებს დაუკავშირონ [4, ტ. 20, გვ. 493].

სოციალური აქტიურობის განმსაზღვრელ ფაქტორებად საბჭოთა ფილოსოფოსების უმრავლესობა მიიჩნევს მოთხოვნილებებს, ინტერესს, მიზანს. რეალური პროცესი სქემატურად ასეთი თანმიმდევრობით აისახება: ცხოვრების პირობები ბაღებს მოთხოვნილებებს, მათი გაცნობიერება ბაღებს ინტერესს, ინტერესის მიღწევის გზებისა და საშუალებების ნაწილობრივი ცოდნის ბაზაზე ისახება რეალური მიზანი, რომელსაც მოსდევს პრაქტიკული საქმიანობა. მისი საბოლოო რეზულტატი შეცვლილი პირობებია, რომელიც, თავის მხრივ, ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობს<sup>8</sup>.

რადგან „სოციალურში“<sup>9</sup> ფულისხმება აქტიურობა, საკუთრად სოციალურ სფეროში, საზოგადოებრივში კი ფულისხმება უკვე სფერო: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვალი, თანამედროვე ეტაპზე ფილოსოფიურ ლიტერატურაში მოქალაქეობრივი უფლება აქვს მოპოვებული სოციალურის ცნების ფართოდ ხმარებას. ტერმინის შეცვლით შინაარსი არ იცვლება.

<sup>8</sup> ამ საკითხზე იხ. (4, ტ. 18, გვ. 271, ტ. 20, გვ. 293, ტ. 21, გვ. 309; 1, ტ. 24, გვ. 104, ტ. 28, გვ. 87; 5, ტ. 1, გვ. 101; 6, გვ. 219—221). Ч е с н о в о в Д. И. Общественный интерес и механизм действия социальных законов, «Вопросы философии», 1966, № 9; Л а в р и е н к о В. Н. Проблема социальных интересов в Ленинизме, М., 1978.

ეს მეტად პირობითი სქემაა, რადგან გამოტოვებულია შუალედური რგოლები—მოტივი, განწყობა, რომელთაც ფსიქოლოგები და სოციალური ფსიქოლოგები იკვლევენ.

მოცემული სქემის გამართლება იმით შეიძლება, რომ აქ მხოლოდ სოციოლოგიურ კატეგორიებში ასახული საკვანძო მომენტებია მოცემული.

მარქსისტულ-ლენინური შემეცნების თეორია გვასწავლის, რომ ნებისმიერი სოციალური მოვლენის შესწავლა უნდა ემყარებოდეს პრაქტიკულ საგნობრივ საქმიანობას. პრაქტიკის როლი მხოლოდ სინამდვილის გარდაქმნით არ ამოიწურება, მეორე უდიდესი ნიშანი საგნობრივ-პრაქტიკული მოღვაწეობისა არის მისი პირველადობა ცნობიერების აქტიურობის მიმართ.

ერთი სიტყვით, სუბიექტის სოციალური საქმიანობის გარეშე აქტიურობა როგორც სოციალური მოვლენა არ არსებობს.

ისტორიის სუბიექტი ხალხის მასაა. ხალხის მასების სოციალური აქტიურობის გამოსაკვლევად, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევისწავლოთ მათი პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სუბიექტურისა და ობიექტურის რეალურ ერთიანობას. მაგრამ მასების ყოველგვარი პრაქტიკული საქმიანობა არ არის სოციალური აქტიურობა. სოციალური აქტიურობის ცნების შინაარსის გაგებაში განსხვავების მიუხედავად, ერთ აზრს ყველა იზიარებს — სოციალური აქტიურობა არის განსაკუთრებული სახის საქმიანობა.

სოციალური აქტიურობა არის მასების იმდაგვარი საქმიანობა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი პროგრესის აჩვენებისა ან შენელებისათვის. სოციალური აქტიურობის შედეგად ისტორიის სუბიექტი ახორციელებს თავის კლასობრივ მოთხოვნილებებს, ინტერესს, მიზანს რომელიც, თავის მხრივ, ობიექტურით არის განპირობებული.

სოციალური აქტიურობა პროცესია, რომლის ახსნის, გამოვლენის ფორმებისა და მიმართულების დასადგენად მთავარია მასში ობიექტურისა და სუბიექტურის დიალექტიკის გაგება. აუცილებელია კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში საზოგადოებრივი სუბიექტის დამოკიდებულების გარკვევა მის გარემომცველ ობიექტურ სინამდვილესთან. იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური პირობები, იცვლება თვით სუბიექტიც და ამიტომ იცვლება სოციალური აქტიურობის შინაარსიც.

ანტაგონისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში სოციალური აქტიურობის ძირითადი შინაარსი კლასობრივი ბრძოლა იყო. სოციალური აქტიურობის ფარგლებს და ფორმებსაც კი განსაზღვრავს საწარმოო ძალთა განვითარების დონე და ეკონომიკური ურთიერთობანი. კლასობრივ საზოგადოებაში მშრომელი მასა, როგორც დამოუკიდებელი ძალა მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის საშუალებით გვევლინება, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების კვალობაზე იზრდება მათი სოციალური აქტიურობა.

ვინაიდან ანტაგონისტურ საზოგადოებაში სოციალური აქტიურობა კლასობრივი ხასიათისაა კლასობრივი ბრძოლის პროცესში ისტორიის ჭეშმარიტ სუბიექტად მშრომელი მასები გვევლინებიან, რომელთა ბრძოლა არსებული წყობილების დარღვევისაკენ არის მიმართული. მშრომელი მასის ობიექტური ინტერესი შეესატყვისება ისტორიული აუცილებლობის განხორციელებას. მიუხედავად იმისა, მშრომელ მასას შეგნებული აქვს თუ არა და თეორიულად



დასაბუთებული თავისი მიზანი, ობიექტურად მისი საქმიანობა მაინც სოციალურ აქტიურობად ითვლება.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აქტიურობას ახასიათებს მიმართულება, ის ხელს უწყობს, ან ეწინააღმდეგება ისტორიის მსვლელობას. ამის გამო პირობითად, განსხვავებული კლასების აქტიურობის ტიპიზაცია შეიძლება დადებითი და უარყოფითი ნიშნის მიხედვით. ტიპიზაცია არ ნიშნავს, რომ ერთი რომელიმე კლასი ყოველთვის დადებითი ან უარყოფითი ტიპის აქტიურობის მატარებელია. განვითარების გარკვეულ ეტაპზე კლასი შეიძლება აქტიურობის მატარებელი იყოს შემდეგ კი უარყოფითი აქტიურობით ხასიათდებოდეს. ტიპიზაციაც ისტორიული ხასიათისაა.

დავუბრუნდეთ სოციალური აქტიურობის მექანიზმის სქემას. კლასის, ისტორიის სუბიექტის აქტიურობის განმსაზღვრელი არის ობიექტური მოთხოვნილებებით განპირობებული ინტერესი. კლასს არ ძალუძს უღალატოს თავის ინტერესს, მაგრამ იმის კვალობაზე, თუ რა ზომით შეიცნობს კლასი საკუთარ ინტერესს, სულ უფრო მეტად ხდება ისტორიული პროგრესის შეგნებული შემოქმედი. პროლეტარიატის ისტორიული ადგილი და მისი განპირობებული იყო მისი ცხოვრების ობიექტური პირობებით [4, ტ. 2, გვ. 140].

საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში, ვ. ი. ლენინის ნაშრომებზე დაყრდნობით, ყოველშრიც არის დამუშავებული მიზნის კატეგორია, როგორც სოციალური აქტიურობის რეგულატორი, სასურველი რეზულტატის ინფორმაციული მოდელი, აქტიური საქმიანობის შინაგანი სტიმულატორი<sup>9</sup>.

რაც უფრო უკეთესად ასახავს მიზანი საზოგადოების მომწიფებულ მოთხოვნილებებს და ინტერესებს, მით უფრო აკავშირებს, ამჟღავნებს ადამიანებს, იქცევა მათი მოქმედების კანონად. მიზანი, თუ ის რეალურია, არის ჭგუფის, კლასის, საზოგადოების განვითარების კანონის ამსახველი.

ამრიგად, გარკვეულია სოციალური აქტიურობის სტრუქტურული ელემენტები, ობიექტური ფაქტორები, აქტიურობის სუბიექტი, განვითარების მიმართულება, მისი ფუნქციონალური თავისებურება.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ზოგადად ჩამოვყალიბოთ ცნების შინაარსი: სოციალური აქტიურობა არის ისტორიის სუბიექტის ისეთი შეგნებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია მისი მოთხოვნილების, ინტერესის დაკმაყოფილებისა და დასახული მიზნის განხორციელებისაკენ.

სოციალური აქტიურობის კატეგორიის განსაზღვრება ვერ იქნება სრულყოფილი, თუ არ დავახასიათებთ ამ სოციალური მოვლენის სპეციფიურ თავისებურებებს სოციალიზმის პირობებში. ზემოთ დასაბუთებული იქნა აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიული პროცესის განვითარების კვალობაზე იცვლება ობიექტური პირობები, იცვლება ისტორიის სუბიექტი და ე. ი. იცვლება თვით სოციალური აქტიურობის შინაარსიც. სახელდობრ რა ახალ ნიშან-თვისებებს იძენს აღნიშნული სოციალური მოვლენა განვითარებული სოციალიზმის პირობებში? საგანი ან მოვლენა მისთვის დამახასიათებელ

<sup>9</sup> Гендин А. М. Потребность, интерес, цель — как фактор детерминации человеческой деятельности, в сб. Проблемы философии и научного коммунизма, вып. 6. Красноярск. 1971. с. 19; Гриценко В. М. Цель как форма опережающего отрождения, уч. записки кафедр. общ. наук Вузов Ленинграда, серия философия, вып. 15, ЛГУ, 1974, с. 113—115; Погорелова, Т. А. Категория цели и диалектика ее реализации в условиях социализма, М., 1977.

კანონზომიერებას სრულად ავლენს განვითარების შედეგებით მალალ საფეხურზე.

საკითხი სოციალური აქტიურობის თავისებურებათა შესახებ ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში ყოველმხრივ დაამუშავეს მარქსიზმის კლასიკოსებმა. კ. მარქსი „წმინდა ოჯახში“ აყალიბებს ისტორიის მსგეღვლობაში მასების როლის ზრდის კანონს: ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასთან ერთად გაიზრდება მოცულობაც მასებისა, რომლის საქმესაც ეს მოქმედება წარმოადგენს [4, ტ. 2, გვ. 90].

ვ. ი. ლენინმა აღნიშნულ აზრს უწოდა ისტორიულ-ფილოსოფიური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვანი დებულება. ის არა ერთგზის დაუბრუნდა აღნიშნული კანონის მოქმედების ანალიზს, რის შედეგადაც გააღრმავა მისი შინაარსის გაგება და ისტორიული პირობების თავისებურებათა შესაბამისად კანონის მოქმედების ახალი მხარეები წარმოაჩინა.

ვ. ი. ლენინის აზრით, სოციალისტური რევოლუცია იყო სოციალური აქტიურობის არა მხოლოდ კულმინაცია, არამედ მისი განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპიც. სწორედ სოციალისტური რევოლუციის შედეგად მოხდა მასების აქტიურობის როგორც რაოდენობრივი ისე თავისებრივი შეცვლა; შეიცვალა მისი მიმართულება. ხალხის მასა იქცა მთვარ ძალად, რომელიც უკვე პოზიტორ, აღმშენებლობით ამოცანებს ახორციელებს, მშრომელთა სოციალური მიზნები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის შედეგები ემთხვევა მის ინტერესებს და მიზნებს. მასების აქტიურობა გამოდის პოლიტიკური აქტიურობის ფარგლებიდან და ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროზე [5, ტ. 14, გვ. 165-166; ტ. 36, გვ. 154-158; ტ. 39, გვ. 13-21].

ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მასების აქტიურობის დონე და სიღრმე დამოკიდებულია მათ მიერ ისტორიული ამოცანების შეგნების დონისაგან. სოციალური აქტიურობა მთლიანად დამოკიდებულია მასების შეგნებულობასა და ორგანიზებულობაზე.

ვ. ი. ლენინის ნაშრომებსა და უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით საბჭოთა ფილოსოფოსები მეცნიერულად ასახულებენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში სოციალური აქტიურობის თავისებრივად ახალი ტიპის წარმოქმნის ფაქტს.

ეს არის მასების შემოქმედებითი აქტიურობა. შემოქმედება აგებულია მისი ფართო მნიშვნელობით: ინიციატივანი, თვითმყოფადი საქმიანობა, რომლის შედეგადაც იცვლება არა მხოლოდ ობიექტი არამედ სუბიექტიც. სწორედ შემოქმედებითი აქტიურობა არის სოციალიზმის პირობებში სოციალური აქტიურობის ახალი თავისებრივი გამოხატულება; ის ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა, არამედ ხანგრძლივი განვითარების სტადიები გაიარა, დაწყებული „მიტიზგობანით“ და დამთავრებული სახელმწიფოს მმართველობაში მასების უშუალო მონაწილეობით [9].

სოციალური აქტიურობის ახალი ტიპი, შემოქმედებითი აქტიურობა, ხასიათდება აქტიურობის თავისებური სახეებით და ფორმებით საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროში, რაც სპეციალური კონკრეტულ-სოციალოგიური კვლევის საგანია.

სოციალური აქტიურობის, როგორც სოციალური მოვლენის განსაზღვრისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური აქტიურობის მიმართულე-

შის გარკვევა. ვის ინტერესებს ემსახურება ობიექტურად ეს საქმიანობა? მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დგებოდეს საკითხი მისი ინტენსიურობის, შემოქმედებითი ხასიათის, გავრცელების სფეროებისა და სხვა თვისებების შესახებ. ასეთი მიდგომით განხორციელებულია სოციალური აქტიურობის თეორიის დაკავშირება აქტიურ ცხოვრებისეული პოზიციის მოთხოვნასთან, რომელსაც ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი საზოგადოება კომუნისტური აღზრდის საქმეში.

იშვიათია უკანასკნელი პერიოდის მნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი სადაც არ იყოს გამახვილებული ყურადღება ხალხთა მსგების მთელი შემოქმედებითი პოტენციალის მობილიზაციის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის დამკვიდრების საკითხებზე. აღნიშნული გარემოება ერთხელ კიდევ მიუთითებს სოციალური აქტიურობის პრობლემატიკის აქტიურობაზე.

ყოველივე იქიდან, რაც ზემოთ ითქვა ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიათა სისტემატიზაციის პრინციპების და სოციალური აქტიურობის კატეგორიის განსაზღვრის ამოსავალი დებულებების შესახებ, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

სოციალური აქტიურობის როგორც სოციალური მოვლენის შესწავლა უნდა განხორციელდეს, ისტორიული მატერიალიზმის იმ კატეგორიალური რიგის მეშვეობით, რომელ ასპექტშიც და დონეზეც ზდება მოცემული სოციალური ფენომენის შესწავლა.

1. Бассин Ф. В. Проблема бессознательного, М., 1968.
2. Бассин Ф. В., Прангишвили А. С., Шерозия А. Е., Шерток Л. О нелегкой судьбе «интегрирующего» подхода в психологии. Труды Института психиатрии МЗ СССР, посв. памяти С. В. Цуладзе, Тб., 1978.
3. Бассин Ф. В., Прангишвили А. С., Шерозия А. Е. О перспективах дальнейшего развития научных исследований в психологии. «Вопросы психологии», 5, 1979.
4. Бассин Ф. В., Прангишвили А. С., Шерозия А. Е. К истории и современной постановке вопроса о бессознательном психическом. В кн.: «Бессознательное. Природа, функции, методы исследования». Т. I, с. 23—36, Тб., 1978.

5. Березин Ф. Б. Некоторые механизмы интрапсихической адаптации и психосоматические соотношения. В кн.: «Бессознательное», т. II, с. 281—291, Тб., 1978.
6. Бжалава И. Т. Психология установки и кибернетика, М., 1966.
7. Добрович А. Б. Фонарь Дюгена, М., 1981.
8. Зацепицкий Р. А., Карвасарский Б. Д. Роль неосознаваемых мотивов в клинике неврозов. В кн.: «Бессознательное», т. II, с. 354—360, Тб., 1978.
9. Леонтьев А. Н. Деятельность. Сознание. Личность, М., 1975.
10. Лейбин В. М. Психоанализ и философия неофрейдизма, М., 1977.
11. Лозанов Г. Проблемы суггестологии, София, 1973, с. 56.
12. Лурия А. Р. Язык и сознание, М., 1979.
13. «Механизмы целого мозга». Сб. статей под ред. П. К. Анохина, М., 1973.
14. Мэгун Г. Бодрствующий мозг, М., 1960.
15. Олдз Дж. Выявление подкрепляющих систем головного мозга методом самораздражения. В кн.: «Механизмы целого мозга», с. 199—231, М., 1963.
16. Прангишвили А. С. Психологические очерки, Тб., 1975.
17. Прангишвили А. С. К проблеме бессознательного в свете теории установки: школа Д. Н. Узнадзе. В кн.: «Бессознательное», т. I, с. 84—94, Тб., 1978.
18. Рамишвили Д. И. Об основном содержании теории установки. «Вопросы психологии», 3, 1957.
19. Рожнов В. Е., Бурно М. Е. Учение о бессознательном и клиническая психотерапия: постановка вопроса. В кн.: «Бессознательное», т. II, с. 346—353, Тб., 1978.
20. Свядощ А. М. Неврозы и их лечение, М., 1971.
21. Узнадзе Д. Н. Экспериментальные основы психологии установки, Тб., 1949 (на груз. языке). Цит. по: Григолава В. В. Контрастная иллюзия, бессознательное и установка. В кн.: «Бессознательное», т. I, Тб., 1978, с. 123.
22. Узнадзе Д. Н. Экспериментальные основы психологии установки, Тб., 1961.
23. Узнадзе Д. Н. Психологические исследования, М., 1966.
24. Фрейд З. Методика и техника психоанализа, М.-Л., 1923.
25. Фрейд З. Бессознательное, М., 1925.
26. Фрейд З. Я и Оно. Л., 1927.
27. Шерозия А. Е. К проблеме сознания и бессознательного психологического. Т. I, Тб., 1969, т. II, Тб., 1973.
28. Шерозия А. Е. Психика, сознание, бессознательное, Тб., 1979.
29. Шильдер П. Очерк психиатрии на психоаналитической основе, Одесса, 1928.
30. Шорохова Э. В. Некоторые методологические вопросы психологии личности. В сб. «Проблемы личности», М., 1970.
31. Alexander F., French T. M., Pollock G. H., Psychosomatic Specificity. Vol. I, Chicago, London, 1968.
32. Ammon G., Psychoanalyse und Psychosomatik, München, 1974.
33. Brody E. B., A Critical Examination of Freud's Theory of the Preconscious. В кн.: «Бессознательное», Тб., 1978 т. I, с. 455—468.
34. Freud S., The Basic Writings, N. Y., 1938.
35. Freud S., An Outline of Psychoanalysis, London, 1949.
36. Freud S., Collected Papers, London, 1953.
37. Isenberg G., The Existentialist Critique of Freud. The Crisis of Autonomy, New Jersey, 1976.
38. Jahoda M., Freud and the Dilemmas of Psychology, London, 1977.
39. Klein G., Two Theories or One? Bull. Menninger Clin., 37, 1973.
40. Widlocher D., Freud et le Probleme du Changement, Presses Universitaires de France, 1970.



## ახალი თარგმანები

რენე ლეკარტი

### მსჯელობა მითოდის შესახებ

გონების კარგად წარმართვისათვის და გაცნობიერებაში მემარტიბების  
 ძიებისათვის\*

#### VI

უკვე სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დავამთავრე ტრაქტატი, რომელიც შეიცავს ყოველივე ამას, და რაც დავიწყე მისი გადასინჯვა, რათა ვადაშეგა გამომცემლისათვის, სწორედ ამ დროს შევიტყვე, რომ პირებმა, რომელთაც პატივს ვცემ და რომელთა ავტორიტეტიც ჩემი მოქმედებებისათვის არახაკლებ განმსაზღვრელია, ვიდრე ჩემი საკუთარი გონებაა ჩემი აზრებისათვის, არ მოიწონეს ერთი შეხედულება ფიზიკის დარგში, რომელიც ცოტა ხნით ადრე გამოქვეყნდა სხვა ავტორის მიერ. მე არ მინდა ვთქვა, რომ ვეთანხმები ამ აზრს; ძაგრამ ამ შეხიშვნამდე მასში არაფერი ისეთი არ დამინახავს, რაც შეიძლებოდა საჩოთიროდ ჩაშეთვალა რელიგიის ან სახელმწიფოს თვალსაზრისით და რაც, მაშასადამე, მე თვითონ ხელს შემეშლიდა მის დაწერაში, თუკი გონება მისი დაწერისკენ შიბიძვებდა; ამან გამოიწვია ჩემი სიფრთხილე — ხომ არ არის ჩემს შეხედულებებშიც რაიმე არასწორი მიუხედავად იმ დიდი გულმოდგინებისა, რომელსაც ყოველთვის ვიჩენდი, რათა არ მერწმუნა რაიმე ახალი დებულება გარდა იმისა, რის უეჭველ დასაბუთებასაც შევძლებდი, და არ დამეწერა არაფერი, რაც ვიხმეს ზიანს პოლტანდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ შეშეცვალა გადაწყვეტილება ჩემი შრომის გამოქვეყნებაზე. და მიუხედავად იმისა, რომ მოტივები, რომელთა გამოც მივიღე ჩემი პირველი გადაწყვეტილება, ძალიან ძლიერი იყო, ჩემმა ძველმა ანტიპათიამ მწერლის ხელობისადმი ძაიძულა მყისვე ახალი მოტივები მომენახა ამ განზრახვაზე ხელის ასლება. ეს მოტივები როგორც წიგნის დაწერის სასარგებლოდ, ისე მის წინააღმდეგ იმგვარია, რომ არა მარტო მე ვარ დაინტერესებული მათი გადმოცემით, არამედ შესაძლებელია, რომ მკითხველებმაც მოისურვონ მათი შეტყობა.

მე არასოდეს არ მიმინიჭებია დიდი მნიშვნელობა აზრებისათვის, რომლებიც ჩემ გონებაში ჩნდებოდა. და ვინაიდან ვერ მივიღე სხვა ნაყოფი მეთოდისაგან, რომელსაც ვაღაგვარ, თუ არ ის, რომ დაკმაყოფილება მოვიპოვე ზოგ სიძნელესთან დაკავშირებით, რაც გონებაჭკურტით მეცნიერებებში გვხვდება, ან კიდევ იმის გამო, რომ ვცდილობდი წარმემართა ჩემი ზნენი იმ წესების თანახმად, რო-

\* დასაწყისი იხ. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1982, № 1, 2.



მელთაც ეს მეთოდი მასწავლიდა, თავს ვალდებულად არც კი ვთვლიდი დამეწერა ამის შესახებ; რადგან, რაც შეეხება ზნეებს, თითოეული ადამიანი ისე მტკიცედ ადგას თავის საკუთარ აზრს მათ შესახებ, რომ ამ სფეროში იმდენი რეფორმატორი აღმოჩნდებოდა, რამდენიც თავია, ნებადართული რომ იყოს სხვებისათვის იმათ გარდა, ვინც ღმერთმა მთავრად დაადგინა თავის ხალხზე ან ვისაც წინასწარმეტყველებისათვის საკმარისი მადლი და გზნება (zèle) მიანიჭა, ზნეობაში რაიმეს შეცვლა; და თუმცა ჩემი სპეკულაციები ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო, მაინც ჩავთვალე, რომ, შესაძლებელია, სხვებსაც გააჩნიათ საკუთარი, რომლებიც, შესაძლებელია, მათ ჩემსაზე უფრო მოსწონთ. მაგრამ როგორც კი შევიძინე რაღაც ზოგადი ცოდნა ფიზიკის დარგში და როგორც კი დავიწყე მისი შემოწმება ცალკეული სიძნელეებისადმი მიყენებით, შევნიშნე, თუ რა შორს შესძლებია ამ ახალ ცოდნას ჩემი წაყვანა და თუ რამდენად განსხვავებული ყოფილა იგი იმ პრინციპებისაგან, რომლითაც დღემდე სარგებლობდნენ; ამიტომ გადავწყვიტე, რომ ამ ცოდნას ვერ დავფარავდი დიდი ცოდვის ჩაუდენლად იმ კანონის მიმართ, რომელიც გვავალდებულებს ჩვენი შეძლებებისაგაგარად ხელი შევეწყუთ ყველა ადამიანთა კეთილდღეობას. რადგან ამ ცოდნამ მაფიქრებინა, რომ შესაძლებელია მივალწიოთ ისეთ შემეცნებებს, რომლებიც დიდად სასარგებლო იქნება ცხოვრებისათვის, და რომ იმ სპეკულაციური ფილოსოფიის ნაცვლად, რომელიც სკოლებში ისწავლება, შესაძლებელია მივავნოთ ისეთ პრაქტიკას, რომლის საშუალებითაც, გვეცოდნებოდა რაცეცხლის, წყლის, ჰაერის, ვარსკვლავების, ცათა და ყველა ჩვენს ირვჯღივ მყოფ სხვა სხეულთა ძალა და მოქმედება ისევე ნათლად, როგორც ვიცნობთ ჩვენ ხელოსანთა სხვადასხვა ხელობებს, ჩვენ შევძლებდით ამ ცოდნის გამოყენებასაც ყველა იმ საქმეში, რომელშიც კი იგი გამოსადეგი იქნებოდა, და ამგვარად ბუნების ბატონები და მფლობელები გავხდებოდით. ასეთი ცოდნა სასურველია არა მხოლოდ იმისთვის, რომ გამოვიგონოთ უამრავი საშუალებები, რომლებიც შეგვაძლებინებენ ყოველგვარი წვალების გარეშე დავტკბეთ მიწის ნაყოფით და მასზე არსებული ყველა დანარჩენი სიკეთით, არამედ, უმთავრესად, ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის, რომელიც—ეს ექვს ვარეშეა—პირველი სიკეთე და ყველა სხვა სიკეთეთა საფუძველია ამ ცხოვრებაში. რადგან თვით ვინიც კი ისე ძლიერაა დამოკიდებული სხეულის ორგანოების ტემპერამენტსა და განლაგებაზე, რომ, თუკი შესაძლებელია რაიმე საშუალების აღმოჩენა, რაც ადამიანებს უფრო ბრძენს და უფრო უნარიანს გახდის, ვიდრე აქამდე ყოფილან, მე ვფიქრობ, რომ ეს საშუალება მედიცინაში უნდა ვეძებოთ. მართალია, დღევანდელი მედიცინა ცოტა რასმე შეიცავს ისეთს, რისი სარგებლიანობაც მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ. თუმც არ ვაპირებ მის აბუჩად ავღებას, მაინც ღარწმუნებული ვარ, რომ არ არის არც ერთი ადამიანი თვით იმათ შორისაც კი, ვისი პროფესიაც მედიცინაა, რომელიც არ აღიარებდეს, რომ ყოველივე ის, რაც ცნობილია მედიცინაში, თითქმის არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჯერ კიდევ შესასწავლია, და რომ შესაძლებელი იქნებოდა თავიდან ავეცილებინა ძალიან ბევრი როგორც სხეულის, ისე სულის დავადებანი, ეგებ მოხუცებულობის სისუსტეც კი, საკმაო ცოდნა რომ გავგაჩნდეს მათ გამომწვევ მიზეზებზე და იმ წამლებზე, რომლებსაც ბუნება იძლევა. ვინაიდან, განზრახული მქონდა რა, მთელი სიცოცხლე მიმეძღვნა ესოდენ საჭირო მეცნიერების ძიებისათვის და ვიპოვე რა ჯეროვანი გზა, რომელიც, ჩემის აზრით, შეუცდომლად წამიყვანდა მისკენ, თუ სიცოცხლის ხანმოკლეობა ან გამოცდილების უკმარისობა ხელს არ



შემიშლიდა ამაში, მე გადაწყვიტე, რომ ყველაზე კარგი საშუალება ამ ორი დაბრკოლების წინააღმდეგ ისაა, რომ კეთილსინდისიერად ვაცნობო საზოგადოებას ის მცირედი, რასაც აღმოვაჩენ, და წავაქეზო უნარიანი გონებანი, რათა სხვაზე წინ წავიდნენ და თავისი მიდრეკილებისა და შესაძლებლობის შესაბამისად წვლილი შეიტანონ ადამიანთა იმ გამოცდილებაში, რომლის მოპოვებაც გეჭირდება; მათ საზოგადოებას უნდა აცნობონ ის, რასაც თვითონ შეიტყობენ, რათა ყოველმა შემდგომმა საქმე იქ დაიწყოს, სადაც მისმა წინამორბედმა დაამთავრა. რადგან მრავალთა ცხოვრებისა და შრომის ამგვარი შეერთებით ჩვენ ყველანი ერთად გაცილებით უფრო დაგწინაურდებით, ვიდრე თითოეულ ჩვენგანს ცალ-ცალკე ძალუძს.

რაც შეეხება ცდებს, მე შევამჩნიე, რომ ცდები მით უფრო აუცილებელია, რაც უფრო შორს მივდივართ შემეცნებაში; რადგან დასაწყისისათვის უმჯობესია ვისარგბლოთ მხოლოდ ისეთი გამოცდილებით, რომელიც თავისით წარმოუდგება ჩვენს შეგარბნებებს და რომლის უკულებელყოფაც არ შეგვიძლია მასზე მცირეოდენი რეფლექსიისასაც კი; იმის ნაცვლად, რომ ყველაზე იშვიათი და სწავლით გაშუალებული (étudiée) გამოცდილება ვეძიოთ; ამ არჩევანის საფუძველი ისაა, რომ ამგვარი იშვიათი გამოცდილება ხშირად გვატყუებს, თუ ვერ არ ვიცით ყველაზე ზოგადი მიზეზები, ხოლო გარემოებები, რომელზედაც დამოკიდებულია ასეთი იშვიათი გამოცდილება, თითქმის ყოველთვის ისეთი კერძო და წვრილ-წვრილია, რომ მათი აღმოჩენა ძალზედ ძნელი ვახლავთ. მაგრამ რიგი, რომელსაც მე მივდედი, ასეთი იყო: პირველ ყოვლისა, ვცდილობდი ზოგადად აღმომეჩინა პრინციპები ანუ პირველი მიზეზები ყოველივე იმისა, რაც არის ან შეიძლება იყოს სამყაროში, ისე, რომ საამისოდ არაფერი არ გამეთვალისწინებინა გარდა ღმერთისა, რომელმაც ყოველივე ეს შექმნა, და ეს პრინციპები სხვა არსაიდან არ გამომეყვანა, თუ არ ჰქმნარიტებათა იმ უტყუარი ჩანასახებიდან, რომლებიც ბუნებრივად არსებობენ ჩვენს სულში. ამის შემდეგ მე განვიხილე, თუ რომელია პირველი და ყველაზე უფრო მარტივი (ordinaire) შედეგები, რომლებიც შეიძლება გამოვიყვანოთ ამ მიზეზებიდან; და, მე მგონი, ასეთი გზით აღმოვაჩინე ზეცა, ვარსკვლავები, დედამიწა და თვით წყალი, ჰაერი, ცეცხლი, მინერალები დედამიწაზე და ზოგი სხვა ისეთი საგანიც, რომელიც ყველაზე უფრო ჩვეულებრივი და მარტივია და რომლის შემეცნებაც, მაშასადამე, ყველაზე უფრო ადვილია. შემდეგ, როცა მოვისურვე შედარებით უფრო კერძო საგნებზე გადასვლა, მათი ისეთი მრავალგვარობა წარმომიდგა თვალწინ, რომ მივედი აზრამდე, ადამიანის გონებას არ შესწევს-მეთქი უნარი მიწაზე არსებული სხეულების ფორმის ანუ სახეების განსხვავებისა იმ უამრავ სხვა საგანთა ფორმებისაგან, რომლებიც შეიძლებოდა ყოფილიყო დედამიწაზე, თუკი ღმერთი ამას მოისურვებდა. მაშასადამე, მათი სასარგებლოდ გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება-მეთქი, ვფიქრობდი, თუ წავალთ შედეგიდან მიზეზისაკენ და მივმართავთ მრავალ კერძო ცდას; ამის შემდეგ გონების თვალთ გადავხედე ობიექტებს, რომლებიც კი ოდესმე წარსდგომია ჩემს გრძნობებს, და—ვბედავ ვთქვა,—არ შემინიშნავს არც ერთი საგანი, რომელიც საქმად მარჯვედ ვერ ამეხსნას, ჩემი აღმოჩენილი პრინციპებიდან გამომდინარე. მაგრამ ისიც უნდა ვაღიარო, რომ ბუნების ძალა ისეთი სრული და ისეთი ვრცელია, ხოლო ჩემი პრინციპები ისე მარტივი და ზოგადი, რომ ვერ ვხედავ თითქმის ვერც ერთ შედეგს, რომლის გამოყვანაც, როგორც დასკვნა, რამდენიმე სხვადასხვა ხერხით არ შეიძლებოდა. ასე რომ ყველაზე ძნელი ჩემთვის იყო იმის გარკვევა, თუ რომე-

8. „მცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1982, № 4

ლი წესითაა მოცემული შედეგი დამოკიდებული მოცემულ საფუძველზე. რადგან ამის გასარკვევად მე არ ვიცი სხვა ხერხი გარდა იმისა, რომ ხელახლა მივმართო რამდენიმე ცდას, რომლებიც იმგვარი იქნება, რომ მათი მიმდინარეობა სხვადასხვა იქნება იმისდა მიხედვით, თუ რომელია ეს წესი, რომლითაც მათი ახსნა გემართებას. თუმცა უკვე მივალწიე იმას, რომ, ვგონებ, კარგად ვარჩევ, თუ რომელი გზა უნდა ავირჩიო უმრავლეს შემთხვევაში იმ ცდათა შესარჩევად, რომელთაც შეუძლიათ ზემოთ ხსენებულ მიზანს ემსახურონ, მაგრამ ასევე ვხედავ, რომ ეს ისეთი ცდებია, ამასთან, ისეთი მრავალრიცხოვანი, რომ მათ ვერ გასწვდება ვერც ჩემი ხელები, ვერც ჩემი შემოსავალი, თუნდაც ათასი იმდენი მქონდეს, რაც მაქვს. ასე რომ ამიერიდან ბუნების შეცნობაში მეტად ან ნაკლებად დავეწინაურდები იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ასეთი ცდის ჩატარების საშუალება მექნება. ვიმედოვნებდი, ეს საზოგადოებისათვის გამეცნო ჩემ მიერ დაწერილი ტრაქტატით და იქვე ვცდილიყავი, რაც შეიძლებოდა ნათლად მეჩვენებინა მთელი სარგებლობა, რაც საზოგადოებას შეუძლია აქედან მიიღოს; ასე რომ ვავალდებულებდი ყველას, ვისაც კი ჰქვარს საერთოდ აღამიანთა სიკეთე, ანუ იმათ, ვინც სინამდვილეში არიან სათნონი და არა იმათ, ვინც თავს გვაჩვენებენ ასეთებად ან მხოლოდ სხვების აზრით არიან ასეთნი, ერთის მხრივ, შეეტყობინებინათ ჩემთვის ის გამოცდილებანი, რაც მათ ჰქონდათ, რა, მეორეს მხრივ, ხელი შეეწყობა ჩემი საკუთარი ცდებისათვის.

მაგრამ მას აქვთ გამოჩნდა სხვა შოტივებიც, რომელთაც შემაცვლევინეს აზრი და მაფიქრებინეს, რომ ჩემი მოვალეობა იყო განმეგრძო ყოველივე იმის წერა, რასაც მნიშვნელოვნად ჩავთვლიდი იმდენად, რამდენადაც მასში ჩემს მიერ ნაპოვნი რალაც ჭეშმარიტება აღმოჩნდებოდა, და ისეთივე მზრუნველობით მოვიკიდებოდი ამ საქმეს, როგორითაც იმ შემთხვევაში მოვეკიდებოდი, ხელნაწერის დაბეჭდვა რომ მქონოდა განზრახული. ამას, ერთის მხრივ, ის მიზანი ედო საფუძველად, რომ შეტი საშუალება მომცემოდა ჩემი შეხედულებების კარგად შემოწმებისა, რადგან უდავოა, რომ უფრო დაკვირვებით ვამოწმებთ ხოლმე იმას, რასაც ბევრი ნახავს, ვიდრე იმას, რასაც ჩვენთვის ვწერთ (და ხშირად ის, რაც ჭეშმარიტად მოძრეხებია, როცა მისი მოაზრება დამიწყია, ყალბად მომიჩვენებია მაშინ, როცა მისი ქალაღზე გადატანა მომინდომებია), მეორეს მხრივ კი, ის მიზანი, რომ არ დამეკარგა შემთხვევა საზოგადოებისათვის შეძლებისდაგვარად სარგებლობის მოტანისა, და, თუ ჩემს ნაწერებს რალაც ფასი აქვთ, მაშინ იმათ ვინც მათ ჩემი სიკვდილის შემდეგ წაიკითხავს, მათი უკეთ გამოყენება შესძლებოდათ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეთანხმებულოყავი მათ გამოცემაზე ჩემ სიცოცხლეში, რათა არც წინააღმდეგობებს, არც კამათს, რომელიც მათ შეიძლებოდა გამოეწვიათ, არც დიდებას, რომელიც მათ შეიძლებოდა ჩემთვის მოეტახათ, არ წაერთმიათ ჩემთვის ის დრო, რომელიც განზრახული მქონდა ჩემი ცოდნის სრულყოფისათვის გამომეყენებინა. თუმცა მართალია, რომ თითოეული ჩვენგანი მოვალეა შეძლებისდაგვარად იზრუნოს სხვათა კეთილდღეობაზე, ხოლო იმას, ვინც არავის არგია, არავითარი ღირებულება არ აქვს, ასევე ჭეშმარიტია ისიც, რომ ჩვენი ზრუნვა აწყმითი არ უნდა შემოიფარგლოს და უძკობესია დავთმოთ ზოგი ისეთი რამ, რასაც, შესაძლოა, სარგებლობა მოაქვს ცოცხლებისათვის როცა განზრახული გვაქვს მოვიმოქმედოთ სხვა რალაც, რაც უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს ჩვენს შამამოკლებს. მართლაც, ძალიან მსურს ყველასათვის ცნობილი იყოს, რომ ის მცირედლი, რაც აქამდე შევიტყვე, თითქმის არაფერია იმასთან შედარებით, რაც არ ვიცი და



რისი შეტყობის იმედსაც არ ვკარგავ; რადგან ისინი, ვინც თანდათანობით აღმოაჩინეს ხოლმე ჭეშმარიტებას მეცნიერებაში, თითქმის იმათ გვანან, ვინც, იწყებენ რა გამდიდრებას, უფრო ადვილად ბედავენ დიდი რამის შეძენას, ვიდრე ადრე, როცა ღარიბები იყვნენ, ბედავდნენ უფრო მცირე რამისას; ან კიდევ ისინი შეიძლება შევადაროთ სარდლებს, რომელთა ძალები ჩვეულებრივ იზრდება ხოლმე მათი გამარჯვებების პროპორციულად და რომელთაც უფრო მეტი ხელოვნება სჭირდებათ არმიის შესანარჩუნებლად ბრძოლის წაგების შემდეგ, ვიდრე გამარჯვების შემდეგ ქალაქებისა და პროვინციების აღებისას. რადგან, ჭეშმარიტად, ბრძოლის გამართვას უდრის ყველა იმ სიძნელეთა და შეცდომათა დაძლევის ცდა, რომლებიც ხელს გვიშლიან ჭეშმარიტების შეძენებაში, და ბრძოლის წაგებას უდრის ყალბი შეხედულების შეწყნარება რაღაც საკითხზე, რომელიც ოდნავ მაინც ზოგადი და მნიშვნელოვანია. ამის შემდეგ ბევრად უფრო დიდი ხელოვნება სჭირდება ამოსავალ მდგომარეობაში დაბრუნებას, ვიდრე დიდი წარმატებების მიღწევას მაშინ, როცა უკვე ხელთ გვაქვს უტყუარი პრინციპები. რაც შემეხება მე, თუკი ადრე აღმომიჩენია რამდენიმე ჭეშმარიტება მეცნიერებათა სფეროში და ვიმედოვნებ, რომ იმის მიხედვით, რასაც წინაშედებარე ტომი შეიცავს, მკითხველი განსჯის, აღმომიჩენია თუ არა, შემიძლია ვთქვა, რომ ეს ყველაფერი მოსდევს იმ ხუთსა თუ ექვს მთავარ სიძნელეს, რომლებიც გადავლახე და რომელთა გადალახვაც მე მოგებულ ბრძოლად მიმაჩნია, და დამოკიდებულია მათზე. არ შეეუშინდები იმის თქმასაც კი, რომ, თუ ორი ან სამი ამგვარივე ბრძოლა კიდევ მოვიგე, ჩავთვლი, ჩემი გეგმა სავსებით განვახორციელე მეთქი; და იმისას, რომ ჩემი ასაკი არც ისე დიდია, რომ ბუნების ჩვეულებრივი დინების მიხედვით კიდევ ვერ გამოვნახო საკმაო თავისუფალი დრო ამავე მიზნისათვის. მაგრამ ვფიქრობ, რომ მით უფრო მეტად ძმართებს გაუფრთხილდე დროს, რომელიც დამირჩენია, რაც უფრო მეტი იმედი მაქვს მისი კარგად გამოყენებისა. და ისიც ექვევარეშა, რომ მრავალი ფემთხვევა ძეგუბრდა მისი გაცდენისა, ჩემი ფიზიკის საფუძვლები რომ გამოემეკვეყნებინა; რადგან, თუმცა თითქმის ყველა ეს საფუძვლი ისე ცხადია, რომ ძაბი გავოხება და ძაბი დაჯერება ერთია და რომ მათ შორის არ მოიპოვება არც ერთი ისეთი, რომლის დამტკიცებაც, ჩემის აზრით, არ შემეძლოს, მაინც— ვინაიდან შეუძლებელია, რომ ისინი დამეზხენენ სხვა ადამიანთა ყველა განსხვავებულ შეხედულებას, — მე წინასწარ ვხედავ, რომ ბევრჯერ გამაცდენდა ხოლმე წინააღმდეგობა, რომელსაც ამ შრომის გამოქვეყნება წარმოშობდა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს დაპირისპირებები სასარგებლონი აღმოჩნდებოდნენ ჩემთვის იმ მხრივაც, რომ შემაცნობინებდნენ ჩემს შეცდომებს, და იმ მხრივაც, რომ, თუკი რამ კარგი გამაჩნდა, სხვებს ამ გზით მისი უკეთ გაგების საშუალება მიეცემოდათ. და, ვინაიდან მრავალნი მეტს ხედავენ, ვიდრე ცალკე ადამიანი, გამოვიყენებდი რა ამიერიდან ამ დაპირისპირებებს, ამით სხვათა გამოგონებებსაც დაეხმარებდი ჩემს საქმეში. მაგრამ თუმცა ვხედავ, რომ ადვილად შესაძლებელია ვცდებოდე და თითქმის არასდროს არ ვენდობი პირველ ფიქრებს, რომლებიც მომდის, ჩემი გამოცდილება არ მაძლევს უფლებას იმედო ვიქონიო, რომ რაიმე სარგებელს გამოვიტან იმ შეპასუხებებიდან, რომლებსაც შევხვებ; რადგან ხშირად შემიმოწმებია როგორც იმათი მსჯელობები, ვინც მეგობრებად მიმაჩნდა, ისე იმათი, ვისაც გულგრილად ვთვლიდი, და თვით იმათიც კი, ვისაც ბოროტისმნდობობა და შური იმას აღმოაჩენინებდა ხოლმე ჩემს მსჯელობებში, რაზედაც ჩემს მეგობრებს კეთილგანწყობილება თვალს დაახუჭვი-

ნებდა. მაგრამ მაინც იშვიათად მომხდარა, ჩემთვის დაეპირისპირებინოთ რაღაც ისეთი მოსაზრება, რომელიც მე არ გამეთვალისწინებინოს წინდაწინვე, თუ, რა თქმა უნდა, ეს ძალიან დაშორებული არ იქნებოდა ჩემს თემას. ასე რომ თითქოს არასდროს არ შეგხვედრივარ ჩემი შეხედულებების ისეთ კრიტიკოსს, რომელიც თვით ჩემზე ნაკლებ მკაცრი ან ნაკლებ სამართლიანი მომეჩვენებოდა, და არც ის შემიმჩნევია ოდესმე, რომ დისკუტების საშუალებით, რომლებიც მიღებულია სკოლებში, აღმოჩინოთ რაიმე მანამდე უცნობი ჭეშმარიტება; რადგან როცა თითოეული მოკამათე ცდილობს გამარჯვების მოპოვებას, მაშინ უფრო მეტს ზრუნავენ ხოლმე იმაზე, რომ ის, რაც მხოლოდ სავარაუდებელია (vraisemblable), ჭეშმარიტებად გამოაჩინონ, ვიდრე იმაზე, რომ აწონ-დაწონონ საბუთები ორივე მოკამათე მხარის სასარგებლოდ. თუ ვინმე დიდი ხნის განმავლობაში კარგი აღვოკატი იყო, ამის გამო იგი სრულებითაც ვერ ხდება კარგი მოსამართლე.

რაც შეეხება სარგებლობას, რომელსაც სხვები მიიღებდნენ ჩემი ფიქრების შეტყობით, იგი მაინცდამაინც დიდი ვერ იქნებოდა, რადგანაც მე ეს აზრები ჯერ კიდევ არ განმიფიქრებია იმდენად, რომ არ იყოს საჭირო ზედ კიდევ ბევრი რამის დამატება, სანამ გამოვიყენებდეთ მათ პრაქტიკაში. და, ვფიქრობ, ფუჭი პატივმოყვარეობის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ თუ ვინმეს შესწევს ამის უნარი, ეს უმაღლესი მე უნდა ვიყო, ვინმე სხვა; არა იმიტომ, რომ ქვეყნად არ მოიპოვებოდეს რამდენიმე ისეთი გონი, რომელიც შეუღარებლად აღემატება ჩემსას, არამედ იმიტომ, რომ არ შეიძლება სხვისგან მიღებული აზრის ისე კარგად გაგება და შეთვისება, როგორც საკუთარი აღმოჩენილისა. ეს იმდენად ჭეშმარიტია, რომ ხშირად მომხდარა, რომ ზოგი ჩემი შეხედულება ამისხნია საკმაოდ კარგი გონის მქონე ადამიანებისათვის და სანამ ვლაპარაკობდი, მათ თითქოს ძალიან ნათლად ესმოდათ ჩემი, მაგრამ შემდეგ, როგორც კი იმ შეხედულებათა გამოვრებას მოინდომებდნენ. ვამჩნევდი, რომ ისინი თითქმის ყოველთვის ისე უცვლიდნენ სახეს ჩემ აზრს რომ მას ჩემად ვეღარ ვაღიარებდი. ამის გამო, ვსარგებლობ რა შემთხვევით, ვთხოვ, ჩვენს შთამომავლებს მხოლოდ მაშინ დაიჯერონ, რომ ესა თუ ის აზრი, რომელსაც ჩემად წარუდგენენ, მართლაც ჩემია, როცა იგი თვით ჩემ მიერ იქნება გამოქვეყნებული. ამიტომ სრულებით არ მაოცებს ის უცნაურობები, რომელსაც მიაწერენ ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს, ვისმა თხზულებებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს, და ამ გამონათქვამების საფუძველზე არ ვფიქრობ, რომ მათი აზროვნება კარგა უგნური ყოფილა, ვითვალისწინებ რა, რომ ისინი თავისი ღრობის საუკეთესო გონებანი იყვნენ, ოღონდ მათი ნათქვამი ცუდად გადმოგვეცეს. ამას ისიც აღასტურებს, რომ მათ მიმდევართაგან ვერც ერთმა ვერ აჯობა მათ. დარწმუნებული ვარ, არისტოტელეს ყველაზე უფრო გულმოდგინედ დღევანდელი მიმდევრები თავს ბედნიერად ჩათვლიდნენ, ბუნების შესახებ იმდენივე ცოდნა რომ ჰქონოდათ, რამდენიც მათ მოძღვარს ჰქონდა, თუნდაც იმ პირობით, რომ ვერასოდეს ამაზე მეტი ცოდნა ვერ შეეძინათ. ისინი სუროს ჰგვანან, რომელიც სრულებით არ ცდილობს ავიდეს იმ ხეზე მაღლა, რომელსაც იგი უჭირავს, ხოლო ხშირად მის სიმაღლემდე ასული კვლავ დაბლა ეშვება. რადგან, მე მგონი, ესენიც დაბლა ეშვებიან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — უფრო ნაკლებ სწავლულნი ხდებიან, ვიდრე იქნებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ თავს შეიკავებდნენ მოძღვრის ნაწარმოებთა შესწავლისაგან: არ კმაყოფილდებიან რა იმის ცოდნით, რაც გასაგებად განმარტა მათმა ავტორმა, მათ სურთ ამის გარდა მის ნაწერებში აღმოაჩინონ ბევრი ისეთი სიძნელის გადაწყვეტაც, რომლის შესახებაც ავტორი არაფერს ამბობს და რომელ-

ზედაც მას შეიძლება არც არასოდეს უფიქრია. მაგრამ მათი ფილოსოფოსობის მანერა მოხერხებულია იმათთვის, ვისაც მხოლოდ უადრესად საშუალო გონება გააჩნია; რადგან იმ გარჩევთა და პრინციპთა ბუნდოვნება, რომლითაც ისინი სარგებლობენ, საშუალებას აძლევს მათ ისე გაბედულად ილაპარაკონ ყველაფერზე, თითქოს მართლაც იცოდნენ ყოველივე ეს, და თავიანთი მტკიცებები ისე დაიცვან ყველაზე გამჭირავნი და დახელოვნებული მოწინააღმდეგეების პირისპირ, რომ არ მოიძებნება მათი დარწმუნების არავითარი საშუალება. მე მგონია, რომ ამით ისინი იმ ბრმას ჰგვანან, რომელიც იმისათვის, რომ თანაბარ პირობებში შეებრძოლოს მხედველობის მქონე ადამიანს, ჩაიყვანს მას რაიმე ბნელი სარდაფის სიღრმეში. არ დავმაღავ, რომ, ჩემის აზრით, ეს ადამიანები დაინტერესებულნი არიან, რომ მე თავი შევიკავო ჩემი ფილოსოფიის პრინციპების გამოქვეყნებისაგან. ეს პრინციპები ძალზედ მარტივი და ცხადია, მათი გამოქვეყნებით მე თითქოს ფანჯრებს ვავაღებ და სინათლეს ჩაუღწევებ იმ სარდაფში, სადაც ისინი საჩხუბრად ჩასულან. მაგრამ სავალალო ისაა, რომ საუკეთესო გონებანიც კი მანცდამანც არ ამქდავენებენ ამ პრინციპთა შეტყობის სურვილს. საქმე ის გახლავთ, რომ, თუ მათ ჰსურთ, ლაპარაკი შესძლონ ყველაფრის შესახებ და მოიხვეჭონ მეცნიერთა სახელი, ამ მიზანს უფრო ადვილად მიაღწევენ იმ შემთხვევაში, თუ დასჯრდებიან სავარაუდებელ ჭეშმარიტებათა (vraisemblance) გამოთქმას, რასაც დიდი გარჯა არ სჭირდება ნებისმიერ თემზე მსჯელობისას, ვიდრე მაშინ, თუ ძიებას დაუწყებენ ჭეშმარიტებას, რომელიც მხოლოდ თანდათანობით იხსნება ზოგ საგნებში, ხოლო როგორც კი საქმე მიდგება სხვა საგნებზე, გვაიძულებს გულწრფელად გამოვტყდეთ ჩვენს არცოდნაში. და თუ მათ ცოტათოდენი ჭეშმარიტების ცოდნა ურჩევნიათ ყოვლისმცოდნის პატივს (რაც, რა თქმა უნდა, მართლაც ბევრად უმჯობესია) და განზრახვაც ჩემი განზრახვის მსგავსი აქვთ, მაშინ მათთვის ისიც საკმარისია, რაც ამის შესახებ ამ ნაშრომში ვთქვი, რადგან თუ მათ ჩემზე მეტად წინ წასვლის უნარი შესწევთ, მაშინ თვითონვე აღმოაჩენენ იმას, რაც მე უკვე ჩემ მიერ აღმოჩენილი მგონია. ხოლო ვინაიდან ყველაფერი, რაც აქამდე განვიხილე, რიგით განვიხილე, უეჭველია, რომ ის, რაც კიდევ აღმოსაჩენი მაქვს, უფრო რთული და ფარულია, ვიდრე ის, რასაც აქამდე შევხვდი; და ამ ადამიანებს ნაკლებ ესიამოვნებათ ყოველივე ამის ჩემგან გაგება, ვიდრე საკუთარი ძალით აღმოჩენა. იმაზედ აღარაფერს ვამბობ, რომ ჩვევა, რომელსაც ისინი შეიძენენ ჯერ ადვილი საგნების შესწავლით და შემდეგ თანდათანობით, საფეხურებრივად სხვა უფრო ძნელზე გადასვლით, მათ მეტი სამსახურს გაუწევს, ვიდრე ამას შესძლებდა მთელი ჩემი დარიგება. რაც შემეხება მე, დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდობაში რომ ჩემთვის ესწავლებინათ ყველა ჭეშმარიტებანი, რომელთა დასაბუთებებსაც შემდეგ ვეძებდი, მე რომ ისინი ყოველგვარი წვალების გარეშე შემეტყო, ალბათ, ვერასოდეს ველარ შევიტყობდი რამე სხვა ჭეშმარიტებებს; ყოველ შემთხვევაში, ველარასოდეს შევიძენდი იმ ჩვევას და მოხერხებულობას, რომელიც, ვფიქრობ, გამაჩნია ახალ ჭეშმარიტებათა აღმოჩენაში მას აქვთ, რაც მათ ძიებას მივდეგ. ერთი სიტყვით, თუ ქვეყნად არსებობს რაიმე ისეთი შრომა, რომელსაც ვერავინ ვერ დაასრულებს ისე წარმატებით, როგორც ის, ვინც იგი დაიწყო, მაშინ ეს სწორედ ის შრომაა, რომელსაც მე ვეწევი.

მართალია, ამ მიზნისათვის საჭირო ცდების ჩატარება ცალკეული კაცის ძალას აღემატება, მაგრამ, მეორეს მხრივ, იგი ვერც სხვის ხელებს გამოიყენებს ისე წარმატებით, როგორც თავისას, გარდა ხელოსნების ან იმ ხალხის ხელებისა.



რომლებსაც ფასს გადაუხდის და რომლებსაც გასამრჩელოს იმედით—რაც ძალზედ ქმედითი საშუალებაა—გააკეთებინებს ზუსტად ყველაფერს, რასაც კი დაავალებს. რადგან, რაც შეეხება მოხალისეებს, რომლებიც სასეიროდ ან ცოდნის შეძენის სურვილით თვითნოვე შესთავაზებენ მას თავის სამსახურს — თუნდაც არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მათგან, ჩვეულებრივ, დაპირებებს მეტს ვღებულობთ, ვიდრე საქმეს, და რომ ისინი საუცხოო წინადადებებს იძლევიან ხოლმე, რომელსაც ვერასოდეს ვერ ასრულებენ—მათ, უთუოდ, უნდა გადაუხადოთ გარჯის ფასი ზოგიერთი სიმძნელის ახსნით ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ქათინაურებითა და ფუჭი საუბრებით მაინც, რაც ყოველთვის უფრო მეტ დროდ დაგვიჭრდება, ვიდრე გაკეთებული საქმე ღირს. ხოლო რაც შეეხება სხვების მიერ უკვე ჩატარებულ ექსპერიმენტებს, თუნდაც ეს სხვები თანახმანი იყვნენ ჩვენ ეს ცდები შეგვატყობინონ (რასაც, რა თქმა უნდა, არასოდეს არ იზამს ის, ვინც მათ საიდუმლოდ თვლის), უნდა ითქვას, რომ ამ ექსპერიმენტებს იმდენი ზედმეტი გარემოებები და სხვა კომპონენტები ახლავს, რომ ძალიან ძნელია მათში კვშმარიტების გამოვლინება; გარდა ამისა, თითქმის ყველა ეს ექსპერიმენტი ყოველთვის ცუდად ახსნილი ან ყალბი აღმოჩენილიან ხოლმე იმის გამო, რომ მათი ჩამტარებლები ცდილობდნენ, მათთვის ისეთი სახე მიეცათ, რომელიც ამ ექსპერიმენტებს მათ პრინციპთა შესატყვისად გამოაჩენდა; თუ ზოგი ამ პრინციპთაგანი მაინც გაგვიწევდა სამსახურს, იგი არ ეღირობოდა იმ დროდ, რომელიც მის არჩევაში დაეხარჯეთ, ასე რომ, თუ ქვეყნად აღმოჩნდება ვინმე, ვისაც დანამდვილებით (assurance) შესწევს უნარი აღმოაჩინოს ყველაზე დიდი და საზოგადოებისათვის სასარგებლო საგნები, რაც კი შეიძლება არსებობდეს, და ამ მიზეზით სხვა ადამიანები ყველა ხერხით შეეცდებიან დაეხმარონ მას მისი გეგმის განხორციელებაში, მაშინ, ჩემის აზრით, ყველაზე საუკეთესო, რომელიც გაკეთებაც მათ შეეძლებათ, ის იქნება, რომ მისცენ მას ხარჯები ექსპერიმენტებისათვის, რომლებიც მას დასჭირდება, და არავის არ დართონ ნება თავისი აბეზარობით მას თავისუფალი დრო წაართვას. რაც შეეხება მე, გარდა იმისა, რომ სრულებითაც არ ვარ საკუთარ თავზე ისეთი დიდი შეხედულების, რომ ვინმეს რაიმე არაჩვეულებრივს დავპირდე, და არც თავს ვიტყუებ ფუჭი იმედით, რომ საზოგადოება დიდად უნდა იყოს დაინტერესებული ჩემი გეგმებით, ისე სულმდაბალი არ ვახლავართ, რომ ვინმესგან, ვინც არ უნდა იყოს იგი, მივიღო მოწყალება, რომელიც შეიძლება დაუმსახურებლად იქნეს ჩათვლილი.

ყველა ეს მოსაზრებები, ერთად აღებული, იმის მიზეზი გახდა, რომ ამ სამი წლის წინათ მე არ მოვისურვე უკვე მზა ტრაქტატის გამოქვეყნება და გადაწყვეტილებაც კი მივიღე, ჩემს სიცოცხლეში არ გამოემქვეყნებინა არც ასეთი ზოგადი შრომა და არც ისეთი, რომლიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ჩემი ფიზიკის საფუძვლების გაგება. მაგრამ შემდეგ კვლავ ორმა ახალმა მოსაზრებამ მაიძულა, დამებეჭდა აქ ზოგი კერძო ნარკვევი და ამით საზოგადოებისათვის ერთგვარი ანგარიში ჩამებარებინა ჩემი საქმიანობისა და ჩემი გეგმების შესახებ. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ, თუ ამას არ ვიზამდი, ბევრს იმათგანს, ვინც იცოდა, რომ მანამდე განზრახული მქონდა ზოგი თხზულების გამოქვეყნება, შეიძლება ჩემი თავშეკავება ისეთი მიზეზებისათვის მიეწერა, რომლებიც უფრო ჩემს საწინააღმდეგოდ მეტყველებენ, ვიდრე ჩემს სასარგებლოდ. თუმცა დიდების ვადამეტებული სიყვარული არ მჭირს (მეტის თქმასაც გაუბედავ — იგი მძულს, რამდენადაც ვთვლი, რომ იგი ეწინააღმდეგება სიმშვიდეს, რომელსაც ყველაზე მეტად ვაფასებ), მაინც არასოდეს ვცდილვარ



დამეფარა ჩემი მოქმედებები, როგორც დანაშაული, და არც დიდი სიფრთხილე გამომიჩენია, რათა უცნობი დაერჩენილიყო, რადგან, ჯერ ერთი, ამას უსამართლობად ჩავთვლიდი საკუთარი თავის მიმართ, მეორეც, ეს შემაწუხებდა და ამდენადვე დაარღვევდა გონების სიმშვიდეს, რომელსაც მე ესოდენ დავეძებ; და თუმცა—მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის გულგრილი ვიყავი იმისადმი, უჩვენებოდი თუ არ ვიქნებოდი ცნობილი აღამიანი — ხელი ვერ შევიშალე. იმას, რომ რაღაც სახელი მომეპოვებინა, მაინც ჩავთვალე, რომ მმართველმა შეძლებისდაგვარად მეზრუნა, რათა ეს სახელი ცუდი არ ყოფილიყო. მეორე მიზეზი, რომელმაც მაიძულა ამ თხზულების დაწერა, შემდეგში მდგომარეობს: ვამჩნევდი, რომ თვითგანათლების მიღწევის გეგმა დღით-დღე ყოველდღობდა იმის გამო, რომ საამისოდ აურაცხელი ექსპერიმენტები მჭირდებოდა, რომელიც შეუძლებელია სხვის დაუხმარებლად; და თუმცა ისე დიდი აზრის არ ვარ ჩემს თავზე, რომ საზოგადოების მხრივ ჩემი ინტერესებისადმი დიდი მხარდაჭერის იმედი მქონდეს, მაინც არ მსურს იმდენად შევეცოდო საკუთარი თავის წინაშე, რომ ჩემს შემდეგ ამ ქვეყნად დამრჩენებს ჩემი გაიციხვის საბაბი მიეცე იმისათვის, რომ შემძლო ზოგი რამ ბევრად უკეთესად შესრულებული დამეტოვებინა მათთვის, ვიდრე დავტოვე, თუკი მოვიწოდებდი განმეამარტა მათთვის, თუ რით შეეძლოთ დამხმარებოდნენ ჩემს შრომაში.

ვადევნებ, რომ ჩემთვის ხელსაყრელია ავირჩიო რამდენიმე საკითხი, რომლებიც არც დიდ კამათს გამოიწვევენ, არც მაიძულებენ იმაზე მეტის განცხადებას ჩემი პრინციპების შესახებ, ვიდრე მსურს, და საკმაო სიცხადით დაანახებენ საზოგადოებას, თუ რა შემოიძლია მეცნიერებათა სფეროში და რა არა. არ ვიცი, გამომივიდა თუ არა ეს და არ მსურს წინ გავუსწრო ვინმეს მსჯავრს ჩემსავე თხზულებებზე ლაპარაკით; მაგრამ ძალიან მოხარული ვიქნები, თუ მათ განიხილავენ და იმისათვის, რომ უფრო მეტი საბაბი მიეცე მკითხველს საამისოდ, ვთხოვ ყველას, ვისაც კი რაიმე შენიშვნა ექნება ჩემი შრომის გამო, გაისარჯონ და გაუგზავნონ ჩემს გამომცემელს, რომლის მეშვეობითაც მე მას შევიტყობ და შევეცდები მაშინვე დავუბრუნო მას ჩემი პასუხი. ამ საშუალებით მკითხველებს ერთდროულად ექნებათ შენიშვნებიც და პასუხებიც და ადვილად განსჯიან, ვინ არის მართალი. რადგან პირობას ვიძლევი, რომ პასუხს არასოდეს არ გავაგრძელებ, არამედ მხოლოდ გულახდილად ვაღიარებ ჩემს შეცდომებს, თუკი ასეთი დავინახე; ან კიდევ, თუ შეცდომა ვერ დავინახე, უბრალოდ ვიტყვი იმას, რასაც მართებულად ჩავთვლი ჩემს მიერ დაწერილის დასაცავად, ისე, რომ არ დაეუმეტებ რაიმე ახალი საკითხის განმარტებას რათა დაუსრულებლად არ გავაგრძელო კამათი.

და თუ ზოგი მოსაზრებები, რომელთა შესახებაც ვილაპარაკე „დიობტიკის“ და „მეტეორების“ დასაწყისში, თავდაპირველად ეუცხოება მკითხველს იმის გამო, რომ მე მათ დაშვებებს (suppositions) ვუწოდებ და, თითქოს, არ ვფიქრობ მათ დასაბუთებას, მკითხველებს ვთხოვ მოთმინება იქონიონ ყოველივე ამის ყურადღებით წასაკითხად, და იმედიც მაქვს, კმაყოფილნი დამრჩებიან; რადგან საბუთები აქ ისეთი თანმიმდევრობითაა დლაგებული, რომ, თუ უკანასკნელები დასაბუთებულია პირველებით, რომლებიც მათი მიზეზებია, ეს პირველები თავის მხრივ დასაბუთებულია უკანასკნელებით, რომლებიც მათი შედეგებია; და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამით ვუშვებ შეცდომას, რომელსაც ლოგიკოსები წრეს უწოდებენ, რადგან, რამდენადაც ცდა მთელი სიცხადით დასტურებს აღნიშნული შედეგების დიდ უმრავლესობას, მიზეზები იმდენად მათ დამტკიცე-

ბას (prouver) არ ემსახურება, რამდენადაც მათ ახსნას; პირიქით: სწორედ მიზეზები საბუთდება შედეგებით. მე მათ დაშვებები (suppositions) ვუწოდებ მხოლოდ იმიტომ, რომ ცნობილი გახდეს, რომ, ჩემის აზრით, შემიძლია მათი გამოყენება იმ პირველი ჭეშმარიტებებიდან, რომლებიც ზემოთ განვმარტე, მაგრამ შეგნებულად არ მოვიწოდებ ამის გაკეთებას, რათა ზოგ-ზოგმა მოაზროვნემ, რომელსაც ჰგონია, ერთ დღეში გაიგებ იმას, რაზეც სხვას ოცი წელი უფიქრიაო, როგორც კი მოცემულ თემაზე ორ-სამ სიტყვას გაიგონებს, და რომელიც მით უფრო ადვილად ვარდება ცდომილებაში და მით უფრო ნაკლები უნარი აქვს ჭეშმარიტების წვდომისა, რაც უფრო გამჭირაბი და ცოცხალი გონება აქვს, ვერ გამოიყენოს შემთხვევა და ვერ აავსოს იმაზე, რაც ჩემი პრინციპები ჰგონია, რაღაც ექსტრაგაგანტური ფილოსოფია, რომელიც მევე დამბრალდება. რაც შეეხება შეხედულებებს, რომლებიც საესებით მე მეკუთვნიან, მე არ მინდა მათ ბოდიში მოვხადო მათი სიახლის დამოწმებით, მით უფრო, რომ, ათე გულდასმით განვიხილავთ მათ საფუძვლებს, დარწმუნებული ვარ, ისინი ისე მარტივად და საღი აზრის შესაბამისად მოგვეჩვენებინან, რომ მათში ნაკლებ უჩვეულობას და უცნაურობას დავინახავთ, ვიდრე ნებისმიერ სხვა შეხედულებაში ამავე საგანზე. სრულებითაც არ ვიკვებხარ, რომ რომელიმე მათგანის პირველი აღმოჩენი ვიყო, არამედ თავს დამსახურებდა ვუთვლი იმას, რომ ეს ჭეშმარიტებები არც იმიტომ მიმიღია, რომ მათ სხვები გამოთქვამდნენ, და არც იმიტომ, რომ სხვები არ გამოთქვამდნენ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გონებამ მიკარნახა.

თუ ხელოსნები ვერ შეძლებენ მყისვე განახორციელონ ჩემს მიერ „ღიობ-ტრიკაში“ გახმაურებული გამოგონება, არა მგონია, რომ ამის გამო იგი ცუდი იყოს; რამდენადაც დიდი სიმარჯვე და ჩვევა საჭირო, რათა გააკეთოთ და ააწყოთ ჩემს მიერ აღწერილი მახეებები ისე, რომ არაფერი არსებითი არ გამოტოვოთ, არანაკლებ გამიკვირდებოდა ხელოსანთა წარმატება პირველ ცდაზე, ვიდრე ის, ვინმეს რომ ერთ დღეში ჩინებულად ესწავლა ბარბითის დაკვრა მხოლოდ იმიტომ, რომ მას კარგი ნოტები ექნებოდა. და თუ ვწერ ფრანგულად, ჩემი ქვეყნის ეხაზე, და არა ლათინურად, ჩემი წინამორბედების ენაზე, ეს იმიტომ, რომ ვიმედოვნებ, ისინი, ვინც თავისი საესებით წმინდა ბუნებრივი გონების იმედზე არიან, უკეთ განსჯიან ჩემს შეხედულებებს, ვიდრე ისინი, ვისაც მხოლოდ ძველი წიგნებისა სწამს; რაც შეეხება იმათ, ვისშიც საღი გონება განათლებასთან შეერთებულა და ვისაც მე ჩემს ერთადერთ მსაჯულებად ვისურვებდი, ისინი, დარწმუნებული ვარ, არ იქნებიან ისე მიეკრძოებულნი ლათინური ენის მიმართ, რომ უარი თქვან ჩემ მოსაზრებათა წაითხვავზე მხოლოდ იმის გამო, რომ ხალხური ენა ვინმარე.

დასასრულ, სრულებით არ მსურს აქ დაწვრილებით ვილაპარაკო წარმატებებზე მეცნიერების დარგში, რომელთა იმედიც მაქვს მომავალში, და არც საზოგადოებისათვის რაიმე პირობის მიცემა, რომლის შესრულებაშიც დარწმუნებული არ ვიქნებო; მხოლოდ ვიტყვი, რომ გადავწყვიტე სიცოცხლის დანარჩენი დრო მოვანდომო მხოლოდ იმას, რამ შევეცადო შევიძინო რაიმე ცოდნა ბუნების შესახებ, რომლიდანაც მედიცინისათვის უფრო საიმედო წესები გამოიყვანება, ვიდრე ის, რაც დღესდღეობით ხელთ გვაქვს. ჩემი მიდრეკილება იმდენად მაშორებს მოქმედების ყველა სხვა გეგმასა და წესს, განსაკუთრებით კი იმას, რომელიც სასარგებლოა ერთთათვის და მავნეა მეორეთათვის, რომ, თუ რაღაც გარემოებები მაიძულებენ რომელიმე მათგანს მივმართო, არც კი ვარ

დარწმუნებული, რომ მის გამოყენებას შევძლებ. ამას ვაცხადებ, თუმცა ვიცი, რომ ეს განცხადება არ გაზრდის ჩემს წონას საზოგადოებაში — რასაც არც ვესწრაფი; ყოველთვის უფრო დავალებულად ჩავთვლი თავს იმათ წინაშე, ვისი წყალობითაც დაუბრკოლებლად შევძლებ ჩემი თავისუფალი დროით სარგებლობას, ვიდრე იმათ წინაშე, ვინც შემომთავაზებდა ყველაზე უფრო საპატიო თანამდებობას ამ ქვეყნად.

ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაზიჩიძემ

ჟურნალ „მაცნე“ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერიის  
 1982 წლის შინაარსი, № 1—4

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან, № 4.

სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს, № 4.

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, № 4.

- ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა, № 4.  
 ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა, № 4.  
 იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი, № 4.  
 ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა, № 4.  
 დ. თ. უსტინოვის სიტყვა, № 4.  
 ა. პ. ალექსანდროვის სიტყვა, № 4.  
 ვ. ვ. პუშკაროვის სიტყვა, № 4.  
 ა. თ. გორდიენკოს სიტყვა, № 4.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი — ქართულ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების 60 წელი, № 4.

ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მეცნიერებანი 70-იანი წლებში, № 1.

ფილოსოფია

- არზუმანიანი ს. (ერევანი), სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და ხელოვნების პროგრესი, № 1.  
 აუეზოვი მ. (ალმა-ათა), ენკილიადა, № 3.  
 გრძელიძე დ., რვა დავების პრობლემა დიალოგ „პარმენიდში“, № 3.  
 დოლიძე გ., შემთხვევითობა და მიზეზობრიობა დამატებითობის კონცეფციაში, № 1.  
 დეკანოიძე ბ. მუშათა კლასის ცნების გაგებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში, № 3.  
 დამენია ო. (სოხუმი), მოქმედების დიალექტიკა და აზროვნების აღზრდა, № 4.  
 ვანეკი ი. (პრალა), სოციალური მართვა და ეკონომიკური ცნობიერება, № 2.  
 თევზაძე დ. მნიშვნელობის ოთხი მოდუსი ლუისის სემანტიკური ანალიზის მეთოდში, № 1.  
 კაბისოვი რ. (ცხინვალი), გ. ვ. პლენანოვი პირველი რუსული რევოლუციის არსისა და მამოძრავებელი ძალების შესახებ, № 4.  
 კორტავა ვ. ადამიანის გონითი ქმნადობის საკითხისათვის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, № 4.  
 მარგველაშვილი გ., ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური თემატიკა რობერტ მუზილის „უთვისტომო ადამიანში“, № 1.



- მენაბდე ლ., ნეოფროიდიზმი და ახალი თეოლოგია, № 2.
- მღვიანი ლ., მოთხოვნების კატეგორიის კვლევის ზოგიერთი ასპექტისათვის, № 4.
- მესხი ვ., სოციალური აქტიურობა როგორც ისტორიული მატერიალიზმის კატეგორია, № 4.
- ნოღია გ., ფოერბახის შესახებ მარქსის შექვეყნ თეზისის ინტერპრეტაციისათვის, № 1.
- წურწუშია ლ., მხატვრული და საზოგადოებრივი პროგრესის ურთიერთმიმართების საკითხები ნ. ნიკოლაძის ესთეტიკურ შეხედულებებში, № 2.

ფსიქოლოგია

- ბალიაშვილი მ., განწყობისა და საქმიანობის თეორიათა მიმართების შესახებ, № 3.
- გერსამია ი., სტუდენტ-ვოკალისტის საჯარო გამოსვლისათვის ფსიქოლოგიური მზადყოფნის ფორმირების ზოგიერთი წანამძღვარი, № 2.
- გერსამია ი., შემსრულებლის მუსიკალური და პიროვნული ტემპისა და რითმის ურთიერთშეგავლენისა და ურთიერთგანპირობებულობის პრობლემისათვის, № 3.
- გოგოლაძე ქ., აკუსტიკური და ობტკური შეგრძნების ინტერმოდალური ერთიანობის საკითხისათვის, № 3.
- დოლიძე დ., მუსიკის პერმენენტის საკითხის წარმოშობისათვის, № 2.
- დობროვიჩი ა., (მოსკოვი), განწყობა და არაცნობიერი ფსიქოთერაპიის პრობლემათა შექვეყნ, № 4.
- ზენაიშვილი ნ., პრესტიჟის მოთხოვნილება და მისი ფსიქოლოგიური ბუნების ზოგიერთი საკითხი, № 4.
- კაკიაშვილი მ., ქართული პოეზიის ზოგიერთ ნიმუშში ფონეტიკური სიმბოლიზმის ფუნქციონირების შესახებ, № 2.
- პუშკინი ვ., ყანაველი ლ., ფიქსირებული განწყობისა და ობიექტივაციის ურთიერთდამოკიდებულება აზროვნების პროცესის დროს, № 3.
- სტოევ ს. (სოფია), არაცნობიერი და პიროვნების შეფასებითი ორიენტაცია, № 2.
- ფრანგიშვილი ა. მასალები საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემაში განწყობის თეორიის განვითარების ისტორიისათვის, № 1, № 2.
- ჩარკვიანი დ., ბერაძე კ., ბოლქვაძე ფ., პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა, ბიბლიოთეკაში სიარულსა და სხვადასხვა სახის ლიტერატურის კითხვას შორის ფსიქოლოგიური კავშირის შესახებ, № 1.
- ჯვარიშვილი რ., თარგმნის პროცესში მთარგმნელის პიროვნების ზოგიერთი ფაქტორის საკითხისათვის, № 3.

ახალი თარგმანები

- დეკარტი რ. მსჯელობა მეთოდის შესახებ (ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძემ), № 2, № 3, № 4.
- შელინგი ფ., კანტი, ფიხტე (გერმანულიდან თარგმნა ვ. ფეიქრიშვილმა), № 1.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნოდია გ., წიგნის განხილვა, № 1.

ჯიოევი ო., ზნეობრივი ღირებულების თავისებურების სერიოზული გამოკვლევა, № 3.

## ინფორმაცია

ახალი წიგნები, № 1.

კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნაშრომებზე, № 1.

ლევან გოციელის დაბადების 80-ე წლისთავი, № 1.

საიუბილეო სესია, № 1.

ზურაბ კაკაბაძე (ნეკროლოგი), № 1.

ვენორი ქვაჩიახია (ნეკროლოგი), № 2.

შოთა გაბილაია (ნეკროლოგი), № 2.

ანგია ბოჭორიშვილი (ნეკროლოგი), № 3.

სოსლან გაბარაევი (ნეკროლოგი), № 3.

## ავტორთა საფურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაურთოს ზოლოს, ტექსტში კი მიეთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. ავტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,  
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ფილოსოფიის ინსტიტუტი  
(ჟურნალ „მაცნესათვის“)

სარედაქციო კოლეგია

122  
6/43



ფასი 85 კაპ.

ინდექსი 76195